პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, [illegible]თდით!

კომუნისტი

წელიწადი მეშვიდე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგის 18—80.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეებისთვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.
განცხადებანი: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებები გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ზედიზედ, ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

პარასკევი, 8 ივლისი 1[illegible] წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 153 (1898)

დღიური

- პორტუგალიაში გრძელდება რევოლუციონერების დევნა.
- ესტონეთში მყოფ რუს-მონარქისტების მოქმედება მღელვარებას იწვევს მცხოვრებთა შორის.
- თემთა პალატამ უარყო მაკდონალდის რეზოლუცია ლორდთა პალატის რეფორმის შესახებ.
- ინგლისმა შანხაიდან ინდოეთში გადაიყვანა ფეხოსანთა ჯარი.
- სამთა კონფერენციაზე შეთანხმებას ვერ მიაღწიეს სამხედრო გემების აშენების საკითხში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„კომუნისტი"
მიიღება ხელისმოწერა
ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34, ტელ. 8—81

სოციალ-ჯაშუშები

დღეს მკითხველი ჩვენს გაზეთში გაეცნობა მენშევიკურ კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობის კიდევ ერთ მეტად საყურადღებო მამხილებელ მასალას. ქართული მენშევიზმის [illegible] დარჩენილ გენერლებისათვის რევოლიუციის ღალატი იმდენათ ჩვეულებრივ ხელობას წარმოადგენს, რომ დღეს ვერავის გავაკვირვებთ მათი პოლიტიკური ზნედაცემულობის დამახასიათებელ ახალ ფაქტების მზის სინათლეზე გამოტანით.

მიუხედავათ ამისა, ცნობა, რომელიც დღეს დაბეჭდილია ჩვენს გაზეთში, იმდენათ საგულისხმოა, რომ მისი გვერდის ავლა შეუძლებელი იქნებოდა. აქ ქართული მენშევიზმის სახე წარმოდგენილია მთელი თავისი მოღალატურ და ჯაშუშურ სიმახინჯით. აქ არსად და არაფერში მოსჩანს მენშევიკური თვალთმაქცობა რევოლიუციონური ფრაზეოლოგიით.

აქ ყველაფერი ნათელია, ისე, როგორც ხელის გულზე.

შვიდი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ მოკალათებული უპორტფელო მენშევიკი მინისტრების კომუნისტებთან ბრძოლის საყვარელ მეთოდს წარმოადგეს დრო-გამოშვებით ემისრების გზავნა საქართველოში. თითქმის ყოველთვის პარიზიდან დავალებებით მომავალი მენშევიკი აგენტები „საიმედო" არალეგალურ ადგილის ნაცვლად, სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს საკნებში მიემგზავრებიან. ამ მხრივ განსაკუთრებით საბედისწერო გახდა მენშევიკურ ემისრების გზა ოსმალეთის საზღვარით. ამიტომ მათ არჩიეს მარშრუტის შეცვლა, ნაცვლად პარიზ-სტამბოლ-თბილისისა გზა აიღეს პოლონეთზე და შეეცადნენ საქართველოსთან კავშირის გაბმას პარიზ-ვარშავა-კიევის გზით.

ასეთი გზა მით უფრო დიდ იმედებს უნერგავდა ქართულ ემიგრაციას, რომ აქ მას მფარველის და მრჩევლის სახით ეგულებოდა პოლონეთის დეფენზივა („ოხრანკა") და გენერალურ შტაბის საჯაშუშო განყოფილება. საქმე ადვილათ გაიჩარხა. და აი, 1925 წლის ზაფხულში იწყება ძაფის გაბმა პარიზსა და საქართველოს შორის ვარშავა-კიევის გზით.

თავისთავად ცხადია, რომ პოლონეთის გენერალური შტაბი ქართულ მენშევიკურ ფინიებს უბრალო კაცთმოყვარეობის გრძნობისთვის არ გაუწევდა დახმარებას კონტრ-რევოლიუციონურ საქმიანობაში. ის სამაგიეროს მოითხოვდა.

მენშევიკებიც ადვილათ დასთანხმდენ ამაზე. ისინი სრულიად შეგნებულათ შეუდგენ ჯაშუშურ მუშაობას პოლონეთის სასარგებლოთ.

იწყება პოლონეთის დახელოვნებულ ჯაშუშების და ქართველ მენშევიკების გაცხოველებული შეხმატკბილებული საქმიანობა. არის ცდები ჯაშუშური ქსელის გაფართოების საბჭოთა კავშირის ყველა იმ პუნქტებში, სადაც მენშევიკ-პროვოკატორებს „თავიანთი" ხალხი ეგულებათ. ამრიგათ მენშევიკები გამოდიან პოლონეთის გენერალური შტაბის დაგეშილ ჯაშუშების რიგში.

ამაზე [illegible] პოლიტიკური გახრწნა, განა კიდევ [illegible]?

როგორც მკითხველი დაინახავს, მენშევიკებმა ამ მორიგ მუხანათურ ცდას, [illegible] ეწვია, ჟორდანია-რამიშვილის [illegible] კონტრ-რევოლიუციონურ [illegible] მუშას პარიზ-სტამბოლ[illegible]რეთ.

ამ [illegible] რომელი [illegible] ერთხელ კიდევ [illegible] რა გზით რა საშუალებით [illegible] მისი [illegible] მოვაჭრე მენშ[illegible] ემიგრა[ცია] ძალა-უფლებას, ვისთან ერთად და ვისი დახმარებით ებრძვის მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას საქართველოში.

ამ ფაქტებიდან საქართველოს მშრომელი მასა კიდევ ერთ სათანადო დასკვნებს გამოიტანენ.

ამიერი[illegible] ინტერნაციონალს შეუძლია სამართლიანად იამაყოს ქართული მენშევიკური პარტიის „რევოლიუციონური" ქმედებით. საეჭვოა, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იმართულ შეუწყვეტ ჯაშუშურ პროვოკატორულ ბრძოლაში, ქართველ მენშევიკებზე მეტ ულმოდგინეობას და ფხიანობას იჩენდეს ვინმე მეორე ინტერნაციონალის [illegible]. მართალია ქართული მენშევიზმი წელში გატეხილია, ის იმის აჩრდილს წარმოადგენს, რაც ოდესღაც იყო, მაგრამ, რაც უფრო უძლურია ის ორგანიზაციულად, მით უფრო გათახსირებული და ზნედაცემულია პოლიტიკური ბრძოლის მეთოდების შერჩევაში.

როგორც უკვე ვსთქვით, საკვირი და მოულოდნელი მენშევიკების ჯაშუშობაში, თქმა უნდა, არაფერია. ვინც კი იცნობდა მენშევიკურ მოღალატურ ზნებას, მისთვის ერთი ბეწვიდანვე ადვილათ წარმოსადგენი იყო [illegible] დღევანდელ ცნობაში ის, რომ მენშევიკები აქ მთელი თავისი [illegible] ციალ-ფაშისტები და სოციალ-ჯაშუშები სიტიტვლე დგანან ქართველ ხალხის წინაშე. საყურადღებო დღევანდელ ცნობაში არის, რომ ის ამ[illegible] თვალებს თითო-ოროლა გულუბრყვილო მეოცნებე მენშევიკს, ის დაანახვებს მათ, თუ კი ხევის უნარი კიდევ [illegible] მოღალატობის და ჯაშუშობის [illegible] წუმპეში ცურავს ჟორდანია-რამიშვილების ნახევარ კაცისაგან შედგარი პარტია.

ხარკოვის პროცესი, სადაც [illegible] ქართველ მენშევიკების ეს კიდევ ერთი საზიზღარი კონტრ-რევოლიუციონური „გმირობა", ახალ დაღს დაასვამს მსოფლიო ოპორტუნიზმის [illegible] მოღალატურ შუბლზე. ეს დაღი [illegible] — დაღი ორგანიზაციულად მოწყობილი და იდეურად გამართლებულ ჯაშუშობისა პროლეტარულ დიქტატურის [illegible] ერთ ქვეყნის — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ჩვენი საგზაო მეურნეობა*)

1926 წლის ბოლოსათვის გზის ქსელის რაოდენობა საქართველოში 6069 ვერსს უდრიდა აქედან საკავშირო მნიშვნელობის გზის სიგრძე უდრის 1278 ვერსს, რესპუბლიკის 829 ვერსს და ადგილობრივი მნიშვნელობის 3062 ვერსს. საშუალოდ ერთი ვერსი გზა მოდის 16 კვადრატიულ ვერსზე, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, ტოპოგრაფიული პირობებისა გამო, საქართველოს ზოგიერთი რაიონები სრულიად მოკლებულნი არიან არა თუ საურმე, არამედ საცხენოსნო გზებსაც, დავინახავთ რომ საშუალო საზომით მიდგომა ყოველთვის სწორი არ გამოდგება. გარდა ქსელის ნაკლებობისა—მდგომარეობა მათი, განსაკუთრებით ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისა, ხშირად ისეთია, რომ საკმაოდ ვერ აკმაყოფილებენ მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიურ მოთხოვნილებას. კლიმატიური პირობების გამო ჩვენში გზებში მუშაობენ მთელი წლის განმავლობაში, მაშინ, როცა რუსეთში ისვენებენ ყინვის ქვეშ 5-7 თვემდე. გარდა ამისა შემოდგომის და ზამთრის წვიმები დიდ ზიანს აყენებს გზებს, რაც იწვევს დიდ ხარჯებს და მუდმივ თვალყურის დევნებას. ამ მხრით განსაკუთრებით ცუდ პირობებშია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. მაშინ, როცა საკავშირო და რესპუბლიკის მნიშვნელობის გზებზე საშუალოდ ერთ ვერსზე წლიურად იხარჯება 600—1000 მანეთამდე და შედარებით მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელიც არის, ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე იხარჯება 48 მანეთი. ეს აიხსნება მით, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები იმყოფება სამაზრო აღმასკომების ბიუჯეტზე, რომელიც მეტ შემთხვევაში დეფიციტიანია. აქვე უნდა მივაქციოთ ყურადღება ერთ არა ნორმალურ მოვლენას. 1924-25 წელში ადგილობრივ ბიუჯეტში გზებისათვის გადადებული იყო 382.430 მანეთი (სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 10 პროცენტიანი ანარიცხის ჩათვლით), რაც შეადგენდა მაზრების მთელი ბიუჯეტის 1,7 პროცენტს. ფაქტიურად მაზრებმა ამ თანხიდან დახარჯეს გზებზე 165.126 მანეთი ანუ 43 პროცენტი, დანარჩენი კი დაიხარჯა არა პირდაპირი დანიშნულებისათვის. მაგრამ ესეც რომ არ იყოს, სახელმწიფოს არ შეუძლია იკისროს ადგილობრივი მნიშვნელობის გზის ხარჯები, ვინაიდან ასეთ გზებს აქვს უაღრესად ვიწრო ადგილობრივი მნიშვნელობა. ასეთი გზების მოვლა-პატრონობა უნდა დაეკისროს ადგილობრივ მოსახლეობას, რომელსაც ხელმძღვანელობას უწევს ადგილობრივი ხელისუფლება უმაღლესი ორგანოების მეთვალყურეობით. ამისათვის ა.-კ. მთავრობის დეკრეტი საგზაო ბეგარის შემოღების შესახებ გასული წლის 15 თებერვლის თარიღით სწორედ შესაფერისი და დროული იყო. მაგრამ საგზაო ბეგარას მაშინ შეუძლია მაქსიმალური სარგებლიანობის მოცემა, როცა მას წინასწარ მიუძღვის საორგანიზაციო მზადება და ტეხნიკური ხელმძღვანელობა.

ა.-კ. მთავრობის დეკრეტის განსამარტავათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა ადგილებს დაუგზავნა სპეციალური ინსტრუქცია, მაგრამ ეს განმარტება ისე დაგვიანებით მოჰყვა დეკრეტს (4 თვით), რომ სამუშაო სეზონი ვერ იქნა გამოყენებული სრული ნაყოფიერებით. ადგილებზე თავის დროზე ვერ იქნა ჩატარებული საგზაო ბეგარის კამპანია, რის გამო მოსახლეობა და ძირითადი ორგანოები ბეგარის გატარებას მომზადებულ ვერ შეხვდენ. გარდა ამისა ინსტრუქციის მიხედვით (წინააღმდეგ დეკრეტისა) მოსახლეობას ევალება [illegible] ბეგარა რესპუბლიკანურ მნიშვნელობის გზებისათვისაც. პრაქტიკაში კი შემთხვევებია, როცა მოსახლეობა გამოყენებული იყო საკავშირო მნიშვნელობის გზებზედაც. თავისთავად [illegible] მუშაობის [illegible] ისედაც [illegible] მცირე ბეგარა ([illegible] ხუთი დღე წელზე) დაიბანდა ისეთი [illegible] კეთებაზე, რომელიც სახელმწიფო [illegible] და მტკიცე [illegible] საფუძველი [illegible]ბა.

გარდა ამისა, საჭიროა აღინიშნოს [illegible] წესის ერთი მხარე, რომელიც პრაქტიკაში ხელს უშლის [illegible] ბეგარის წარმატებით [illegible]ბას. თანახმად დეკრეტისა საგზაო ბეგარის საბოლოო წესებს სახალხო კომისართა საბჭო [illegible] სათემო საბჭოების ყრილობის შემდეგ. თუ ასეთი [illegible] აღნიშნული არ არის და მასზე [illegible] არის [illegible] მხრით, ბეგარის [illegible] არ შეიძლება. სინამდვილეში კი ხდება ასე: თემის ყრილობა ადგენს სიას [illegible] გზებისას, მუშა ხელი და მუშა საქონლის რაოდენობის [illegible] და გზავნის მაზრის [illegible] მხრივ მაზრის ყრილობა, თუ [illegible] თემის ყრილობა, გზავნის სიას ცენტრში [illegible] ნებართვისათვის. ცხადია, [illegible] ავისი სირთულის გამო [illegible] ხშირად თემ-აღმასკომები სამაზრო აღმასკომები თავიანთ შუამდგომლობაზე [illegible] პასუხს დაგვიანებით. [illegible], რომ სამუშაო სეზონი არ დაიკარგოს [illegible] კანონი დაარღვიონ პასუხის მიღებამდე შეუდგენ მუშაობას. [illegible] უნდა გასწორდეს.

გარდა ამისა, ბეგარაში არ შეიძლება [illegible] ერთი ოჯახიდან ერთ [illegible] მუშა ხელზე მეტი, მაგრამ ვისაც [illegible] მუშა საქონელი ჰყავს, [illegible] მეურნეობა [illegible] ლონიერია მუშა საქონლით, ის ხომ მეტ სარგებლობს გზებით. აქედან ცხადია, რომ საგზაო ბეგარა, ისე როგორც სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აგებული უნდა იქნეს მეურნეობის შეძლებულობის პრინციპზე. [illegible] კანონი უთუოდ შესწორებას მოითხოვს. [illegible] ნაკლი არსებული წესისა მდგომარეობს იმაში, რომ ბეგარავალდებულ პირს [illegible] აქვს ბეგარის ნაცვლად ფული შეიტანოს [illegible]. გარდა იმისა, რომ ასეთი უფლებებით სარგებლობენ უფრო შეძლებულები და აღწევენ თავს ბეგარისაგან, რაც [illegible] გლეხობაზე ცუდ გავლენას ახდენს, პრაქტიკაში ამ წესს ვერ არა სასურველი შედეგი აქვს: ფულის გროვება ჭიანურდება, ფულის მოკრება საბიუროკრატო საქმედ ხდება და [illegible] კი მოკრებილი ფული პირდაპირ დანიშნულებაზე არ მიდის. ბეგარის მოხდა ფულით დაშვებულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ საპატიო მიზეზების შემთხვევაში; ბეგარა უნდა მოიხადოს [illegible] ყველამ, ვისაც ეს ნაწილი ევალება.

მომქმედი კანონის ძალით ბეგარისგან თავისუფლდებიან ის პირები, რომელნიც [illegible] არა ნაკლებ ექვსი თვისა. [illegible] სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს სოფლის მოსახლეობაში. მართლაც, გზა [illegible] უმთავრესად ემსახურება მეურნეობას და არა [illegible] პირებს, გზებით სარგებლობს მეურნეობა მიუხედავათ იმისა, ესა თუ ის ოჯახის წევრი სად სცხოვრობს: სოფელში თუ ქალაქში. [illegible] ეს მუხლი სათანადოდ შესწორებული იქნეს.

მთლიანი ცნობები იმის შესახებ, თუ რა რაოდენობით იქნა ჩატარებული საგზაო ბეგარა კანონის გამოცემის შემდეგ, არ აქვს არც შინაგან საქმეთა კომისარიატს და არც გზატკეცილების სამმართველოს, რომლის გამგებლობაშიდაც დღეს გადასულია ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, მაგრამ ის ცნობები, რომელიც ადგილობრივად იყო შეკრებილი მ.-გ. ინსპექციის მიერ ოთხ მაზრაში—ზუგდიდის, შორაპნის, თელავის და სიღნაღის—გვაძლევს საბუთს ვიფიქროთ, რომ საგრძნობი რაოდენობის მუშაობა ყოფილა ჩატარებული მიუხედავად იმისა, რომ 1926 წელში, როგორც ცენტრიდან ისე მაზრებიდან ხელმძღვანელობა დაგვიანდა. აღნიშნულ ოთხ მაზრაში შესრულებულია დაახლოვებით 227230 მანეთის სამუშაო. კაც-დღის რაოდენობა უდრის 190.625 და ურემ-დღე—46.315. ბეგარაში მონაწილეობა მიუღია ვალდებულ პირების 58,9 პროც. და ურმებით 66,9 პროცენტს.

აქ ერთ ფაქტს უნდა მიექცეს ყურადღება. მართალია ბეგარაში ვარაუდის წინააღმდეგ ნაკლებ მუშა ხელს და მუშა საქონელს მიუღია მონაწილეობა, მაგრამ მომუშავეთა რიცხვი მაინც საგრძნობი რაოდენობის არის. მათი ნამუშევარი შეფასებულია ძალიან მცირე თანხით—სულ 227,000 მანეთად. ეს აიხსნება მით, რომ შრომის ნაყოფიერება ძალიან მცირეა. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ უმთავრესად წინასწარ საორგანიზაციო მუშაობის ჩაუტარებლობაში და ტეხნიკურ ხელმძღვანელობის უქონლობაში.

მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 1-ლ მარტამდე საკავშირო და რესპუბლიკის მნიშვნელობის გზებზე ბეგარით შესრულებული მუშაობის ღირებულება დაახლოვებით უდრის 32.290 მანეთს.

გზატკეცილების სამმართველომ გასული წლის გამოცდილება სახეში უნდა იქონიოს და მიიღოს სათანადო ზომები, რათა მომქმედ კანონში შეტანილი იქნეს ზემოთ აღნიშნული ცვლილებები.

ა. კალანდაძე.

ჩემბერლენის განცხადება ინგლისის პარლამენტში საბჭოთა კავშირის შესახებ

საზღვაო განიარაღების კონფერენციაზე ვერ მოხდა შეთანხმება

იაპონია აძლიერებს სამხედრო ძალებს ჩინეთში

შეკითხვა თემთა პალატაში

ლონდონი, 6 ივლისი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, თემთა პალატაში შეკითხვებზე პასუხის გაცემის როს **ჩემბერლენმა განაცხადა, რომ ექვსთა სახელმწიფოს თათბირზე ზოგიერთ სახელმწიფოს წარმომადგენლების წინადადებით, მან ახსნა-განმარტა ის მიზეზები, რომლებმაც აიძულეს ინგლისი შეეწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან.** ეს განმარტება ეთანხმება თემთა პალატაში თავის დროზე გაკეთებულ განცხადებას. მინისტრთა თათბირის ზოგიერთმა მონაწილემ თავის მხრივ გააშუქა თავისი მთავრობის პოლიტიკა. არავის არ შემოუტანია წინადადება რუსეთის მონაწილეობით საყოველთაო კონფერენციის მოწვევის შესახებ ან და რაიმე ისეთი შეთანხმებული გამოსვლის შესახებ, რომელიც რუსეთს შეეხება. სხვა და სხვა ქვეყნებში სხვა და სხვა მდგომარეობაა, და ამიტომ ყოველი სახელმწიფო ისეთ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, რომელიც უფრო ეგუება მის ინტერესებს.

დამატებით შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს, **ჩემბერლენმა** განაცხადა, რომ ლიგის საბჭოს არავითარი საკითხები არ გაურჩევია რუსეთის შესახებ. მინისტრთა თათბირში მონაწილეობას იღებდენ საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, ბელგიის, იაპონიის და ინგლისის წარმომადგენლები.

მუშათა პარტიის წევრმა **ვეჯვუდმა** შეიტანა შეკითხვა — ისარგებლა თუ არა ჩემბერლენმა ამ შესაძლებლობით, რომ დანარჩენ ერებისათვის გაეფანტა ისეთი წარმოდგენა, თითქოს ინგლისი სცდილობდეს რაღაც ბლოკის შედგენას რუსეთის წინააღმდეგ?

ჩემბერლენმა უპასუხა:

„მე არ ვცანი საჭიროდ დამერწმუნებია სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლები იმაში, რასაც ისინი ვერ ითვალისწინებენ. მე მხოლოდ განვამტკიცე მათი აზრი, რომ ჩვენ არავითარ ამის მსგავს არ ვსჩადივართ".

მუშათა პარტიის წევრმა **ტეილორმა** შეიტანა შეკითხვა — მართალია თუ არა, თითქოს **ჩემბერლენმა აგრძნობინა გერმანიის დელეგატს, რომ თუ გერმანიის მთავრობა შემდეგში უარს იტყვის საგარანტიო კრედიტების მიღებაზე რუსეთ-გერმანიის სავაჭრო ოპერაციებისათვის, მაშინ შესაძლებელია გერმანიის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება რეინის ოლქის შესახებ?**

ჩემბერლენმა უპასუხა, რომ არც ერთი სიტყვა აქ არ შეეფერება სინამდვილეს. (ადს).

ავღანისტანი და ინგლის-საბჭოთა კავშირის განხეთქილება

ანგორა, 7 ივლისი. საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს საუბარი ჰქონდა ანგორაში ჩამოსულ ავღანისტანის საგარეო საქმეთა მინისტრ მახმედ-ტარზისთან. კორესპონდენტის კითხვაზე, თუ როგორი შეხედულებისაა ავღანისტანის მთავრობა ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის მომხდარ უთანხმოებაზე,—მახმუდ-ტარზიმ განაცხადა: „იმ შემთხვევაში, თუ იფეთქა ომმა, ავღანისტანი უპირველეს ყოვლისა შეეცდება სისწორით შეასრულოს ის ხელშეკრულება, რომელიც დადებულია საბჭოთა კავშირთან ერთმანეთზე თავდაუსხმელობის შესახებ. ავღანეთის მთავრობას ძირითად ამოცანათა აქვს დასახული დაიცვას მტკიცე ნეიტრალიტეტი ინგლის-საბჭოთა კავშირს შორის არსებულ კონფლიქტში. გარდა ამისა ავღანისტანის მთავრობა ეთანხმება იმ აზრს, რომ პირველი ნაბიჯი ორივე სახელმწიფოთა შორის ნორმალური ურთიერთობის აღდგენისაკენ გადადგმული უნდა იქნეს ინგლისის მიერ".

შემდეგ მინისტრი შეეხო ავღანისტანის დამოკიდებულებას აღმოსავლეთის ქვეყნებთან. მან განაგრძო:

— ავღანისტანსა და მთელ რიგ აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის უკვე დადებულია მეგობრული ხელშეკრულებანი. ეს შეადგენს აღმოსავლეთის ყველა ქვეყნების დიდ ინტერესს, შეიძლება რამოდენიმედ ასევე ითქვას საბჭოთა კავშირზედაც".

კორესპონდენტის კითხვაზე, მოსალოდნელია თუ არ ინგლისმა ისე გაიგოს აღმოსავლეთის ხალხების ერთი მეორესთან დაახლოება, როგორც აღმოსავლეთში ინგლისის ინტერესებისათვის საშიში საფრთხე, მინისტრმა სთქვა:

„—საეჭვოა, რომ ინგლისს ექნეს საფუძველი აღმოსავლეთის ხალხების და ახლოების ხელის შესაშლელად. კერძოდ ავღანისტანი აწარმოებს უაღრესად მშვიდობიან პოლიტიკას". (ადს).

ლორდთა პალატის რეფორმის გარშემო

ლონდონი, 6 ივლისი. მაკდონალდმა თემთა პალატაში შეიტანა რეზოლიუცია, რომელიც ჰკიცხავს მთავრობას ლორდთა პალატის რეფორმის პროექტის შემუშავების გამო. მაკდონალდმა განაცხადა, რომ კონსტიტუციაზე ძალდატანების მოხდენა იქნება, თუ ამ პროექტს მთავრობა გაიყვანს თემთა პალატის საშუალებით ამომრჩეველთა სპეციალური მანდატის გარეშე. მაკდონალდის სიტყვით, მთავრობის პროექტი რევოლიუციას უდრის.

მაკდონალდის საპასუხოდ **ბოლდუინმა** განაცხადა, რომ პროექტი არის ეხლანდელ და წინანდელ კონსერვატიულ კაბინეტების რეალური ცდა მთელ რიგ სხვადასხვა დაბრკოლებათა დაძლევის შემდეგ. მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი წინადადებები განსახილველად. განხილვის შემდეგ ის მხედველობაში მიიღებს და შეიმუშავებს სათანადო საკანონმდებლო აქტს. მთავრობა შეუდგება ამ საქმეს; ის იხელმძღვანელებს კამათის მსვლელობით თემთა პალატაში და ლორდთა პალატაში, აგრეთვე მისი თანამოაზრეების კრიტიკული შენიშვნებით. მთავრობა ფიქრობს, რომ ის შესძლებს ეს ზომა ჩამოაყალიბოს საკანონმდებლო აქტისათვის გამოსადეგ ფორმაში.

მუშათა პარტიის რეზოლიუცია უარყოფილ იქნა 362 ხმის უმრავლესობით 167-ის წინააღმდეგ. (ადს).

საბჭოთა პრესა

საგადასახადო კომისიების უფლებები

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა საგადასახადო კომისიებს. მათი ფუნქციები იმდენად რთული და ფართეა, რომ კომისიების მუშაობაზე ბევრადაა დამოკიდებული გადასახადის ამა თუ იმ თემში წარმატებით ჩატარება.

გაზეთი „ბედნოტა" ასე ახასიათებს საგადასახადო კომისიების უფლება-მოვალეობას:

> საგადასახადო კომისიების მოვალეობას შეადგენს: „არასამიწადმოქმედო ხასიათის შემოსავლის ნორმების განსაზღვრა, არა სამიწადმოქმედო ხასიათის შემოსავლის ნორმების განსაზღვრა, არა სამიწათმოქმედო შემოსავალზე გადასახადის მოხსნა ულარიბეს გლეხთა ზოგიერთ მეურნეობებში;
>
> შეღავათების დაწესება შეუძლო გლეხთა მეურნეობებისათვის და ამ შეღავათების ღარიბთა ფონდის ხარჯზე გატარება;
>
> შეღავათების დაწესება იმ მეურნეობებზე, რომელნიც დაზარალებულნი არიან სტიქიურ უბედურებისაგან და დაბეგრილთა შუამდგომლობის განხილვა იმის შესახებ, რომ მათ მიეცეს კანონით დაწესებული შეღავათები.
>
> გარდა ამისა საგადასახადო კომისიის მოვალეობას შეადგენს განიხილოს განცხადებები უკანონოთ შეწერილ ბეგარის მოხსნის შესახებ".

კომისიათა მუშაობამ წარსულ წლებში, სავსებით ცხადჰყო, რომ ისინი საერთოდ სწორად უდგებიან თავიანთ საქმეს. საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციებმა ყოველ მხრივ შეუწყონ ხელი საგადასახადო კომისიათა მუშაობას და ამით გაუადვილონ მათ იმ საპასუხისმგებლო საქმის შესრულება, რომელიც დაკისრებული აქვს კომისიებს ხელისუფლებისაგან.

რა აფერხებს ტრაქტორიზაციას

ჩვენი სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ხელისუფლებისა და გლეხკაცობის დიდ ყურადღებას იპყრობს. ტრაქტორი გლეხკაცობის სანუკვარ საგანს წარმოადგენს დღეს. მაგრამ სამწუხაროდ არის შემთხვევები, როცა ტრაქტორი ზოგჯერ ვერ ამართლებს იმ დიდ იმედებს, რომელსაც მაზე ამყარებს სოფლის მოსახლეობა.

რატომ ხდება ეს? ამაზე გაზეთი „ბედნოტა" შემდეგ პასუხს იძლევა:

> „ტრაქტორის მუშაობას თითქმის ნახევარი დრო უნდება მანქანის სათადარიგო ნაწილების ძებნას, დიდი დრო მიაქვს აგრეთვე მანქანის აწყობა-მომზადებას, სამუშაოთ გასვლის წინ, ტრაქტორის ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლას, რემონტს და სხვა. ამის შედეგათ მოსდევს ის, რომ ტრაქტორის ნაყოფიერებას სანახევროდ ეკარგება თავისი მნიშვნელობა".

რომ თავიდან აცილებული იქნას ამგვარი დაბრკოლებანი, საჭიროა პირველ ყოვლისა ტრაქტორზე მომუშავე პირის სათანადო შერჩევა, წინდაწინვე ზრუნვა სათადარიგო ნაწილებზე, სათბობ მასალაზე და სხვა. ამასთან ერთად ტრაქტორის შეძენისას განსაკუთრებული ანგარიში უნდა გაეწიოს მანქანის სისტემას, მის მუშაობის უნარიანობას და იმასაც, თუ რამდენათ შეეფერება ესა თუ ის მანქანა იმ რაიონის პირობებს, სადაც ის იქნება გამოწერილი.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ჩემბერლენის განცხადება

ლონდონი, 6 ივლისი. როგორც რეიტერის სააგენტო იტყობინება, ჩემბერლენმა შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს თემთა პალატაში განაცხადა, რომ მიღებულ ცნობების მიხედვით, **შანსის პროვინციის სამხედრო გუბერნატორმა ენ-სი-შანმა დასძრა 6 დივიზია ჩან-ძოლინის წინააღმდეგ. სუნ-ჩუან ფანმა**, რომლის ჯარების მთავარი ნაწილი მოთავსებულია შანდუნის რკინის გზის გასწვრივ, დასძრა 20.000 კაცი ენჩჟოუსკენ, რომელიც მდებარეობს ტიან-ცზინ-პუკოუს რკინის გზაზე. **რუს თეთრგვარდელთა ჯავშნიანმა მატარებელმა** დაიბრუნა სამხრეთლებისაგან ლინჩენი. ჩან-ძო-ლინის ჯარებმა წაიწიეს წინ პეკინ ხანკოუს რკინის გზის ხაზით და გადავიდენ ყვითელ მდინარეზე. რკინის გზა ჩენჩჟოუსა და ლეიანის შორის გადაჭრილია. ფინიუ-სიანმა უკან დაიხია ლეიანისკენ. (ადს).

„ამნისტია"

პეკინი, 6 ივლისი. ჩანძოლინის საამნისტიო კომისიის განმარტების თანახმად, დამნაშავეთა ზოგიერთი კატეგორიები— მათ შორის ისინი, ვისაც ბრალდება კომუნისტური მოღვაწეობა, იმ შემთხვევაში, როდესაც მათ სასამართლოს საბოლოო განაჩენით ან სასამართლო ორგანოების დადგენილებით იჭვის თვალით უყურებენ—**დროებით დატოვებული იქნებიან საპატიმროში;** მათი საქმეები გაირჩევა ახალი სპეციალური წესების მიხედვით, რომელთაც გამოაქვეყნებს პეკინის იუსტიციის სამინისტრო. იუწყებიან, რომ **ამ წესებით გათვალისწინებულია იჭვის ქვეშ დატოვებულთა დაპატიმრება სხვადასხვა ვადით, რომელიც განისაზღვრება ადმინისტრატიული წესით.**

იუსტიციის სამინისტრომ მოსთხოვა სასამართლოს ორგანოებს დასკვნა. იმის შესახებ, თუ რამდენად საეჭვო არიან ის პირები, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური მოღვაწეობა.

ახალი წესების თანახმად პეკინში დაპატიმრებულთა საქმე არ გაირჩევა საჯაროდ; იმ შემთხვევაში, თუ ისინი დატოვებულ იქნებიან იჭვის ქვეშ, მათ და

მოღალატეს მუქარა

შანხაი, 6 ივლისი. ფინ-იუ-სიანმა ულტიმატუმი გაუგზავნა ტან-შენ-ჩის. რომელშიც ითხოვს უხანის მთავრობის **გაშვებას; წინააღმდეგ შემთხვევაში უხანზე საერთო შეტევით იმუქრება. (ადს.**

იაპონიის ჯარები

ტოკიო, 6 ივლისი. იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა 2000 იაპონელი ჯარისკაცის გადაგზავნის შესახებ ცინდაოდან ცზინან-ფუში. ჯარი დაიჭერს შანდუნის რკინის გზის თვალსაჩინო [illegible]ენქტებს. **დაირენიდან ცზინდაოში იგზავნება 2.000 ჯარისკაცი.**

მთავრობის ცნობაში ნათქვამია, რომ მდგომარეობა ითხოვდა ცზინდაოში ჯარების დაუყოვნებლივ გაგზავნას, რადგან რკინის გზის ხაზი შეიძლება გადაეჭრათ და იაპონიის მოქალაქეების დაცვა შეუძლებელი გამხდარიყო. ამის გამო ჯარების გაგზავნა გაგებულ უნდა იქნეს როგორც ზომა იაპონიის მოქალაქეთა დასაცავად. (ადს).

ჩან-ძო-ლინის მოლაპარაკებანი

შანხაი, 6 ივლისი. მიუხედავათ შანსის მართველის კავშირისა ჩან-კაი-შისთან და ფინ-იუ-სიანთან, ჩან-ძო-ლინს თავისი მძიმე მდგომარეობა აიძულებს ლმობიერი პოლიტიკა აწარმოოს ენ-სი-შანთან. ტაინფუდან (შანსის მთავარი ქალაქია) დაბრუნებულმა ჩან-ძო-ლინის ემისარმა განაცხადა, რომ თუმცა მისი მისია წარმატებით არ დასრულებულა, მაგრამ „მუკდენი მაინც ბოლომდე შეინარჩუნებს მეგობრულ ურთიერთობას ენ-სი-შანთან". თუ ენ-სი-შანი თავის ჯარებს პეკინისაკენ დასძრავს, მუკდენელები წინააღმდეგობას არ გაუწევენ. **ჩან-ძო-ლინის ემისარმა დაადასტურა, რომ მას მოლაპარაკება ჰქონდა აგრეთვე ჩან-კაი-შის წარმომადგენელთან.** ამ მოლაპარაკებამ როგორც სჩანს არავითარი ნაყოფი არ გამოიღო. ენ-სი-შანი წინანდებურად თავს არიდებს და როგორც იტყობინებიან უარჰყო ჩან-კაი-შის თხოვნა ფინ-იუ-სიანის ჯარების გატარების შესახებ შანხაის პროვინციაზე (ადს).

შანდუნის პროვინციაში

შანხაი, 6 ივლისი. ცინდაოდან იუწყებიან, რომ კაიოჩაოში მომხდარ გადატრიალების მონაწილე **გენერალმა ჩჟოუ-ინ-ჟენმა გამოაცხადა თავი „შანდუნის პროვინციის გამანთავისუფლებელ ჯარების მთავარსარდლათ" და მიმართა ადგილობრივ სავაჭრო პალატას წერილით, რომელშიც აღნიშნავს სამხრეთელების მხარეზე გადასვლის მიზეზებს და წინადადებას აძლევს არ აყვენ პანიკას და განაგრძობს ვაჭრობას. ირკვევა,** რომ სუნ-ჩუან-ფანის ჯარების მესამე და მეხუთე არმიების მთავარსარდლებს, რომლებმაც მოახდინეს გადატრიალება, დიდი ხანია ჰქონდათ კავშირი ნანკინთან. ტოხოს სააგენტო იუწყება, რომ **კიაოჩაოში, 4 ივლისიდან დაწყებული ადგილი აქვს მღელვარებას მიმართულს იაპონელების წინააღმდეგ.** შანხაიში ამის შესახებ არავითარი ცნობები არ მიუღიათ. (ადს).

რუსი მონარქისტები ესტონეთში

რეველი. 6 ივლისი. ესტონეთში რუსი მონარქისტების მოღვაწეობის შესახებ, გაზეთი „ვაბა მაა" ერთ-ერთ წერილში სწერს: **„ეროვნული კავშირის" რუსთა უმცირესობის მემარჯვენე პარტიას სუბსიდიას აძლევს ესტონეთის ხაზინა.** ნიკოლოზ ნიკოლოზისძის „წარმომადგენელი" გენ. **ბაევი** რუს. გიმნაზიის მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე არის. გიმნაზიის დირექტორმა **ბარხოვმა, ბაევმა და პოლკოვნიკმა შენკმა** „სკაუტსკის ორგანიზაცია" დაარსეს. ორგანიზაციის „წმინდა რუსულმა სულმა" მოსახლეობაში უკმაყოფილება შეიტანა, რადგან რუსეთის შოვინისტებს დახმარებას უწევს ესტონეთის ხაზინა გამოდის, რომ თეთრგვარდიელთა „კულტურულ საქმეებს" ესტონეთში ნიკოლოზ ნიკოლოზისძის მომხრენი აკეთებენ, ისიც ესტონეთის მთავრობის მფარველობით.

რევოლიუციონერების დევნა

ვარშავა, 6 ივლისი. დანციგის სენატის ცდამ იმის შესახებ, რომ მიეღოთ ერთა ლიგის კომისრისაგან ნებართვა დანციგში საავიაციო ქარხნების მოსაწყობათ, გამოიწვია პოლონური „ობრონი"-ს პროტესტი. („ობრონი" სამხედრო სამინისტროს ორგანოა). გაზეთი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ვინაიდან დანციგში აშენებული ჰაეროპლანები არ დასჭირდება პოლონეთს, ისინი აშენდებიან იმ სახელმწიფოთათვის, „რომლებიც მდებარეობენ პოლონეთიდან აღმოსავლეთით" (ადს).

ვისი იარაღი იყო კავერდა

თეირანი, 6 ივლისი. გაზეთი „ირანი" ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ინგლისი თანდათანობით ამზადებს ევროპის სახელმწიფოების კოალიციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გაზეთი სწერს: „სწორედ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართულ, **ინგლისის მთავრობის მტრულ განცხადებებს მოჰყვა შედეგათ ის, რომ კავერდამ აღმართა შეიარაღებული ხელი და მოჰკლა ვოიკოვი"** (ადს).

ჟენევის სალაყბო

პარიზი, 6 ივლისი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, სამთა კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმება წყალქვეშა ნავების შესახებ, **არ ეხება ძირითად კითხვას ამ სახის გემების საერთო ტონაჟის და წყალქვეშა ნავების სტანდარტული ტიპების დაწესებას.**

აგრეთვე მიღწეული არ არის შეთანხმება კრეისერების შესახებ. (ადს).

ერთა ლიგაში

ბერლინი, 6 ივნისი. ერთა ლიგის სამანდატო კომისიამ მიიღო დადგენილება რომლის მიხედვით კომისიის შემადგენლობაში შედის გერმანიის წარმომადგენელი. კომისიის წევრთა უმცირესობამ კენჭის ყრისგან თავი შეიკავა. (ადს).

სპარსეთის ვალი

თეირანი, 6 ივლისი. ჩერჩილის განცხადებასთან დაკავშირებით, სპარსეთის მიერ ვალის კონსოლიდაციის აუცილებლობის შესახებ, **სპარსეთის ზოგიერთი გაზეთები მოითხოვენ, რომ პასუხისგებაში იქნეს მიცემული ამერიკელი ფინანსიური მრჩეველი სპარსეთში მილსპო და ყოფილი პრემიერი ფორუგი,** რომელმაც მეჯლისის ნებადაურთველად აიღო ინგლისის სესხი (ადს).

სამხედრო გემები

რეველში

რეველი, 6 ივლისი. უახლოეს ხანებში რეველში (ესტონეთი) ელიან ამერიკის, გერმანიის და ჰოლანდიის სამხედრო გემების ესკადრებს. (ადს).

მუშების დათხოვნა

გერმანიაში

ბერლინი, 6 ივლისი. კელნის მელითონეთა გაფიცვის საპასუხოთ მწარმოებელთა ლოკაუტში მონაწილეობა მიიღო 123 ფირმამ. **დღემდე სამუშაოდან დათხოვნილია 16.000 მუშა.** ელიან მუშების შემდეგ დათხოვნას. მთავრობამ დანიშნა სამედიატორო გამოძიება. (ადს).

იაპონიაში

ტოკიო, 6 ივლისი. ამ დღეებში გამოქვეყნდება მთავრობის უარი, გემთაშენებელ ფირმა „კავასაკისთვის" სუბსიდიის მიცემაზე. **ამის გამო მუშაობიდან მოხსნა მოელის „კავასაკის" 9.000 მუშას.** (ადს).

ინგლისელები ინდოეთში

ლონდონი, 6 ივლისი. გამოქვეყნდა ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ **მთავრობამ გადასწყვიტა გამოიწვიოს შანხაიდან ქვეითა ბრიგადა და გაგზავნოს იგი ინდოეთში. (ადს).**

კავერდა ციხეში

ვარშავა, 6 ივლისი. ციხეში მყოფ კავერდას, ხელისუფლების ნებართვით, **ნახულობენ ცნობილი მონარქისტები,** რომლებიც ჩამოდიან პოლონეთის სხვადასხვა ადგილებიდან და საზღვარგარეთიდან. (დს).

დეპუტატთა პალატაში

პარიზი, 6 ივლისი. ჯარში გაწვევის პროექტის განხილვის დროს პარლამენტმა უარჰყო სოციალისტების კონტრ-პროექტი, რომლის მიხედვით ჯარში სამსახურის ვადა განისაზღვრება 9 თვით. (ადს).

მუშათა დელეგაცია

რეველი, 6 ივლისი. ესტონეთის პროფესიონალური კავშირები ახლო მომავალში აწყობენ ექსკურსიას საბჭოთა კავშირში.

შინაგან საქმეთა მინისტრმა უარი უთხრა ექსკურსანტებს საერთო პასპორტის მიცემაზე. (დს).

უკანასკნელი ცნობები

ვეშაპელის მკვლელის პროცესი

პარიზი, 7 ივლისი. პარიზის სასამართლოში დაიწყო ვეშაპელის მკვლელის, ქართველი ემიგრანტის მერაბიშვილის საქმის გარჩევა. მერაბიშვილმა ერთი წლის წინეთ მოჰკლა გაზეთ „ახალი საქართველოს" რედაქტორი ვეშაპელი, რომელიც იზიარებდა საბჭოთა პლატფორმას.

მერაბიშვილმა განაცხადა, რომ მან ვეშაპელი მოჰკლა წინასწარი განზრახვით, როგორც საბჭოთა რეჟიმის დამცველი (ადს).

პოლონეთის სესხი ამერიკაში

ვარშავა, 6 ივლისი. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „6 ივლისს, ფინანსთა მინისტრმა **ჩეხოვიჩმა** და ამერიკანული კონცერნის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მოკლე ვადიანი სესხის შესახებ. სესხი იქნება 15 მილ. დოლარამდე. მოხდა აგრეთვე წერილების გაცვლა-გამოცვლა, რომლებიდანაც სჩანს, რომ მიღწეულია მხარეთა შეთანხმება დიდი სესხის რეალიზაციის საკითხში. ეს სესხი გამოშვებულ იქნება მაშინ, როცა პოლონეთის მთავრობა ამერიკის ფულის ბაზრის კონიუნქტურას თავისი სესხის გამოშვებისათვის სამედოთ ჩასთვლის" (ადს).

არჩევნები რუმინეთში

ვენა, 7 ივლისი. 7 ივლისს რუმინეთში დაიწყო საპარლამენტო არჩევნები. არჩევნები მიმდინარეობს უსასტიკესი ტერორის პირობებში. არჩევნების ხელმძღვანელობა მთლიანად ჟანდარმერიის ხელშია. ჟანდარმთა სამმართველოს უფროსს დავალებული აქვს, რათაც არ უნდა დაჯდეს, გაიყვანოს მთავრობის სია. ოპოზიციის წარმომადგენლებს არ უშვებენ იმ შენობაში, სადაც არჩევნები ხდება (ადს).

მოითხოვენ ამნისტიას

ლონდონი, 7 ივლისი. რკინისგზელთა კავშირის ყრილობამ გამოიტანა რეზოლიუცია, სადაც მოუწოდებს რკინისგზელებს მონაწილეობა მიიღონ კამპანიაში, რომელიც მიმართულია ამნისტიის გავრცელებისაკენ საყოველთაო გაფიცვის დროს დევნილ მუშებზე (ადს).

ჩემბერლენი პეკინის მთავრობის შესახებ

ლონდონი, 7 ივლისი. დეპუტატთა პალატაში შეტანილ შეკითხვებზე პასუხის გაცემის დროს, ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ პეკინის ახალი მთავრობა ინგლისს ჯერ არ უცვნია როგორც ჩინეთის მთავრობა და მას უყურებენ, როგორც ადგილობრივ ხელისუფლებას, რომლის გავლენაც ვრცელდება მხოლოდ სამ პროვინციაზე: მანჯურიაზე, ჩჟილზე, შანდუნზე და ხენანის პროვინციების ნაწილზე (ადს).

„ჩიჩერინის" ახლო-აღმოსავლეთის რეისი

ოდესა, 7 ივლისი. დაბრუნდა ახლო-აღმოსავლეთის რეისიდან გემი „ჩიჩერინი", რომელმაც ალექსანდრიიდან ჩამოიტანა 75.000 ფუთი ბამბა და პირეიდან კანიფოლის პარტია.

გემის კაპიტანმა განაცხადა, რომ ეგვიპტის სავაჭრო-სამრეწველო წრეების კამპანიამ იმ დაბრკოლებათა წინააღმდეგ, რომლებსაც უქმნის ინგლისის ადმინისტრაცია ს. ს. რ. კავშირთან ნორმალურ სავაჭრო ურთიერთობის დაწყებას, ერთგვარი შედეგები გამოიღო. გემის კოლიციური თვალყურის დევნება ალექსანდრიაში შესამჩნევად იქნა შემოკლებული და შესუსტებული. (ადს)

მეფის იახტა მუშათა ექსკურსიებისათვის

ლენინგრადი, 7 ივლისი. სახელმწიფო ფონდმა წინადადება მისცა პროფკავშირთა საგუბერნიო საბჭოს, რათა უკანასკნელმა შეიძინოს იახტა „შტანდარტი", რომელიც ეკუთვნოდა ნიკოლოზ მე-2-ს, მუშათა მასიურ სასპორტო ექსკურსიების მოსაწყობად საზღვარ გარეთ. (ადს)

თავდაცვის ფონდი

მოსკოვი, 7 ივლისი. ვიატკის მომხმარებელთა საზოგადოების კავშირმა თავდაცვის ფონდისათვის გადასდო 1.500 მანეთი. მეტყევეთა კავშირმა კი 500 მანეთი.

ნორვეგიელ ქიმიკოსების კონგრესზე

მოსკოვი, 7 ივლისი. ნორვეგიელ ქიმიკოსთა კონგრესზე ოსლოში გაემგზავრა ქიმიკოსთა კავშირის დელეგაცია 2 კაცის შემადგენლობით. (ადს)

კომუნისტების გამარჯვება

ლონდონი, 7 ივლისი. ლანკაშირის სამთამადნო მუშათა კავშირის აღმასკომის არჩევნებში გავიდა მრავალი კომუნისტი კანდიდატი. აღმასკომის მდივნად არჩეულია ლანკაშირის და შოტლანდიის სამთამადნო მუშათა ცნობილი ლიდერი კომუნისტი **ალანი**. საფინანსო კომისიაში შევიდა 2 კომუნისტი, ხოლო აღმასკომის შემადგენლობაში (აღმასკომი სულ 12 კაცისაგან შესდგება)—5 კომუნისტი. მუშათა წრეებში კომუნისტების არჩევას სთვლიან კომპარტიისა და მეუმცირესთა მოძრაობის უდიდეს გამარჯვებად. აღმასკომის წინანდელ შემადგენლობაში უმრავლესობას რეაქციონერები შეადგენდენ. (ადს).

ლორდთა პალატის რეფორმის გარშემო

ლონდონი, 7 ივლისი. ლიბერალების საპარლამენტო ფრაქციამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი პოზიცია დაიჭიროს ლორდთა პალატის რეფორმის საკითხში, და გადასწყვიტა მხარი დაუჭიროს მუშათა პარტიის რეზოლიუციას, რომელიც ჰკიცხავს მთავრობას (ადს).

პატეკი პოლონეთის პრეზიდენტთან

ვარშავა, 7 ივლისი. პოლონეთის ელჩი საბჭოთა კავშირში პატეკი დღეს მიიღო პოლონეთის პრეზიდენტმა მოსციცკიმ (ადს).

სამთა კონფერენციაზე

ბერლინი. 7 ივლისი. შვეიცარიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „გუშინ ორჯერ ითათბირეს საზღვაო განიარაღების კონფერენციის დელეგაციების ხელმძღვანელებმა. როგორც სჩანს, თათბირი უნაყოფოდ დასრულდა, რადგან ვერ იქნა გამონახული გზა კონფერენციის გამოსაყვანად ჩიხიდან, რომელშიც ის დღეს არის მოქცეული". (ადს).

მიტინგები კლარა ცეტკინის იუბილეს გამო

ბერლინი, 7 ივლისი. მიმდინარე კვირის განმავლობაში ჰამბურგში, ბოხუმში, ესსენში, კელნში, ჰალლეში და გერმანიის მთელ რიგ ქალაქებში ჩატარდა მრავალრიცხოვანი მიტინგები კლარა ცეტკინის დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო.

დიუსელდორფში შესდგა დიდი მიტინგები, რომელმაც დაადგინა გაუგზავნოს ამხ. კლარა ცეტკინს მისალმება დეპეშით (ადს).

მანიფესტაციები კანტონში

კანტონი, 7 ივლისი. კანტონში გაიმართა დიდი მანიფესტაციები ჰონკონგისა და კანტონის გაფიცვების აღსანიშნავად.

მანიფესტაციებზე გამოვიდენ ნანკინის მთავრობის საწინააღმდეგო ლოზუნგებით (ადს).

სამხედრო მასალების გატანა გერმანიიდან

ბერლინი, 7 ივლისი. რეიხსტაგში ირჩევა კანონპროექტი გერმანიაში სამხედრო მასალათა შემოზიდვა-გაზიდვის განსაზღვრის შესახებ. კანონპროექტის მისაღებათ საბოლოო კენჭის ყრა გადადებულია შემდეგი სხდომისათვის (ადს).

თავდაცვის კვირეული

მოსკოვი. 7 ივლისი. თავდაცვის კვირეულის ჩამტარებელმა ცენტრალურმა კომისიამ გადასწყვიტა მოაწყოს კვირეულის პირველ დღეს, 10 ივლისს, თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების დიდი დემონსტრაცია. (ადს)

დასავლეთ ევროპის კომკავშირის დელეგაცია

სევასტოპოლი, 7 ივლისი. ჩამოვიდა დასავლეთ-ევროპის კომკავშირის დელეგაცია, რომელშიაც შედიან გერმანელ, იტალიელ, ბულგარელ და ფინელ კომკავშირელების წარმომადგენლები. დელეგაციამ დაათვალიერა საზღვაო ქარხანა და ინახულა სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები. (ადს)

ინგლისელ მეზღვაურთა მიტინგი

ადესა, 7 ივლისი. მეზღვაურთა ინტერნაციონალურ კლუბში გაიმართა ინგლისის ორი გემის მეზღვაურთა მიტინგი. მიღებულია რეზოლიუცია იბრძოლონ ომის წინააღმდეგ, რომელსაც საბჭოთა კავშირს უმზადებენ. (ადს)

საბჭოთა ყალბი დოკუმენტების „ოსტატი" დრუჟელოვსკი

გუშინ, საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში დაიწყო სერგეი დრუჟელოვსკის საქმის გარჩევა.

ამ საქმით კიდევ ერთი შავი ფურცელი ემატება საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის წინააღმდეგ საერთაშორისო კაპიტალისა და კონტრ-რევოლიუციის ბრძოლის ისტორიას.

ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მზვერავმა ორგანოებმა ევროპის სხვადასხვა ადგილებში ფართედ მოაწყვეს ყალბი საბუთების დამზადება. ყალბ საბუთებს ამზადებდენ ვენაში თეთრგვარდიელი **იაკუბოვიჩი** და **გავრილოვი**, შანხაიში— **კედროლივანსკი**, ლონდონში **სინკლტონი** და ბერლინში **დრუჟელოვსკი**.

დრუჟელოვსკი არის 32 წლის. ის არის ქალ. როგაჩევის ბოქაულის შვილი. დასრულებული აქვს გიმნაზიის 4 კლასი და პრაპორშჩიკობის სკოლა; 1919 წელს გაიქცა საზღვარ-გარეთ,



დრუჟელოვსკი

—:—

ფინეთში და შევიდა იუდენიჩის არმიაში. იუდენიჩის განადგურების შემდეგ ის სცხოვრობდა რეველში და თანამშრომლობდა თეთრგვარდიელთა გაზეთებში.

1924 წ. ოქტომბერში დრუჟელოვსკი მსახურებს აგენტად პოლონეთის საელჩოში ბერლინში, რისთვისაც თვეში იღებდა 300 მარკას. დრუჟელოვსკიმ ფართედ განავითარა კომინტერნისა და საბჭოთა მთავრობის ყალბი დოკუმენტების დამზადების საქმე.

დრუჟელოვსკის სიტყვითვე, პირველი ყალბი საბუთი მას დაუმზადებია **გავრილოვ-ტკაჩენკოს** დახმარებით. გავრილოვმა მისცა მას საბჭოთა კავშირის ღერბიანი სუფთა ბლანკი. ამ ბლანკზე დრუჟელოვსკიმ დაბეჭდა ინსტრუქცია პროფინტერნის აღმასკომში არჩევნების მომზადების შესახებ და გაგზავნა „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების აღმასრულებელი კომიტეტის მისამართით". ტექსტი შეიცავდა ინსტრუქციას, თუ როგორ უნდა ჩატარდეს არჩევნები, და ცნობას, რომ კომინტერნის აღმასკომმა გაუგზავნა ამხ. რუტენბერგს, პირველი დოტაციის სახით, 40.000 დოლარი, და რომ შემდეგისთვის ყოველთვიურად გაუგზავნის 25.000 დოლარს—მუშათა პარტიის საჭიროებისათვის. ყალბ საბუთს დრუჟელოვსკიმ მოაწერა კოლაროვისა და სტიუარტის გვარები.

დრუჟელოვსკის ეს დოკუმენტი შეუკვეთა პოლონეთის გენერალური შტაბის მეორე განყოფილების წარმომადგენლმა ბერლინში **პეტერკოვსკიმ**, რომელმაც დრუჟელოვსკი ამ დოკუმენტით გაგზავნა ამერიკის საკონსულოში. იქ დრუჟელოვსკი მიიღო ყოფილმა რუსმა ოფიცერმა **ტ. ა. ბამმა** ეს დოკუმენტი 200 გერმანულ ოქროს მარკად შეიძინა გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნის" ერთ-ერთი განყოფილების გამგემ, ჟურნალისტ **სელდესმა**. 1925 წლის 15 თებერვლის ნომერში სელდესმა გამოაქვეყნა ეს ინსტრუქცია. იგივე დოკუმენტი დრუჟელოვსკიმ მიჰყიდა „ნიუ-იორკ-ტამსის" რედაქციას.

ცოტა ხნის შემდეგ დრუჟელოვსკიმ დაამზადა მეორე ყალბი დოკუმენტი, ვითომ კომინტერნის მიერ გაგზავნილი საფრანგეთის კომპარტიისათვის „ცალკე განყოფილებების" დაარსების შესახებ. ეს ყალბი დოკუმენტი დრუჟელოვსკიმ 100 ოქროს მარკად მიჰყიდა ამერიკულ ბიუროს და 50 მარკად საფრანგეთის მისიის თანამშრომელს ბერლინში ლეიტენანტ **ვაისს**.

ბულგარეთის ელჩმა ბერლინში **პოპოვმა** შეუკვეთა დრუჟელოვსკის ბულგარეთის მთავრობისათვის საჭირო დოკუმენტების დამზადება. ამ დოკუმენტებით ბულგარეთის მთავრობას უნდოდა გაემართლებია სისხლის მსმელ ცანკოვის მიერ გაჩაღებული ტერორი და ელჩთა საბჭოსაგან მიეღო არმიის გადიდების ნებართვა.

დრუჟელოვსკიმ პირნათლად შეასრულა ბულგარელი ელჩის დავალება, და გასამრჯელოდ მიიღო 100 მარკა. მეორე 100 მარკა დრუჟელოვსკიმ მიიღო პოპოვისაგან ყალბი საბუთის დამზადებისათვის პაქტერმაჯიევის სახელზე კომინტერნის მიერ 10.000 დოლარის გადაგზავნის" შესახებ. პოპოვი კმაყოფილი დარჩა და დრუჟელოვსკის მისცა მრავალი დაკვეთა. პოპოვისივე დავალებით დრუჟელოვსკიმ შეადგინა ცნობილი ყალბი დოკუმენტი „შეიარაღებული გამოსვლის შესახებ 1925 წლის 16 აპრილს". ამ დოკუმენტმა შემოიარა მთელი ევროპისა და ამერიკის პრესა. ეს შეიცავს კომინტერნის ბრძანებას 16 აპრილის შეიარაღებული გამოსვლის მოწყობის შესახებ. ამ დოკუმენტის დამზადებისათვის დრუჟელოვსკიმ მიიღო 100 მარკა.

იმავე პოპოვის დავალებით, დრუჟელოვსკიმ დაამზადა კიდევ რამოდენიმე ყალბი დოკუმენტი, რომლებიც ნამდვილად დოკუმენტების სახით გამოყენებულ იქნა სოფიის ტაძრის აფეთქების შესახებ საქმის გარჩევის დროს. ამ ყალბი დოკუმენტების თანახმად, პროკურორი მოითხოვდა ბრალდებულთა დასჯას სიკვდილით. იგივე დოკუმენტები ნამდვილი დოკუმენტების სახით გაეგზავნა ელჩთა საბჭოს პარიზში.

ელჩთა საბჭომ ბულგარეთის მთავრობას ნება დართო შეიარაღებული ძალის გადიდება მშრომელთა „დასარწმუნებლად".

ამერიკის საკონსულოს თანამშრომლის გამბს დავალებით, დრუჟელოვსკიმ დაამზადა კომინტერნის აღმასკომის საიდუმლო ინსტრუქცია „კომინტერნის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის, მე-2 სექციის მისამართით".

ამ ინსტრუქციაში გამოთქმულია მადლობა იმ კამპანიის წარმატებით ჩატარების გამო, რომელიც მიმართული იყო საბჭოთა კავშირის ცნობისაკენ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. გარდა ამისა ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ საიდუმლო-საგასავლო ფონდიდან გადადებულია 20.000 დოლარი.

ყველა ქვეყნებში დრუჟელოვსკი ცნობილი იყო, როგორც ყალბი დოკუმენტების დამმზადებელი. მიუხედავათ ამისა, ეს არ უშლიდა ხელს უცხო სახელმწიფოთა ოფიციალურ წარმომადგენლებს შეეკვეთნათ დრუჟელოვსკისათვის მათთვის საჭირო ყალბი დოკუმენტები.

1926 წლის ივნისში დრუჟელოვსკი შემოვიდა საბჭოთა კავშირში, სადაც ის დააპატიმრეს სახელმწიფო გაერთიანებულ პოლიტიკურ სამმართველოს თანამშრომლებმა.

დაკითხვის დროს დრუჟელოვსკი გამოტყდა, რომ ის იყო ყალბი საბუთების მარტო ტეხნიკური დამმზადებელი, ხოლო ყალბი საბუთების [illegible] შემდგენნი იყვნენ ბურჟუაზიული ქვეყნების მთავრობები, რომლებიც ინგლისის მთავრობის მეთაურობით აწარმოებენ ანტი-საბჭოთა კამპანიას.

—

საქმე ირჩევა ამხ. ვ. ვ. **ულრიხის** თავმჯდომარეობით და ამხ. **კამერინისა** და **მინიჩევის** წევრობით. დრუჟელოვსკის იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **უვაროვი**.

---

*). საკითხის გარჩევის წესით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი მენშევიკები—პოლონეთის გენერალური შტაბის ჯაშუშები

ჟორდანიას დავალებით გამოგზავნილ იქნა პოლონეთის გზით საქართველოში კაპიტონ ანჯაფარიძე.—მენშევიკ-ჯაშუშების ორგანიზაცია კიევში.—ორგანიზაციის გეგმები.
კავშირი საქართველოს მენშევიკების ეგრედწოდებულ ცეკასთან.—სამხედრო ხასიათის ცნობების შეკრება პოლონეთის შტაბთვის.

ჯაშუშების დაპატიმრება.—ვინ არიან მიცემული პასუხისგებაში.—მომავალი პროცესი ხარკოვში.

ჯერ კიდევ არ დამცხრალა ქართველი მშრომელი ხალხის აღშფოთება სოციალ-ფაშისტების, ჟორდანია-რამიშვილის უკანასკნელ პროვოკაციულ წერილების გამო და ჩვენ იძულებული ვართ შევჩერდეთ ქართველი მენშევიზმის პოლიტიკური გახრწნის კიდევ ერთ ეპიზოდზე.

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან ზოგადად მენშევიკების პოლიტიკურ ზნედაცემულობის იმ შემთხვევების შესახებ, რომლებზედაც ქვემოდ გვექნება ლაპარაკი. ამაზე ჩვენ ვწერდით 1926 წლის გაზაფხულზე. დღეს კი ჩვენ ხელთ არის უფრო დაწვრილებითი და ამომწურავი ცნობები და ამიტომ საშუალება გვეძლევა გავაგებინოთ საქართველოს მშრომელ ხალხს, როგორ საბოლოოდ ჩამოიხადა სოციალისტური პირბადე ჟორდანია-რამიშვილის ორ ნახევარ კაცისაგან შემდგარმა ლაშქარმა და როგორი უტიფარი მოღალატის სახით გამოიყურება იგი დღეს.

მენშევიკების ამ ქვემოთ მოთხრობილ მოღალატურ მოქმედებაში ახალი არაფერია, რამდენადაც მოღალატეობა მენშევიკებისათვის ახალ საქმეს არ წარმოადგენს. ახალია მასში მხოლოდ ის კონტრ-რევოლიუციონური ფონი, რომელზედაც იშლება ეს მორიგი მოღალატეობა და ახალია მოქმედების ასპარეზი, სადაც მენშევიკური დონკიხოტები შეეცადენ თავიანთ ბნელი საქმეების გადატანას.

ჩვენ მოგახსენებთ იმ დიდ პოლიტიკურ პროცესზე, რომელიც, როგორც მკითხველები გაიგებდენ ჩვენ გაზეთში მოთავსებულ ხარკოვიდან მოსულ ტელეგრამიდან, დაიწყება ამ თვის ბოლოს უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკაში, ქ. ხარკოვში და რომელშიც მთავარი მომქმედი პირები უმეტესად ქართველი მენშევიკებია.

ახალ მარშრუტით საქართველოსაკენ

პირველი ადგილი მათ შორის უკავია ყოფილ ოფიცერს **კაპიტონ ანჯაფარიძეს.** ის 1916 წელს შევიდა მენშევიკურ პარტიაში. 1922 წელში გადასახლებულ იქნა, როგორც პოლიტიკური ემიგრანტი საქართველოდან ევროპაში, სადაც საცხოვრებელ ადგილად აირჩია ქალაქი ვერდენი.

აგვისტოს ავანტიურის შემდეგ, როცა მენშევიკურ პარტიამ მისთვის საბედისწერო დამარცხება განიცადა, საზღვარგარეთელ ბიუროს მოესპო საქართველოში დარჩენილ მენშევიკური პარტიის ნამსხვრევებთან რეგულიარული კავშირის დაჭერის საშუალება. ოსმალეთ-საქართველოს საზღვარი, რომლითაც მანამდე მოდიოდა საქართველოში საზღვარგარეთ მოკალათებული მენშევიკების ემისრები და არალეგალური ფოსტა, ხშირი გაცემისა და საქართველოში მიმავალ აგენტების სისტემატიური დატყვევების გამო, უიმედო გამოდგა. ამიტომ საზღვარგარეთელი ბიურო შეეცადა მარშრუტის შეცვლას. ნაცვლად პარიზ-სტამბოლ-თბილისისა, მათ აირჩიეს პარიზ-ვარშავა-კიევი-თბილისის გზა. აქედან უკვე რამდენადმე ცხადია, რა პოლიტიკურ მოკავშირეს და თანამგზავრს (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით) უნდა გადაყროდენ ახალ გზაზე ქართველი დონკიხოტი კონტრ-რევოლიუციონერები.

საბჭოთა უკრაინა საზოგადოდ, და განსაკუთრებით მისი დასავლეთი ნაწილი მოსაზღვრე კაპიტალისტურ სახელმწიფოთა კონტრ-დაზვერვის უახლოეს საგანს წარმოადგენს. განსაკუთრებულ აქტივობას იჩენს აქ პოლონეთის ოხრანკა. ემიგრაციაში მოკალათებული მენშევიკებიც დიდი სიხარულით დაეწაფენ პოლონეთის გენერალურ შტაბისა და ოხრანკის მიერ გატკეპნილ ამ კონტრ-რევოლიუციონურ გზას.

მენშევიკების ემისარი კ. ანჯაფარიძე

და აი, 1925 წელში კაპიტონ ანჯაფარიძე ღებულობს პარიზიდან კოწია კანდელაკის წერილს: კოწია იტყობინება, რომ ანჯაფარიძე საზღვარგარეთელ ბიუროს მიერ გამოწვეულია პარიზში და საჭიროა ის დაუყოვნებლივ გამოცხადდეს. წერილის მიღების მესამე დღესვე კ. ანჯაფარიძე თავის ბარგიბარხანით მიემგზავრება ვერდენიდან პარიზში.

აქ ის პირდაპირ ნოე ჟორდანიასთან გამოცხადდა. ჟორდანიამ მას ჯერ დაწვრილებით გააცნო საქმის შინაარსი. აგვისტოს აჯანყების შემდეგ ჩვენმა ბიურომ დაჰკარგა კავშირი საქართველოსთან—უთხრა ჟორდანიამ. არალეგალურ მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ჩვენ უკვე გავგზავნეთ საქართველოში კ. სულაქველიძე. საჭიროა ეხლა შენი წასვლაცო. ამასთანავე ჟორდანიამ უთხრა ანჯაფარიძეს, რომ ის უნდა წავიდეს პოლონეთით.

პოლონეთში სხვათა შორის იმყოფება ჟორდანიას ყოფილი პირადი მდივანი **კოტე იმნაძე, ცნობილი აფერისტი და ბანდიტი.** იმნაძეს მჭიდრო კავშირი აქვს პოლონეთის გენერალურ შტაბთან და ოხრანკასთან—როგორც ერთ-ერთ თვალსაჩინო აგენტს საბჭოთა კავშირის საქმეების „გაშუქებაში“. ვარშავაში ჩასვლისთანავე ანჯაფარიძეს, ჟორდანიას დარიგების თანახმად, უნდა ენახა იმნაძე, რომელიც მას ყოველნაირად შეუწყობდა ხელს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარის უშიშრად გადასვლაში. თან ჟორდანიამ არ დაივიწყა, რასაკვირველია, ანჯაფარიძისათვის დირექტივების მიცემა. აი ეს დირექტივებიც:

1) უნდა აღდგენილ იქნას საქართველოში მთლიანი ფრონტი სხვა არალეგალურ პარტიებთან;

2) მოწვეულ იქნას პარტიული კონფერენცია, რომელმაც უნდა აირჩიოს ახალი ცენტრალური კომიტეტი და უნდა აღდგენილ იქნას ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციები;

3) არალეგალურ მუშაობის ხშირი „ჩავარდნის“ გამო, ცენტრალური კომიტეტი უნდა გადავიდეს საქართველოს ერთ-ერთ სოფელში;;

4) უნდა მოეწყოს კიევში გადამცემი და არალეგალურად მომუშავეთათვის გამოსაცხადებელი საიდუმლოებანი.

კოწია კანდელაკმა კი თავის მხრივ ანჯაფარიძეს მისცა 11000 ფრანკი, ასწავლა იმნაძის ბინა ვარშავაში და დაბარა: 1000 ფრანკი იმნაძისათვის გადაეცა, დანარჩენი 10000 კი წაეღო საქართველოში მენშევიკურ ცენტრალურ კომიტეტისთვის. ამას გარდა ანჯაფარიძემ თან წამოიღო აგვისტოს ამბების შესახებ პარიზში გამართულ დისკუსიის შიფრით შედგენილი ანგარიში.

იმნაძის მონახვა ვარშავაში ანჯაფარიძეს არც ისე გასჭირვებია. ათიოდე დღის შემდეგ ანჯაფარიძე, იმნაძე და პოლონეთში მყოფი ქართველი გენერალი **ზაქარიაძე** გაემგზავრენ ლვოვში.

ჩასვლის მეორე დღესვე იმნაძემ გააცნო ანჯაფარიძეს ვინმე **„კოსტია“** და ორი კერძო მოქალაქეთა ტანისამოსში ჩაცმული პირი, რომელნიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, პოლონეთის გენერალური შტაბის ოფიცრები იყვენ. იმნაძის სიტყვით, „კოსტია“ ანჯაფარიძეს უვნებლად გადაიყვანდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე. ამასთან ერთად იმნაძემ მისცა ანჯაფარიძეს ყალბი საბჭოთა საბუთები ფილიპე ჯღამაიას სახელზე. ამის შემდეგ ანჯაფარიძე და „კოსტია“ გამოემგზავრენ კიევისაკენ.

ვინ არის „კოსტია“

ანჯაფარიძის ეს „გულკეთილი“ თანამგზავრი „კოსტია“ ნამდვილად იყო უკრაინის მოქალაქე **კონსტანტინე პენკოვ-პოლოჟენი,** პოლონეთის გენერალური შტაბის ცნობილი ჯაშუში, რომელიც თანამშრომლობდა ამ დაწესებულებაში „ვლადიმერ პენოვის“ ფსევდონიმით. პენკოვ-პოლოჟენის არა ერთხელ გადაევლო პოლონეთ-საბჭოთა საზღვრები. ის ამ მხრით საკმაო „სტაჟის“ პატრონი იყო, მას უკვე გაბმული ჰქონდა კავშირი უკრაინაში მომუშავე ჯაშუშურ ჯგუფებთან, აწვდიდა მათ ფულებს და სათანადო დირექტივებს პოლონეთის გენერალური შტაბიდან. ამავე დროს პენკოვ-პოლოჟენის გაჰქონდა უკრაინიდან პოლონეთში საყურადღებო ჯაშუშური ცნობები.

თვითონ პენკოვ-პოლოჟენი თავის შეხვედრის შესახებ ანჯაფარიძესთან შემდეგნაირად მოგვითხრობს:

1925 წლის ივნისის შუა რიცხვებში, ე. ი. სწორედ მაშინ როცა ანჯაფარიძე, იმნაძე და ზაქარიაძე ჩავიდენ ლვოვში, პენკოვ-პოლოჟენი ჩვეულებისამებრ გამოიძახეს პოლონეთის გენერალური შტაბის ექსპოზიტურაში, სადაც მას დაავალეს ვინმე ქართველის, ფილიპე ჯღამაიას (კაპიტონ ანჯაფარიძე) საზღვარზე გადაყვანა და მისი შემდეგ ხელახლა პოლონეთში დაბრუნებისათვის ხელის შეწყობა. ამასთან ერთად პენკოვ-პოლოჟენის გამოატანეს სხვადასხვა მიწერილობა კიევში მცხოვრებ პოლონელ ჯაშუშებთან და დაბარეს, რომ მას სადმე ეშოვნა სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის ბარათების შტამპი და გადაეგზავნა ის პოლონეთში.

ანჯაფარიძე და პენკოვი „საქმეს“ შეუდგენ

1925 წლის ივნისის ბოლო რიცხვებში ანჯაფარიძე და პენკოვ-პოლოჟენი უკვე კიევში იყვენ. პირველ დღეებში პენკოვ-პოლოჟენიმ ანჯაფარიძე დააბინავა თავის ნაცნობ მოქ. ჟელეზნოვთან, თვითონ კი ანჯაფარიძის დავალებით წავიდა კიევში მცხოვრებ **ექიმ გოგლიჩიძის** მოსაძებნად. გოგლიჩიძის მისამართი ჟორდანიამ გამოატანა ანჯაფარიძეს პარიზიდან.

პენკოვ-პოლოჟენიმ ადვილად ნახა გოგლიჩიძე ქართველების რესტორან „ედემში“. გულმა-გული მალე იცნო და ორივენი გაემართნენ ჟელეზნოვის ბინაზე ანჯაფარიძის სანახავად. ანჯაფარიძემ გაცნობისთანავე უთხრა გოგლიჩიძეს, რომ ის არის გამოგზავნილი პარიზიდან „ჟორდანიას მთავრობის“, პარტიულ კომიტეტის და საზღვარგარეთელ მენშევიკების ბიუროს მიერ. მას დავალებული აქვს გააბას კავშირი ემიგრაციასა და საქართველოში მომუშავე არალეგალურ ორგანიზაციებს შორის. თან ანჯაფარიძემ ისიც უთხრა გოგლიჩიძეს, რომ მე ჟორდანიამ დამაბარა კიევში ჩამოსვლისას შენთვის მომემართაო.

როგორც ვიცით, ანჯაფარიძის მიერ პარიზიდან წამოღებულ დირექტივებს შორის იყო ერთი, რომლის თანახმად კიევში უნდა მოწყობილიყო უცხოეთის ფოსტის გადასაცემი და არალეგალურად მომუშავეთა გამოსაცხადებელი საიდუმლო ბინა. ანჯაფარიძემ ეს დირექტივაც გადასცა გოგლიჩიძეს. ეს უკანასკნელი დაპირდა მას ყოველგვარ დახმარებას და უთხრა, რომ მოძებნის ამ საქმისათვის გამოსადეგ ხალხს. მეორე დღეს ანჯაფარიძე და გოგლიჩიძე უნდა შეხვედროდენ ერთმანეთს „ვლადიმირსკაია გორა“-ზე ადგილია კიევში), სადაც გოგლიჩიძე მოიყვანდა სხვა პირებსაც. ასედაც მოხდა.

კრება „ვლადიმირსკაია გორა“-ზე

მართლაც მეორე დღეს „ვლადიმირსკაია გორა“-ზე თავი მოიყარეს პოლონეთის ჯაშუშმა პენკოვ-პოლოჟენიმ და ქართველ ჯაშუშებმა: ანჯაფარიძემ, გოგლიჩიძემ, შექშვილმა (ფედერალისტი) და კოლოშვილმა (ესერი). ანჯაფარიძემ გაუზიარა დამსწრეთ ის დავალებები, რომლითაც ის მიდიოდა საქართველოში, გააცნო მათ ემიგრაციის ხელმძღვანელ წრეების აზრი, რომ საჭიროა კიევში გადამცემ პუნქტის დაარსება და სხვ. დამსწრენი დაინტერესდენ „კოსტიას“ (პენკოვ-პოლოჟენი) ვინაობით, რადგან ეს სხვა ტომის კაცი მათ პირველად ენახათ და შიშს გამოსთქვამდენ, ხიფათს არაფერს გადაგვკიდოსო.

ანჯაფარიძემ ისინი სავსებით დაამშვიდა. უთხრა: „ეს ჩვენი კაცია, ჩვენთან ერთად იბრძვის ბოლშევიკების დიქტატურის წინააღმდეგ“-ო.

კრებამ ერთხმად მიიღო ანჯაფარიძის წინადადება კრების გადატანის შესახებ სხვა ადგილას, ვინაიდან მოსეირნე ხალხი მათ ხელს უშლიდა. შეთანხმდენ, რომ სხდომა შესდგება შექშვილის ბინაზე, სადაც, სხვათა შორის, იმავე დღეს გადავიდა საცხოვრებლად ანჯაფარიძე.

კონტრ - რევოლიუციონური გეგმები ფართოვდება

დანიშნული კრება მეორე დღის მართლაც შესდგა შექშვილის ბინაზე. აქ ირჩეოდა კიევის ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. გადაწყდა, აგრეთვე, რომ ანჯაფარიძე პარიზიდან მიღებულ დავალების თანახმად, წავა თბილისში, გააბამს კავშირს არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტთან და შეუთანხმებს მას კავშირის გაბმისათვის აუცილებელ პაროლს. ამავე დროს ორგანიზაციის კიევში დარჩენილი წევრები მიიღებენ კურიერებს უცხოეთიდან და ამრიგად განაგრძობენ კავშირს პოლონეთის გენერალურ შტაბთან და შემდეგ პარიზთან.

მაგრამ, მოგახსენებთ, მადა ჭამაში მოდისო. და კიევში მოკალათებულ პოლონეთის გენერალურ შტაბის ქართველ ჯაშუშებსაც ასე დაემართათ. კოლოშვილს, მაგალითად, ძალიან ვიწროთ მოეჩვენა პარიზის დირექტივა გადასაცემ პუნქტის მხოლოდ კიევში შექმნის შესახებ. მან საჭიროდ დაინახა არალეგალური მუშაობის გეგმის გაფართოება და ამ მიზნით წინადადება შეიტანა, რომ ის წავა ასტრახანში, მოაწყობს იქ ქართულ კოლონიას და ამ ლეგალური საბაბით დაიწყებს არალეგალურ მუშაობას: მიაწვდის მათ „ლიტერატურას“ პარიზიდან და გადაგზავნის ასეთივე „ლიტერატურას“ საქართველოში. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. კოლოშვილის აზრით, ის ასტრახანში შექმნიდა აღმოსავლეთის ხალხთა სახლს, რომლის გარშემოც თავს მოუყრიდა პოლიტიკურად გაერთიანებულ სომხებს, აზერბეიჯანელებს, თურქმენებს, სართებს, სპარსელებს და სხვათ.

ასეთივე სახლი უნდა მოეწყოთ კოლოშვილის წინადადებით ტაშკენტში და კიევში.

კოლოშვილის ამგვარი აზრი ძალიან დაუჯდა ჭკუაში კრებას და წინადადების ავტორს დაევალა ასტრახანში გამგზავრება. კოლოშვილს თან უნდა წაეყვანა **არეშიძე—გოგორიშვილი,** რომელმაც განაცხადა სრული თანხმობა გაჰყოლოდა მას მუშაობის მიზნით ასტრახანში.

რესტორანი „ედემი“.

შემდეგ კრებაზე გრძელდებოდა კიევის ორგანიზაციის მუშაობის პრაქტიკულ საკითხების განხილვა. საჭირო იყო პირველ ყოვლისა პოლონეთიდან და საქართველოდან მიმავალ კურიერებისათვის გამოსაცხადებელ ბინის დაწესება. ეს ბინაც მალე აღმოჩნდა. რესტორან „ედემი“-ს მეპატრონე **ლევან ჩარკვიანმა,** რომელიც კიევში გადახვეწილ ქართულ მენშევიკურ ჯგუფში ითვლებოდა, განაცხადა, რომ კურიერებისათვის გამოსაცხადებელ ბინათ ის ყველაზე უფრო მოხერხებულ ადგილად სცნობს თავის რესტორანს. ამრიგად შეთანხმდენ, რომ „ედემი“ იქნება ქართულ-პოლონური ჯაშუშური ორგანიზაციების თავშესაფარი ბინა კიევში.

გარდა ამისა, ანჯაფარიძეს დაეკისრა კიევის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, ხოლო „კოსტიას“ (პენკოვ-პოლოჟენი) კიევის მენშევიკურ ორგანიზაციასა და პოლონეთის გენერალური შტაბის შორის კავშირის ხელმძღვანელობა.

1925 წლის ივლისის შუა რიცხვებში ანჯაფარიძემ წინადადება მისცა პენკოვ-პოლოჟენის, წამოჰყოლოდა მას თბილისში: „ვინ იცის, რა შეგვემთხვევა გზაზე, ეუბნებოდა ის პენკოვს, სჯობს ერთად ვიმგზავროთ, ერთმანეთთან შორი ახლო ვიყოთ და, თუ რომელიმე დაგვაპატიმრეს, დაუყოვნებლივ ვაცნობოთ ამის შესახებ კიევს და იქიდან პოლონეთის გენერალურ შტაბს“-ო.

ჯაშუშები საქართველოში

პენკოვ-პოლოჟენი დასთანხმდა. კიევის სადგურზე ანჯაფარიძემ მას გადასცა პარიზიდან წამოღებული დისკუსიის დაშიფრული ანგარიში და ორივენი გამოემგზავრენ საქართველოსაკენ. თბილისში ჩამოსვლისთანავე ანჯაფარიძემ დაავალა პენკოვ-პოლოჟენის, რომ მოეძებნა ვინმე ყიფიანი და მიეყვანა ის მასთან. პენკოვ-პოლოჟენის, როგორც დახელოვნებულ ჯაშუშს, არ გასჭირვებია მისთვის უცხო ქალაქში უცნობი კაცის პოვნა.

ანჯაფარიძემ დიდი მოწიწებით მიიღო ყიფიანი და გადასცა მას წერილი პარიზიდან, სადაც ყიფიანს მისი სიძე სწერდა, რომ დაეკავშირებია ანჯაფარიძე ცეკას რომელიმე წევრთან. ყიფიანმა მიიყვანა ანჯაფარიძესთან ვინმე „მამია“, რომელმაც, სხვათა შორის, აცნობა მას, რომ კოწია სულაქველიძე უკვე დაპატიმრებულია, რომ პარტკონფერენცია შესდგა 2 ივლისს და ახალი ცენტრალური კომიტეტი არჩეულია. ამასთანავე მან გულდაწყვეტით მოუთხრო ანჯაფარიძეს, ყურგახვრეტილი გროშიც არ აღწევს ცეკამდე. ფულებს ჩვენი ამხანაგები გზაში ითვისებენ და ფლანგავენო.

ანჯაფარიძე ამშვიდებდა „მამიას“: „ნუ სწუხარ, ისე მოვაწყობ საქმეს, რომ ყოველთვიურად 1.000 მანეთს მარტო ჩემი საშუალებით მიიღებთო. რაც შეეხება საქართველოში სხვა არალეგალურ პარტიებთან მთლიანი ფრონტის შექმნას,—(ესეც სხვათა შორის, დავალებული ჰქონდა ანჯაფარიძეს ჟორდანიისაგან) „მამიამ“ ამის შესახებ უიმედოდ უპასუხა: „ბევრი ვეცადეთ ასეთი ფრონტის აღდგენას, მაგრამ ვერც ერთი არალეგალური პარტიის კვალი საქართველოში ველარ ვნახეთო. მიუხედავად ამისა, ყოველნაირად ვცდილობთ, რომ ეს საკითხი მოვაგვაროთ. იმედი გვაქვს, რომ „მერმე და მერმე“, როცა აგვისტოს ამბებს ხალხი დაივიწყებს, სხვა არალეგალური პარტიებიც გამოჩნდებიან“-ო.

მორიგ შეხვედრის დროს „მამიამ“ ანჯაფარიძეს გადასცა სხვადასხვა „ცნობები“ საბჭოთა ხელისუფლების მდგომარეობის შესახებ საქართველოში. მანვე მისცა ანჯაფარიძეს მასალა მენშევიკურ პარტიის ადგილობრივ აგენტების მუშაობის შესახებ. ეს „ცნობები“ ანჯაფარიძემ თავის მხრით გადასცა პენკოვ-პოლოჟენის.

უკან უკრაინისაკენ

თბილისიდან პენკოვ-პოლოჟენი თავის ჯაშუშური საქმეების გამო გაემგზავრა ყირიმში, ანჯაფარიძე კი—კიევში, სადაც მან გოგლიჩიძეს და შექშვილს გააცნო საქართველოს მენშევიკური ორგანიზაციის მდგომარეობა. კოლოშვილი ამ საუბარს მისდა სამწუხაროდ ვეღარ დაესწრო. ის გაემგზავრა მოსკოვში, საიდანაც სურდა ასტრახანში ჩასვლა და „მუშაობის“ დაწყება. მაგრამ გზაში და ეპატიმრებია ხელისუფლების ორგანოებს. ანჯაფარიძეს ეს ძალიან საწყენათ დარჩა, მაგრამ რას გააწყობდა?.

ამხანად ანჯაფარიძემ მეტი კონსპირაციის მიზნით ბინა გამოიცვალა. ის გადავიდა საცხოვრებლად სასადილო „შეხერეზადე“-ში, რომელიც ეკუთვნოდა არეშიძე გოგორიშვილს.

აგვისტოს შუა რიცხვებში, როგორც ეს წინდაწინვე დათქმული იყო, ანჯაფარიძესთან კიევში დაბრუნდა პენკოვ-პოლოჟენი. 20 აგვისტოს ისინი ერთად უნდა გამგზავრებულიყვენენ პოლონეთში. როგორც უკვე ვიცით, პენკოვ-პოლოჟენის დავალებული ჰქონდა პოლონეთის გენერალურ შტაბის ექსპოზიტურისაგან, რომ მას ეშოვნა სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის მოწმობათა შტამპები. პოლონეთში გამგზავრების წინ პენკოვ-პოლოჟენიმ მიმართა კიევის სამხედრო ოლქის სამმართველოს თანამშრომელს, თავის ნაცნობ გრიგოლ ფეოდოროვს—და სთხოვა მას შეედგინა საღრიცხვო ბარათი პენკოვ-პოლოჟენის სამხედრო სამსახურიდან უვადო შევებულებაში განთავისუფლების შესახებ.

პენკოვ-პოლოჟენის მოადგილე კიევში

ამასთან ერთად პენკოვ-პოლოჟენიმ სთხოვა ფეოდოროვს, რომ ასეთივე ბარათი შეედგინა ფილიპე ჯღამაიას (კაპ. ანჯაფარიძეს) სახელზედაც. ამ საქმის ტეხნიკურად მოგვარება, რადგან საჭირო იყო სხვადასხვა ფორმალობის შესრულება, პენკოვ-პოლოჟენიმ დაავალა ვინმე **დრობოტოვს.**

ამრიგად პოლონეთის ორთავე ჯაშუშების სახელზე გამოწერილ იქნა სამხედრო საღრიცხვო ბარათი. დრობოტოვმა ეს ბარათი პირადათ გადასცა ანჯაფარიძეს. გარდა ამისა, ზემოაღნიშნულ ფეოდოროვმა პენკოვ-პოლოჟენის დაუმზადა სამხედრო აღრიცხვიდან მოხსნის მოწმობის შტამპ ნიმუშების [illegible] წინ პენკოვ-პოლოჟენიმ სთხოვა [illegible] როვს დაეჭირა [illegible] მჭიდრო კავშირი [illegible] იყო ფეოდორო[illegible] და პენკოვ-პოლოჟენის შორის.

პოლონეთში [illegible] ანიძემ და პენკოვ-პოლოჟენიმ გამართვის [illegible] ორგანიზაციის [illegible], სადაც [illegible] და, რომ შექშვილი [illegible] ანჯაფარიძეს და პენკოვ-პოლოჟენი [illegible], რომ კიევ[illegible] ორგანიზაცი[illegible] პოლონეთის გენერალურ შტაბის ექსპოზიტურას ჰქონდა [illegible] საზღვარ[illegible]

22 აგვისტოს [illegible] ჯაშუში [illegible] ძე, პენკოვ-პოლოჟენი და შექშ[illegible] გაემგზავრენ საზღვრისაკენ, [illegible] უკვე მათ [illegible] იმავე [illegible] დააპატიმრეს [illegible] სადგურზე.

ჩარკვიანი, არეშიძე [illegible] პოლონეთში

კიევის მენშევიკურმა ორგანიზაციამ მხოლოდ სექტემბერში გაიგო ანჯაფარიძე და პენკოვ-პოლოჟენი დაპატიმრებულნი [illegible] ხელისუფლების მიერ. ამიტომ [illegible] ორგანიზაციის აქტიურ წევრებმა,—ჩარკვიანმა და არეშიძე-გოგორიშვილმა [illegible] „შეხერეზადე“-ს პატრონები, [illegible] ცნობა პოლონეთში [illegible] სხვა [illegible] გადასვლა და [illegible] ანიძე, პენკოვ-პოლოჟენის და შექშვილის დაპატიმრების [illegible] ცნობების პოლონეთის [illegible] შტაბის ექსპოზიტურისა.

საზღვარზე ჩარკვიანმა და არეშიძე-გოგორიშვილმა უვნებლად [illegible], მაგრამ პოლონეთის ტერიტორიაზე დააპატიმრეს ჟანდარმებმა, რადგან ეჭვი [illegible] პირებზე [illegible]. მალე [illegible], რომ [illegible] პატიმრება [illegible] მოხდა, ჩარკვიანმა და არეშიძე-გოგორიშვილმა [illegible] თავიანთი პოლონეთის [illegible]. მათ თქვეს, რომ ისინი [illegible] არიან [illegible] კავშირი [illegible] აწარმოებენ პოლონეთის სასარგებლოდ [illegible]. მიუხედავად ამისა ჟანდარმებმა გულუბრყვილობა არ გამოიჩინეს და დაპატიმრებულები [illegible] გაგზავნეს ქ. [illegible] (ფრანკა). აქ ჩარკვიანი და არეშიძე-გოგორიშვილი მალე [illegible] გაანთავისუფლეს.

სხვათა შორის, ლვოვის დეფენზივაში ჩარკვიანი და არეშიძე-გოგორიშვილს დახვდა [illegible] იმნაძე, რომელმაც [illegible] უამბეს ყველაფერი. შემდეგ [illegible] მისცა მათ [illegible] ის ქართული მენშევიკური [illegible] იოსელიანის [illegible] და გაგზავნა ისინი ვარშავაში. [illegible] სალაყაიამ ჩარკვიანი და არეშიძე-გოგორიშვილს ყოველდღიური ხმარებისათვის [illegible] მისცა [illegible] ები და ფული.

ორი [illegible] სეირნეს უსაქმოდ [illegible] მა და [illegible] ძე-გოგორიშვილმა [illegible] ში. ამ [illegible] მათ ახალი [illegible] ება მისცეს [illegible] ვიანს და არეშიძე-გოგორიშვილს [illegible] კიევში არალეგალურად [illegible], რომ მათ [illegible] მდგომ[illegible] ში არიან დაპატიმრებულნი: ან[illegible] რიძე, პენკოვ-პოლ[illegible] და [illegible] და ეს ცნობა მიეტანათ [illegible] პოლონეთის გენერალური შტაბისათვის [illegible] ქართულ მენშევიკურ ორგანიზაციისათვის.

არეშიძე-გოგორიშვილი პირველი წამოვიდა ვარშავიდან. 1926 წლის 15 იანვარს ის უკვე კიევში იყო. რამოდენიმე დღის შემდეგ მას დაედევნა ჩარკვიანიც. კიევიდან ჩარკვიანი მოსკოვში გაემგზავრა. წასვლისას მან უთხრა არეშიძე-გოგორიშვილს, რომ მოსკოვში მიდის სპეციალური დავალებით ვარშავიდან. 15 თებერვალს კიევის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველომ მიაგნო პოლონეთის ჯაშუშის მენშევიკ ჩარკვიანის ბინას და ბოროტმოქმედი დააპატიმრა.

ექ. გოგლიჩიძის „დამატებითი“ ხელობა

დასასრულ, საქმის ყოველმხრივ გაშუქებისათვის საჭიროა აღინიშნოს, რომ ექ. გალაკტიონ გოგლიჩიძის ბინა თავიდანვე წარმოადგენდა საზღვარგარეთ არალეგალურად მიმავალ კონტრ-რევოლიუციონერების თავშესაფარს კიევში. ასე მაგალითად, ცნობილი შანტაჟისტი და პოლონეთის გენერალური შტაბის დამსახურებული ჯაშუში კოტე იმნაძე 1924 წელში გოგლიჩიძის დახმარებით გადავიდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის საზღვარზე. ამ საქმის მოგვარება გოგლიჩიძემ და უკვე ჩვენთვის ცნობილმა შექშვილმა დაავალეს **სოფიო შექშვილს.** მანაც მოსძებნა მოქ. **ფრიდრიხ ბროკოპი,** რომელმაც იმნაძე მიიყვანა ვინმე **ულმერთან** და მისი დახმარებით უვნებლად გადაატარა საზღვარზე.

გარდა ამისა, 1925 წელში გოგლიჩიძემ ასეთივე საშუალებით გადაგზავნა პოლონეთში ვინმე **ბაგრატ სამხარაძე.** მაგრამ ამით არ გათავებულა ექ. გოგლიჩიძის „მოღვაწეობა“ კონტრ-რევოლიუციონერების საზღვარზე არალეგალურად გადამგზავრების დარგში. 1925 წლის ივნისში მან სცადა ძველი გზით ვინმე **მთვარიაშვილის და უშარაულის** საზღვარზე გადატარება, მაგრამ ამ უკანასკნელებმა პოლონეთის ნაცვლად... გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს საკნებში ამოჰყვეს თავი.

სანამ გოგლიჩიძეს დააპატიმრებდენ, მას კავშირი ჰქონდა გაბმული პოლონეთში მცხოვრებ კოტე იმნაძესთან ვინმე ბერუაშვილის საშუალებით, რომლის სახელზედაც პოლონეთიდან მოდიოდა იმნაძის საიდუმლო მოწერილობები და შემდეგ ისინი გადადიოდა ექ. გოგლიჩიძის ხელში.

დღეს ყველა ეს ბოროტმოქმედნი სოციალ-ჯაშუშები და ჩვეულებრივი ჯაშუშები რამოდენიმე პირის გამოკლებით, რომელნიც საზღვარგარეთ გაიქცენ, უკრაინის საბჭოთა მთავრობის ხელში არიან და მოელიან მშრომელი ხალხის განაჩენს თავიანთ საზიზღარ მოღალატურ მოქმედებისათვის. ესენი ბრძანდებიან: 1 **ანჯაფარიძე** კაპიტონ ბესარიონისძე, 2. **გოგლიჩიძე** გალაქტიონ ნესტორისძე, 3. **კოლოშვილი** კონსტანტინე ვლადიმერისძე, 4. **შექშვილი** სიმონ ნიკიფორესძე, 5. **პენკოვ-პოლოჟენი** კონსტანტინე ივანესძე, 6. **ფეოდოროვი** გიორგი ეგნატესძე, 7. **დრობოტი** ნიკოლოზ მიხეილისძე, 8. **არეშიძე-გოგორიშვილი** ნიკოლოზ ანტონისძე, 9. **შექშვილი სოფიო** პოლიკარპეს ასული, 10. **ბროკოპი** ფრიდონ ფრიდონისძე, 11. **ულმერი** იაკობ ფილიპესძე და 12. **ბერუაშვილი** ალექსანდრე ნიკოლოზისძე.

როგორც უკვე გვქონდა აღნიშნული, საქმის გარჩევა მოხდება ხარკოვში მიმდინარე თვის ბოლო რიცხვებში.

წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის და გზები მისი აღმოფხვრისათვის

წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის წარმოადგენს კაპიტალიზმის ერთ-ერთ ძირითად და ულრმეს წინააღმდეგობას. ცნობილია, რომ პირველყოფილი კომუნისტური მეურნეობა არ იცნობდა ასეთ წინააღმდეგობას. **იქ ჯერ კიდევ არ იყო გამოყოფილი ქალაქი სოფლისაგან, მრეწველობა სასოფლო მეურნეობისაგან. იქ შესაძლებელი ხდებოდა მათი ნორჩ-განუვითარებელი ფორმების შეთავსება.**

მაგრამ, საქონლის მეურნეობის განვითარებასთან ერთად, ქალაქი თანდათანობით ეყოფოდა სოფელს. კაპიტალიზმმა დაასრულა ეს პროცესი. ქალაქი სწრაფი ტემპით ვითარდებოდა სოფლის ხარჯზე. ეს წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა. კაპიტალიზმს არ შესწევდა ძალა მისი გადაჭრისათვის. მაგრამ მან შექმნა მატერიალური პირობები ამ წინააღმდეგობის მოსასპობად. მანქანური წარმოების განვითარება, რკინის გზების გაყვანა, საჰაერო და საზღვაო ტრანსპორტი, ფოსტა, ტელეგრაფი, რადიო და ბოლოს ელექტროფიკაციის სწრაფი განვითარება,—განა ეს არ არის ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის და მოეწყოს მათი ახალი კავშირი თანამშრომლობის საფუძველზე?

ჯერ კიდევ მარქსი მიუთითებდა, რომ კაპიტალიზმი ქმნის „ახალ უმაღლეს სინტეზის, მიწათ-მოქმედებისა და მრეწველობის სინტეზის მატერიალურ პირობებს მათი ანტაგონისტურად განვითარებულ ფორმების საფუძველზე“. *)

ხოლო ენგელსი აღნიშნავდა რა ელექტროფიკაციის განვითარების გიგანტიურ მნიშვნელობას, ამბობდა, რომ „ის უნდა გახდეს ქალაქსა და სოფელს შორის წინააღმდეგობის მოსპობის უძლიერეს ბერკეტად“-ო. **)

ერთი სიტყვით, კაპიტალიზმი ამზადებს პირობებს წინააღმდეგობის მოსასპობათ ქალაქსა და სოფელს შორის, მაგრამ თვით კი ვერ სპობს მას. მხოლოდ პროლეტარული რევოლიუცია, რომელიც სპობს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათ, ჰკაფავს გზას **წინააღმდეგობის მოსასპობად ქალაქსა და სოფელს შორის.**

ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ წინააღმდეგობის საკითხი იმდენად საინტერესოა და მნიშვნელოვანია, რომ საჭიროა მასზე უფრო დაწვრილებით შეჩერება. ამ საკითხის ანალიზი განსაკუთრებით აუცილებელია განსაზოგადოებრივობის პროცესის ანალიზთან დაკავშირებით.

რაში მდგომარეობს არსი ამ წინააღმდეგობისა და რა კონკრეტიულ ფორმებში პოულობს ის თავის გამოხატულებას?

წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის გამოიხატება: 1) სოფლის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ჩამორჩენილობაში ქალაქთან შედარებით, 2) ქალაქის მიერ სოფლის ექსპლოატაციაში, 3) მრეწველობასა და სასოფლო მეურნეობის არათანაბარ განვითარებაში.

განვმარტოთ ეს დებულებები.

ცნობილია, რომ ქალაქები წარმოადგენენ ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ **ცენტრებს.** მათში თავმოყრილია ყველა ცენტრალური ადმინისტრატიული და სამეურნეო ორგანოები, რომლებთანაც უხდება სოფელს საქმის დაჭერა. იმისთვის, რომ სოფლის ახალგაზრდობამ მიიღოს უმაღლესი და საშუალო განათლება, ის უნდა წავიდეს ქალაქში. სამეცნიერო-ტეხნიკური დაწესებულებები, აგრონომიული და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები სწორედ ქალაქშია. ღარიბი, ჩამორჩენილი, უკულტურო სოფელი, კაპიტალიზმის დროს აუცილებლად უნდა მისდევდეს ქალაქს, დაემორჩილოს მის ჰეგემონიას, ისწავლოს მისგან. ქალაქი არის ხელმძღვანელი ცენტრი და სოფელიც უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს მას.

ქალაქი ექსპლოატაციას უწევს სოფელს. ეს ექსპლოატაცია სწარმოებს ორი სახით: **1) ეკონომიური და 2) აგრონომიული (მატერიალური)** სახით. სოფელმა ქალაქს უნდა გადაუხადოს გადასახადები (პირდაპირი და ფარული), პროცენტები სავაჭრო კაპიტალზე. მან ზედმეტი ფასი უნდა მისცეს საქონელში. სოფელი მიწის მფლობელს აძლევს რენტას, რომელიც აგრეთვე მიდის ქალაქში და ხელს უწყობს მის სწრაფ განვითარებას. სოფელმა ქალაქს უნდა გადაუხადოს სამხედრო გადასახადები და აგრეთვე აძლიოს ცოცხალი ძალა არმიისათვის, მილიტარიზმისათვის, რაც უშუალოდ აკლდება სოფლის ბიუჯეტს.

მაგრამ ამ **ეკონომიურ** ექსპლოატაციას თან ერთვის კიდევ აგრონომიული ანუ **მატერიალური** ექსპლოატაციაც. საქმე იმაშია, რომ საქონლის გაცვლის დროს სოფელი ქალაქს აძლევს დიდძალ პროდუქტებს, რომელთაც სოფელი თავის მეურნეობიდან, მიწათმოქმედებიდან ღებულობს. იგულისხმება, რომ ქალაქიც აძლევს სოფელს თავისი წარმოების პროდუქტებს, მაგრამ გაცილებით უფრო ნაკლები ნატურალური რაოდენობისას. ამას შედეგად მოსდევს **ნიადაგის სიმდიდრის განიავება.** ნიადაგს არ უბრუნდება ყველა ის ელემენტები, რომლებიც მას წაერთვა; ის იფიტება მეურნეობის ველური წესით წარმოების წყალობით. თუ მიწას უფრო გაუმჯობესებული იარაღებით ამუშავებენ, მაშინ ნიადაგის სიმდიდრის განიავება კიდევ უფრო სწრაფი ტემპით სწარმოებს. ქალაქი არ უბრუნებს სოფელს მის მიერ მოხმარებულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნარჩენებს. ეს ნარჩენები გროვდება ქალაქებში ნაგვისა და უსუფთაობის სახით, რომლებიც სწამლავენ ჰაერსა და წყალს და მით ხელს უწყობენ ქალაქის მოსახლეობის ფიზიკური ჯანმრთელობის დაშლას. ქალაქსა და სოფელს შორის პროდუქტების გაცვლაში და საწარმოო ძალების განაწილებაში ადგილი არა აქვს თვით ელემენტარულ გონიერებასა და მიზანშეწონილებასაც კი.

კაპიტალიზმი საერთოდ ვითარდება არათანაბრად. მაგრამ კაპიტალიზმის არათანაბარი განვითარება გამოიხატება არა მარტო სხვადასხვა ქვეყნების არათანაბარ განვითარებაში, არამედ ამ ქვეყნების შიგნით მეურნეობის სხვადასხვა დარგების არათანაბარ განვითარებაში და, უწინარეს ყოვლისა, მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის არათანაბარ განვითარებაში. მრეწველობა დაგროვილია ქალაქებში, ხოლო სასოფლო მეურნეობა სოფლებში. მრეწველობა ვითარდება უფრო სწრაფად, ვიდრე მიწათმოქმედება. ქალაქებში თავმოყრილია მეტად დიდი რაოდენობის საწარმოო ძალები. შრომა ქალაქში უფრო ნაყოფიერი ხდება, ვიდრე სოფელში. თუ წინად, როცა მრეწველობა და მიწათმოქმედება არ იყო ერთი მეორესაგან გამოყოფილი, მიწათმოქმედება მრეწველობაზე უფრო ნაყოფიერი იყო, ეხლა კი, კაპიტალიზმის დროს საწინააღმდეგო სურათს ვღებულობთ. სამრეწველო შრომა უფრო ნაყოფიერი ხდება, ვიდრე შრომა მიწათმოქმედების დარგში.

ქალაქი ნთქავს სოფლის მოსახლეობის უზარმაზარ მასებს. დიდი ხანია ცნობილია, რომ სოფლის მოსახლეობის ნაწილი, განსაკუთრებით ახალგაზრდობა, გარბის ქალაქებში სამუშაოს საშოვნელად. ქალაქის მოსახლეობა გასაოცარი ტემპით იზრდება, ამავე დროს სოფლის მოსახლეობა აბსოლიუტურადაც კი კლებულობს. რამდენიმე ციფრი საკმარისი იქნება ამ დებულების საილიუსტრაციოთ.

ქალაქის მოსახლეობის ზრდა ათასობით:

წლები	1800 წ.	1850 წ.	უკანასკნ. აღწერით.
ლონდონი	959	2.363	7.476
პარიზი	547	1.053	3.000
ნიუ-იორკი	64	612	8.500

ამ ციფრებს კომენტარიები არ სჭირდება. ისინი ცხადათ გვიჩვენებენ, რომ ქალაქის მოსახლეობა არაჩვეულებრივი ასწრაფით იზრდებოდა.

მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ **აბსოლიუტური ზრდა,** არამედ **შედარებითიც.** ასე მაგალითად, ინგლისის ქალაქის მოსახლეობა 1851 წ. შეადგენდა მთელი მოსახლეობის 50 პროც., ხოლო 1901 წ.—78 პროც.

სოფლის მოსახლეობის შედარებითი და აბსოლიუტური შემცირება ისტორიული ფაქტია. მაგრამ ამ ფაქტს სრულიადაც არ ადასტურებს ნიადაგის ნაყოფიერების კლებადობის კანონი, როგორც ამის დამტკიცებას ცდილობენ ბურჟუაზიული ეკონომისტები. სწორედ პირიქით. თუ შედარებით და აბსოლიუტურად შემცირებული სოფლის მოსახლეობა ამზადებს პროდუქციის **იმავე ან კიდევ უფრო მეტ მასას,** მაშინ ეს ამტკიცებს მხოლოთ სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ზრდას.

მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ზრდა გვაქვს სასოფლო მეურნეობაშიაც. მაგრამ ეს ზრდა გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და სწრაფია ქალაქში, მრეწველობაში. შრომის ნაყოფიერება იზრდება სასოფლო მეურნეობაშიაც, მაგრამ ის მაინც **შედარებითია,** ე. ი. მრეწველობასთან შედარებით უფრო ნელა.

სხვადასხვა ტემპით განვითარებაში გამოიხატება სწორედ კაპიტალიზმის არათანაბარი სამეურნეო განვითარება მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში. უფსკრული სახალხო მეურნეობის ამ ორ დარგს შორის სულ უფრო და უფრო ღრმავდება. წინააღმდეგობა ქალაქსა და სოფელს შორის ძლიერდება. სხვანაირად არც შეიძლება იყოს საქონლის მეურნეობისა და კერძო საკუთრების არსებობის პირობებში.

საჭიროა უფრო დაწვრილებით გამოირკვეს საკითხი სოფლის ჩამორჩენილობის მიზეზების შესახებ ამასთანავე ერთად საჭიროა გამორკვეული იქნეს ის პირობებიც, რომლებიც შესაძლებელს გახდიან სოფლის ამაღლებას ქალაქის განვითარების დონემდე და მათ შორის წინააღმდეგობის მოსპობას.

შეიძლება თუ არა საერთოდ ამ წინააღმდეგობის მოსპობა? მარქსიზმს შესაძლებლად მიაჩნია ანტაგონიზმის მოსპობა ქალაქსა და სოფელს შორის. კომუნისტური მეურნეობა მომავალში მას წარმოდგენილი აქვს, როგორც მთლიანი და ჰარმონიული ერთეული, რომელიც გაწმენდილია საქონლის—კაპიტალისტურ მეურნეობის ყოველგვარ წინააღმდეგობებისაგან. ბურჟუაზიულ მეცნიერებს (ლუი ბრენტანო, ევგენი დიურინგი, ჰერცი, ბულგაკოვი და სხ.), პირიქით, შეუძლებლად მიაჩნიათ ამ ანტაგონიზმის მოსპობა. ისინი „სრულ ფანტაზიათ“ და „უტოპიად“ აცხადებენ სოფლის ამაღლებას ქალაქის განვითარების დონემდე; მათ არ სწამთ, რომ მომავლის იდეალური წყობილება შესძლებს სოფლის ცხოვრების ჩამორჩენილობის, ველურობის და იდიოტიზმის მოსპობას.

როგორც ვხედავთ, ეს ორი თვალსაზრისი—მარქსისტული და ბურჟუაზიული, დიდათ შორდებიან ერთმანეთს ამ კარდინალურ საკითხში. დასკვნების ეს სხვაობა არის შედეგი ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ წინააღმდეგობის მიზეზების სხვადასხვაგვარი ანალიზისა. მაშასადამე ჩვენთვის საჭიროა გავეცნოთ იმ ძირითად თეორეტიულ დებულებებს, რომლებიდანაც მარქსისტულ და ბურჟუაზიულ სკოლებს გამოჰყავთ თავიანთი დასკვნები.

ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული იდეოლოგების აზრით, სოფლის ჩამორჩენილობას განსაზღვრავს **არა სოციალური,** არამედ **ბუნებრივი მიზეზები.** ისინი გვარწმუნებენ, რომ არა კაპიტალიზმის სპეციფიური საზოგადოებრივი ურთიერთობანი აფერხებენ სოფლის სწრაფ განვითარებას, არამედ ნიადაგის ნაყოფიერების კლებადობის კანონი. ნაყოფიერების კლებადობის კანონი—ეს მარადიული და ბუნებრივი კანონი—იწვევს სოფლის მოსახლეობის გაქცევას ქალაქში, ის შეუძლებელს ხდის სასოფლო მეურნეობის საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას.

თუ ნაყოფიერების კლებადობის კანონი არის მიზეზი სოფლის ჩამორჩენილობისა და თუ ეს კანონი მარადიულია, მაშინ აქედან მხოლოდ ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: **არავითარ საზოგადოებრივ წყობილებას არ ძალუძს სოფლის უკულტურობის მოსპობა, არავითარ საზოგადოებრივ წყობილებას არ ძალუძს ქალაქისა და სოფლის წინააღმდეგობის პრობლემის გადაჭრა.** ასეთი დასკვნა გამომდინარეობს ლოგიკურად ნიადაგის ნაყოფიერების კლებადობის კანონის ბურჟუაზიულ თეორიიდან.

მარქსიზმი უარჰყოფს როგორც ამ დასკვნას, ისე იმ თეორეტიულ დებულებებსაც, რომლებსაც ის ემყარება. მარქსიზმი უარჰყოფს ნიადაგის ნაყოფიერების კლებადობის თეორიას. არაა სწორი, თითქოს შრომის ნაყოფიერება სოფლად არ იზრდებოდეს. ის ვითარდება, მაგრამ უფრო ნელა, ვიდრე ქალაქში. სოფლის ამ **შედარებით ჩამორჩენილობას** ქალაქისაგან მარქსიზმი ხსნის არა მარადიული, ბუნებრივი მიზეზებით, არამედ საქონლის-კაპიტალისტური მეურნეობის ისტორიულ-გარდამავალ, სპეციფიურ საზოგადოებრივ ურთიერთობებით.

სოფელი უკან რჩება ქალაქს. ცხადია, რომ ეს ჩამორჩენაა (როგორც სამეურნეო, ისე პოლიტიკური და ინტელექტუალური მხრით) გამოწვეულია, უწინარეს ყოვლისა, **სამეურნეო** ჩამორჩენილობით. სოფლის მეურნეობა უკან რჩება მრეწველობის განვითარებას. თუ ჩვენ გამოვარკვევთ კაპიტალისტური წარმოების ასეთ აჩქარებული განვითარების მიზეზებს, მაშინ ძნელი არ იქნება სოფლის ჩამორჩენილობის მიზეზების გაგება. მაშინ ნათელი გახდება ის დებულებაც, რომ აღნიშნული მოვლენა არის **ისტორიული - გარდამავალი** მოვლენა, რომ მისი მოსპობა შეიძლება ახალი კომუნისტური წყობილების შექმნით.

სასოფლო მეურნეობა თავის განვითარებაში უკან რჩება მრეწველობას არა ბუნებრივი (ნიადაგის ნაყოფიერების კლებადობის კანონი), არამედ საზოგადოებრივი მიზეზების გამო. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში არსებული სპეციფიური საზოგადოებრივი ურთიერთობანი ხელს უშლიან პროგრესს, აფერხებენ განვითარების საქმეს.

როგორია ეს სპეციფიური საზოგადოებრივი ურთიერთობანი?

ჩვენ ვლაპარაკობთ **მიწაზე კერძო საკუთრების არსებობის შესახებ.** მიწის კერძო საკუთრება მით განსხვავდება კერძო კაპიტალისტურ საკუთრებისაგან საწარმოო იარაღებზე, რომ ეს უკანასკნელი შექმნილია მუშების შრომით, მათზე დახარჯულია ადამიანის შრომა, რომლის ნაყოფსაც ითვისებს კაპიტალისტი. პირიქით, მიწა არ არის ადამიანის შრომით შექმნილი, ის წარმოადგენს საწარმოო საშუალების განსაკუთრებულ სახეს — ბუნების **განძს,** რომელსაც კერძო მიწის მესაკუთრე დაეუფლა, დაეპატრონა.

ყოველი კაპიტალისტი, რომელიც მიწას იჯარით ღებულობს, ვალდებულია მიწის მფლობელს მისცეს რენტა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი არ დაუშვებს მას თავის ნაკვეთზე. მაგრამ კაპიტალისტმა უნდა მიიღოს საშუალო მოგება, სხვანაირად ის არ ჩადებს თავის კაპიტალს სასოფლო - მეურნეობაში. მიწის საკუთრება და საიჯარო პირობები ზღუდავენ კაპიტალის მოთავსებას სასოფლო - მეურნეობაში, ისინი ქმნიან ვიწრო ფარგლებს საწარმოო ძალთა განვითარებისათვის სოფლად. **იჯარით აღებულ მიწის ნაკვეთზე, კაპიტალისტი ხარჯავს მხოლოდ იმდენ კაპიტალს, რომლის უკანვე სარგებლით მიღების იმედი აქვს საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ.** წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დაბანდებული კაპიტალი დარჩება მიწათმფლობელს, რომელიც კიდევ უფრო გაადიდებს მომავალში საიჯარო ქირას. როგორც ვხედავთ, მიწის რენტა წარმოადგენს გადასახადს სასოფლო - მეურნეობის პროგრესზე, მის საწარმოო ძალების განვითარებაზე. მარქსმა და ლენინმა გასაოცარი სიცხადით დაამტკიცეს ეს დებულება თავიანთ ეკონომიური შრომებში.

კაპიტალიზმს არ მოუსპია ფეოდალური საკუთრება მიწაზე. მან მხოლოდ **მისი ფორმა** შესცვალა და **შეუგუა თავის ბუნებას.** თანამედროვე მიწის საკუთრება არის ფეოდალური საკუთრების [illegible] ლი ფორმა. კაპი[illegible] მმა [illegible] ა დაიყვანა დამატ[illegible] მდე, მან ის მთელ[illegible] ლოდ მის ნაწილად[illegible]. [illegible] ური მიწის რენტ[illegible] მოგების მხოლოდ იმ[illegible], რომ [illegible] რჩება კაპიტალისტ[illegible] საშუალო მოგების [illegible].

[illegible] იზმს რომ მოესპო [illegible] მიწაზე, მაშინ ის აჩქა[illegible] სასოფლო - მეურნეობის განვითარებისათვის. [illegible] ბოდა აცილებული [illegible] ოლება ტეხნიკური [illegible] ად. მაშინ სასოფლო [illegible] ჩამორჩებოდა უკან [illegible] ელი ასეული წლებით [illegible] ველი და მეორე [illegible] ების ტემპი მაშინ [illegible] ებოდა მხოლოდ მოსო[illegible] ი. კაპიტალიზმს [illegible] არ იქნებოდა დამოკ[illegible] ტის სიდიდეზე, ე. ი. [illegible] ფეოდალურ კერძო [illegible] იერთობაზე.

[illegible] ვე ვსთქვით, რომ კაპ[illegible] მს [illegible] სპია მიწის კერძო [illegible] ც შეუძლია მისი მოს[illegible] რეტიულად წარმოსად[illegible] ტური წარმოება მიწ[illegible] თრების არსებობის [illegible].

[illegible] უაზიული ეკონომისტ[illegible] საკუთრების არსებო[illegible]. ი. [illegible] ურ საზოგადოებრივ [illegible] ვერ ხედავენ ან არ [illegible] სოფლის ჩამორჩენის [illegible] ები. ამ მიზეზს ხედავენ ვიე[illegible] კლებადობის კანონ[illegible] „[illegible] ივ“ თავისებურებ[illegible] უკვე მეცნიერება კი არ[illegible] იკაა, ვინაიდან მეცნიერ[illegible] ადაც თავდება აპოლოგ[illegible].

[illegible] ლაპარაკობს, რომ კ[illegible] ენა ქალაქისაგან გამ[illegible] ლია [illegible] დოებრივ ურთიერთობ[illegible] სოფ[illegible] ურნეობაში ამ ურთიე[illegible] ბა მოასწავებს იმ დაბრ[illegible] ბას, რომელიც წინ ეღობ[illegible] რდას, მის სამეურნეო, ი[illegible] ა კულტურულ წინსვლ[illegible] ანიზმი ნიშნავს საწარმო[illegible] ზე ყოველგვარ კერძო [illegible] სპობას, მათ რიცხვში [illegible] საკუთრებისაც. კომუნიზ[illegible] საქონლის მეურნეობის [illegible] ოდ. სწორედ ამიტომ [illegible] ლება [illegible] იზმის დრო სასოფლო [illegible] და მრეწველობის გან[illegible] ნიული შეთავსება. სწო[illegible] შეიძლება მაშინ ქალაქ[illegible] მიერ [illegible], როგორც ეკონომ[illegible] ისე [illegible] ნომიური, ექსპლოატაცია [illegible].

[illegible] შასადამე, ქალაქსა და სო[illegible] შო[illegible] არსებულ წინააღმდეგობ[illegible] [illegible] დ აუცილებელია როგორც [illegible] ების კაპიტალისტური წესის, საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრებისა და მეურნეობის ანარქიისა, ისე **მიწის კერძო საკუთრების** მოსპობაც. კერძო საკუთრების ინსტიტუტის მოსპობა საერთოდ იძლევა საწარმოო საშუალებების უდიდეს ეკონომიას და შესაძლებლად ხდის მიმართულ იქნეს ეს საშუალებები, რომელთაც კაპიტალიზმი ველურად იყენებს, მთელი სახალხო მეურნეობის რაციონალურ და მიზანშეწონილ ორგანიზაციისაკენ.

ამიტომ სავსებით მართალია ენგელსი, რომელმაც დიურინგთან პოლემიკის დროს, მოგვცა ჩვენთვის საინტერესო საკითხზე მარქსისტული მოძღვრების შემდეგი შესანიშნავი ფორმულიროვკა: **„მხოლოდ ის საზოგადოება—ამბობს ენგელსი—რომელსაც მთლიანი საერთო გეგმის მიხედვით ძალუძს საწარმოო ძალების ჰარმონიული ამოძრავება, მოახერხებს ისე მოაწყოს ისინი, რომ შესაძლებელი იქნება სამრეწველო საწარმოთა თანაბარი განაწილება მთელ ქვეყანაში და საფაბრიკო წარმოების დაახლოვება სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან, ვინაიდან ეს აუცილებელია საწარმოო ძალების განსავითარებლად და შესანარჩუნებლად.** ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ წინააღმდეგობის თავიდან აცილება უნდა მოხდეს არა მარტო ინდუსტრიალურ და სამიწათმოქმედო წარმოების ინტერესებისათვის, არამედ აგრეთვე **საზოგადოებრივი ჰიგიენის დასამყარებლადაც.** მხოლოდ ქალაქისა და სოფლის მთლიან ერთეულში გაერთიანებით შესაძლებელია ჰაერის, წყლის და ნიადაგის ეხლანდელი მოწამვლის მოსპობა, და მხოლოდ ამ შემთხვევაში ქალაქის მოსახლეობის არა ჯანსაღი მასები შესძლებენ ისეთი მდგომარეობის შექმნას, რომ მათი უვარგისი ნარჩენები, იმის ნაცვლად რომ მათ შორის ავადმყოფობა გაავრცელოს, სასარგებლო მასალათ იქცევა ბუნების საერთო ლაბორატორიაში და ხელს შეუწყობს სასოფლო მეურნეობის წარმატებას“*). (კურსივი ჩვენია. კ. ო.).

კაპიტალიზმმა შექმნა მატერიალური წინასწარი პირობები ქალაქისა და სოფლის შესაერთებლად, მაგრამ **მხოლოდ** მატერიალური. კომუნისტური განსაზოგადოებრივებული მეურნეობა, რომლისათვისაც უცხოა (კაპიტალიზმის საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი, იქნება ინდუსტრიისა და მიწათმოქმედების, ქალაქისა და სოფლის შეთავსების—სინტეზის უმაღლესი ფორმა.

კ. ორაგველიძე.

---

*) მარქსი—კაპიტალი. ტ. I, გვ. 48.

*) ენგელსი—ანტი-დიურინგი, გვ. 263—264.

პარტიული ცხოვრება

პარტია არ დაუშვებს ლენინიზმიდან გადახრას

(უ. კ. პ. (ბ) ცეკას პლენუმი ეროვნული შესახებ)

ხარკოვი, 7 ივლისი. უ. კ. პ. (ბ) ცკას პლენუმი, რეზოლიუციაში, დასავლეთ უკრაინის კომპარტიის ეროვნულ პოლიტიკის შესახებ, აღნიშნავს, რომ დასავლეთ უკრაინაში ამ ბოლო დროს იქმნება საზოგადოებრივ ძალთა ახალი ურთიერთობა. დასავლეთ უკრაინის მსხვილი და საშუალო ბურჟუაზია გადადის პოლონეთის ფაშიზმთან შეთანხმების ნიადაგზე და სწყვეტს კავშირს ეროვნულ-რევოლიუციონურ მოძრაობასთან. დასავლეთ უკრაინის ქალაქის და სოფლის წვრილბურჟუაზიაში ადგილი აქვს ერთგვარ მერყეობას. მაგრამ მნიშვნელოვანი მასები ისევ მტრულად არიან განწყობილი ფაშიზმთან შეთანხმების ცდისადმი.

იმ ბრძოლაში ფართო გლეხური მასების და ხაზურობად, რომელსაც სწარმოებს დასავლეთ უკრაინის ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს შორის, ბურჟუაზია სცდილობს გახრწნას მუშათა კლასის ძალები და არევ-დარევა შეიტანოს კომუნისტური პარტიის რიგებში.

ამ უკანასკნელ დროს დასავლეთ უკრაინის კომპარტიის ხელმძღვანელ ორგანოს—[illegible] ცეკას მოღვაწეობაში თავს იჩენს ისეთი სიმპტომები, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დას. უკ. კ. პ. ცეკა აშკარად მოექცა ბურჟუაზიულ და წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიის გავლენის ქვეშ.

რეზოლიუცია ჩამოთვლის დას. უკ. კ. პ. წინაშე მდგომ ამოცანებს:

დასავლეთ უკრაინის მუშათა მასებთან კავშირის გაძლიერება; დასავლეთ უკრაინის ყველა ეროვნების პროლეტარების გაერთიანება კომუნისტურ დროშის ქვეშ; მათი აღზრდა ინტერნაციონალიზმის პრინციპების მიხედვით; დასავლეთ უკრაინის მუშათა მოძრაობის მტკიცე კავშირის დამყარება მთელი პოლონეთის მუშათა მოძრაობასთან; სისტემატიური ხელმძღვანელობა იმ ბრძოლის, რომელსაც აწარმოებენ მშრომელი მასები ეკონომიურ, პოლიტიკურ და ეროვნულ ნიადაგზე; ყოველმხრივი ხელისშეწყობა აგრარულ მოძრაობის განვითარებას; აგრარული მოძრაობის [illegible] ეროვნული განთავისუფლებისთან პროლეტარიატის ეროვნულ-თავისუფლო ბრძოლასთან; ბრძოლა ეროვნულ-რევოლიუციონური მოძრაობის შემდგომ განვითარებისთვის, პოლონეთის ფაშისტურ მთავრობასთან შეთანხმების წინააღმდეგ; გავლენის გავრცელება ქალაქის და სოფლის წვრილბურჟუაზიულ ელემენტებზე, რომლებიც მათ ემხრობიან; ბრძოლა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ პარტიების შემთანხმებლურ პოლიტიკასთან; [illegible] და მეცე ბრძოლა ცილისწამებისა და [illegible] კონტრ-რევოლიუციონურის წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებენ ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და [illegible] პარტიები და მათი მიმდევარი ორგანიზაციები [illegible], საბჭოთა კავშირის, საკ. კ. პარტიისა და უ. კ. პ. (ბ) წინააღმდეგ; შემთანხმებელ ელემენტების და ყოველგვარ წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობის [illegible] მუშათა კლასის ყველა და დასავლ. უკრაინის ფართო მშრომელის მობილიზაცია პილსუდსკის ინტერვენციულ პოლიტიკის წინააღმდეგ; საბჭოთა თავის [illegible] ნაციონალისტური გადაჭრით ულაპარაკოდ დაძლევა.

დას. უკ. კ. პ. (ბ) ხედავს, რომ მას საჭიროა მიმართ კომინტერნს და პოლონეთის კომპარტიას, რათა მათ განიხილონ უკრ. კომ. პარტიის ცეკას ეროვნული საკითხი და ამით ხელი შეუწყონ კ. პ. ს ლენინურ გზაზე დადგომის საქმეში. (ს).

თბილისის კომიტეტის პლენუმი

მეორე სხდომა

თბილისის კომიტეტის პლენუმის მეორე სხდომაზე საბინაო მშენებლობის საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ასრიევმა.

მან განაცხადა, რომ საბინაო მშენებლობის საკითხი [illegible] სწარმოებს მუშაობა ორი გზით: პირველი—შენარჩუნება და გაუმჯობესება არსებულ სახლებისა, ხოლო მეორე—ახალი მშენებლობა. პირველი საკითხის მოსაგვარებლათ შემოღებულ იქნა ახალი საბინაო ტარიფი, რომლის ცხოვრებაში გატარება უშუალოდ დაკავშირებულია ბინების შოვნასთან. თუ შევადარებთ თბილისის საბინაო ტარიფს სხვა ქალაქების ტარიფთან—შევნიშნავთ, რომ ის ძლიერ მცირეა. დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კონტროლის გატარებას, რომ საბინაო გადასახადი აუცილებლად სახლების შეკეთებას და გაუმჯობესებას მოხმარდეს. აგრეთვე აუცილებლობას წარმოადგენს გამრავლდეს საბინაო სასამართლოების რიცხვი, რომ მათ შესძლონ თავის დროზე სწრაფათ გაარჩიონ სახლის მფლობელისა და მდგმურის შორის წამოჭრილი დავა. საბინაო ამხანაგობების განკარგულებაში მყოფ სახლების მდგომარეობა უფრო უკეთესია, ვიდრე სახლების 90 პროც. არ საჭიროებს შეკეთებას.

მეორე საკითხი, რომელიც საბინაო-მშენებლობის ძირითად საკითხად უნდა ჩაითვალოს—არის ახალი მშენებლობა. ჩვენ უნდა გამოვნახოთ ამისათვის სათანადო წყაროები; ასეთად უნდა ჩაითვალოს: 1) საბინაო გადასახადი, 2) [illegible] ანარიცხ-მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესების ფონდი, 3) სავაჭრო და სამრეწველოებიდან ხსული პროცენტული ები, 4) ადგილ. ბიუჯეტიდან თანხები, მშენებლების საკუთარი, 6) კრედიტი ცენტრალ. კომუნალურიდან.

თბილისელებთა რიგი ამჟამად უდრის 29 ათ. ს. ამ რიცხვთან შედარებით საბინაო კრიზისი. ფაქტიურად თვითეულ სულზე 2,3 კვ. არშინი მოდის, როდესაც საჭიროა. არშინი; სხვა დეფიციტი უდრის ას კვ. არშინის საჭიროება ყოველწლიურად იზრდება 3 პროც., ამ მოსახლეობის საჭირო გახდა საბინაო ფართის გადიდება კვ. არშ. რაოდენობით. ამ საქმისათვის მიმდინარე წელში უნდა დაიხარჯოს 1.747.000 მან.

ამხ. მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვოლმა, ნაზაროვმა, ბურცევაშვილმა, ნადირსკიმ, ხლოპეცკიმ, ძამ, მესხმა, ბჟაშვილმა, უმიკაშვილმა და აჯკოვმა.

კამათის შემდეგ პლენუმმა მოისმინა ივეის საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ მიღებულ იქნა რეზოლიუცია—გუშინდელ მეზე ამხ. ფაჩ მახარაძის გარშემო საბინაო მშენებლობის საკითხის გარშემო.

მ. ლაჯვრელი.

ა. ლ. კ. კ. თბ. კომიტეტის და რკომების გაერთიანებული პლ.

გუშინ შესდგა ს. ა. ლ. კ. კ. ტ. კომიტეტის და რაიკომების გაერთიანებული პლენუმი. პლენუმის დღის წესრიგში იდგა საკითხი ომის საშიშროებისა და კომკავშირის ამოცანების შესახებ, რომლის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. რატნეკი.

მომხსენებელმა ვრცლად დაახასიათა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის სიმწვავე. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ჩვენ ბურჟუაზიული ქვეყნების ტექნიკა იმდენად ვაჭარბებთ, რომ ამ უკანასკნელმა რაღაც საშინელი მისტიური სახე მიიღო ჩვენი მუშების და გლეხების თვალში. დროა განვაცხადოთ, რომ არც ჩვენ ვაყენებულვართ ერთ წერტილზე, ჩვენც გვაქვს მიღწევები სამხედრო ტექნიკაში და ამ მხრივ გაცილებით მაღლა ვდგევართ ჩვენს მოსაზღვრე სახელმწიფოებზე. აშკარაა, რომ კაპიტალიზმი მდიდარია არა მარტო ტექნიკით, არამედ წინააღმდეგობითაც, რომლებიც მას არ მისცემენ მთელი ტექნიკის ჩვენს წინააღმდეგ გამოყენების საშუალებას. ის შეხედულება, თითქოს მომავალ ომს არ ექნება რაიმე მსგავსება წარსულ მსოფლიო ომთან და ის იწარმოებს მხოლოდ გაზებისა და ავიაციის საშუალებით, შემცდარია.

თავდაცვის კვირეულის ჩატარებით ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფსიქოლ. მობილიზაციისა და თავდაცვის გარშემო, რომლითაც განუმარტოთ ამ წინააღმდეგ ომის ხასიათი ღონისძიებები, რომელთა მიღებაც აუცილ. საბჭოთა კავშირ დასაცავად.

მომხსენებელი ეხება კომკავშირის კონკრეტულ ამოცანებს თავდაცვის გაძლიერების საქ. აღნიშნავს, რომ წითელ არმიას არ შეუძლია რიგებში ვარდის და მოამზადოს მშრომელი მოსახლეობა. სწორედ ამ მიზნით ამჟამად ა. ლ. კ. და სხვა ორგანიზაციები [illegible] მშრომელთა გასაცნობად სხვა სახეების, [illegible] (სასპორტო ორგ.).

კომკ. უნდა გააძლიეროს კავშირი არმიასთან წითელი არმიისათვის [illegible] ახალგაზრდობა იზრუნოს იმაზე, რომ სამხედრო სკოლაში გაიგზავნონ საუკეთესო კომკავშირელები, გააძლიეროს მუშაობა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებში და სხვ. ამ ღონისძიების გატარებით ლ. კომკავშირი შეიტანს თავის წვლილს პროლეტარულ სახელმწიფოს საზღვრების განმტკიცებისა მისი არსებობის ეკონომიკის საქმეში.

მოხსენებაზე პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია.

კ. სუშელი.

უნდა შემოვიღოთ წევრთა მორიგეობა*)

2 და 3 ივლისს ჩატარდა კოოპერაციის საერთაშორისო დღე. ეს დღე მაჩვენებელია იმის, თუ რა დიდი ფასი და მნიშვნელობა აქვს კოოპერაციას საზოგადოთ მშრომელი ხალხისთვის.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ყოველი ახსნა-განმარტება ამაგრებს და ამტკიცებს იმ ორგანიზაციას, რომლის სასარგებლოთაც ეწყობა და ტარდება ის.

მე მინდა შევეხო ერთ საჭირბოროტო საკითხს, რომლის ცხოვრებაში გატარება დიდ სარგებლობას მოუტანს სამომხმარებლო კოოპერაციას. რატომ არის ზოგჯერ უკმაყოფილო კოოპერაციით მისი წევრები? ჩამოვთვალოთ თვითეული მიზეზი ცალ-ცალკე.

1) კოოპერაცია არ არის ყოველგან მოწყობილი, ე. ი. კოოპერაცია და კოოპერაციის შორის დიდი მანძილია, რაც ცხადია, უძნელებს მშრომელ ხალხს თავის კოოპერაციასთან მჭიდრო კავშირი დაიჭიროს.

2) კოოპერაციის მაღაზიებში არ არის საკმაო რაოდენობით ის საქონელი, რომელიც ესაჭიროება მშრომელ მომხმარებელს.

3) ძალიან ხშირად საქონელი ძვირად იყიდება, მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი კოოპერაცია ბევრნაირი შეღავათებით სარგებლობს, კერძო ვაჭართან შედარებით.

4) არ არის კარგი თვისების და ღირსების საქონელი, თუმცა კოოპერაციის პირდაპირი დანიშნულებაა, კარგი საქონელი ჰქონდეს.

5) კოოპერაციის თანამშრომლები ზოგჯერ უკმეხად ეპყრობიან მყიდველებს.

მე მაქვს სურვილი ცალკე გამოვჰყო უკანასკნელი მიზეზი,—კოოპერაციის თანამშრომლების მოქმედება-მოპყრობა მყიდველებისადმი. ბევრგან გაიგონებთ საყვედურს და საჩივარს იმის შესახებ, რომ „კოოპერაციის მაღაზიაში მოსამსახურე ტლანქათ, და უხეშად მოეპყრათ“.

მე აქ ლაპარაკი მაქვს საზოგადოთ, და არა გამონაკლისზე,—თითო-ოროლა კარგი თანამშრომელი ყოველგან არის და იქნება კიდეც, ფიქრობ, დეე ნუმის ეწყინება თითება. განა ცა იწერება გაზი საყვედური დაჩივარი? მაგრამ ერთი ეშველა. ერთ-ერთი გზა ცალება იმის, რომ კოოპერაციის რომელნი ზრდილიანი და თავაზიანი მყიდველებისადმი არის ება ის, რომ უხეშა უკმეხი თანამშრომელი იქნას სამუშაოდან დათხ. მაგრამ კითხვა ბადება: ვინ უნდა ჰქონდეს კონტროლი ადევნოს ეური კოოპერაცია თანამშრომლებში, თუ როგორ იქცევიან და ეპყრობიან ისინი მიმსვლელ მყიდველებს? აზრით საჭიროა შემოღებული იქნეს კოოპერაციის მაღაზიებში კოოპერ. წევრების უსასყიდლო მორიგეობის პირდაპირი დანიშნულებაა კონტროლი გაუწიოს და თვალ ადევნოს კოოპერაციის მუშაობას საზოგადოთ. და კერძოდ და პირადობით კი თვალყური ადევნონ კოოპის თანამშრომლების მოქცევა-მოპყრობას. რა დადებითი მხარები აქვს კოოპერაციის წევრის მორიგეობას კოოპის მაღაზიაში? 1) კოოპერაციის რიგი წევრი მორიგეობის მიზეზით კოოპერაციის აქტიურ წევრათ, აქცევს მას თვითმოქმედს. 2) კოოპერაციის წევრს კოოპერაციის დაწესებაში მორიგეობა ზოგით თავის უხეშ კოოპერაციის თანამშრომლებს ამოსდებს და თავაზიანობას ბრძოლობას ასწავლის, გაწორე კი სათანადო და შესაფერ სასჯელს თვითვნებს და 3) კოოპერაციის წევრი მორიგეობა საშუალებასა შესაძლობას მისცემს მყიდველს, რომ ხეების დროს საჩივრით მიმართონ ე. ი. მორიგეებს, ეს უკანასკნელ დროზე მიიღებს შესაფერის საჭირმებს.

კოოპერაციის მაღაზიებში კოოპერაციის წევრებისათვის მორიგეობა იქნებოდა და საძნელო, რადგან თვით წევრს მოუხდება მორიგება 5-ივეში ერთხელ. ასეთი ხასიათის გეგმის შემოღება და დასწება სარგებლობას მოუტანს კოოპერაციის ზრდა-განვითარებას საზოგადოთ.

კ. ხომერიკი.

---

*) წინადადების სახით.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

მალარიით დაავადმყოფება

ბათომი, 6 ივლისი. მალარიით დაავადება ბათომში მიმდინარე წლის ივნისში 35 პროც. მეტია ვინემ მაისში იყო. ივნისის განმავლობაში ბათომის სამალარიო სადგურმა გაატარა 1404 მალარიით დაავადებული, მაშინ როცა მაისში მისი რიცხვი 1079 უდრიდა. (ადს)

ჭადრაკის ჩემპიონატი

ბათომი, 6 ივლისი. აჭარისტანის ფიზკულტურის უმაღლესი საბჭო ბათომში აწყობს ჭადრაკის ჩემპიონატს, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს აჭარისტანის 14 საუკეთესო მოჭადრაკე. ჩემპიონატი 7 ივლისს გაიხსნება. (ადს)

ცენტრალური ბიოლოგიური სადგური

ბათომი, 6 ივლისი. აჭარისტანის მიწად-მოქმედების კომისარიატი ბათომის ბოტანიკურ ბაღში ხსნის ცენტრალურ ბიოლოგიურ სადგურს. (ადს)

წერილები

მოითხოვენ სასწრაფო დახმარებას

(უხუთი, ქუთაისის მაზრა)

ქუთაისის მაზრაში, აჭარის მთების ჩრდილოეთ კალთებზე 7—8 თემია გაშენებული. სწორეთ ეს თემებია წელს უსიმინდობით სხვებზედ უფრო დამშეული. ამის მიზეზია წასული შემოდგომის ნაადრევი ყინვები, რომელმაც მაღალ მთებში, ტყესთან ახლო მყოფი სიმინდის ყანები სულ მოჰყინა. შედარებით სხვებთან ყველაზე უფრო დაზარალდა უხუთის თემი, რომლის ყანები 1 კილომეტრის სიმაღლეზე ზღვის ზედაპირიდან და უფრო შეჭრილია მთების ტყიან კალთებში გა. ზაფხულიდან ნახევარი უხუთელი გლეხობა სიმინდს ყიდულობს. ეხლა კი 700 კომლამდეა სრულიად უსიმინდოთ. ასეთი გაჭირვება არ ახსოვს ჯერ არავის. ხშირი შემთხვევებია, რომ მთელი კვირაობით ოჯახი მარილ-მოყრილ ჭინჭარით და სხვა მინდვრის მხალით იკვებება. ყოველ დღე მოდის ცნობები ასეთი კვებისგან მუშაობის დროს გულის წასვლის შესახებ. მაზრაღმასკომმა თემისათვის გადადო ხუთი ათასი ფუთი სიმინდი, ფუთი ადგილზე ჯდება სიშორის გამო რვა აბაზი. სამწუხაროთ 400 კომლამდე გლეხობა ამ სიმინდით სრულებით ვერ ისარგებლებს, რადგან არავითარი საშუალება მათთვის ფულის საშოვნელად არ არსებობს. შარშან აქ გასაყიდი თხილი სრულებით არ მოსულა, ამ წლის მოსავალსაც ცუდი პირი უჩანს. წლევანდელი აბრეშუმი თითქმის სულ დაიღუპა უამინდობის გამო. ღვინის ფასი ძლიერ დაეცა და მყიდველიც არსად სჩანს. ულარიბესმა გლეხობამ და კომუჯრედმა აღძრეს შუამდგომლობა ნოემბრამდის სესხის სახით ღარიბთათვის რვა ათასი ფუთი სიმინდის გადადების შესახებ.

თუ ამ ორ კვირეში მაინც არსაიდან გაჩნდა დახმარება, დიდი უბედურება დატრიალდება აქ, გლეხობა სრული ნდობით და იმედით უცდის შუამდგომლობის შედეგს. დარწმუნებული ვართ, ხელისუფლება გამონახავს საშუალებას ახალ მოსავლამდის ოთხი თვის განმავლობაში მათ გამოსაკვებათ.

ალ. თვარაძე.

ქიზიყის აჯ-კარგი

(სიღნაღის მაზრა)

მაისის შუა რიცხვებიდან ქიზიყში წვიმა არ მოსულა. ქიზიყში კი სწორედ ამ დროს არის აუცილებელი წვიმა, რადგანაც თუ მიწა არ არის დამბალი, თამბაქოს ნერგის გადარგვა ყოვლად შეუძლებელია.

დაიღუპა აუარებელი შრომა და ჯაფა გაწეული სათამბაქო, მიწების მოხნენა და დაკვალვაგამზადებაში.

არც ვენახების მდგომარეობაა სახარბიელო, მაისის თვის პირველი რიცხვების გამუდმებულმა და დაჟინებულმა წვიმებმა ქიზიყელებს ხელი შეუშალა დროზე ეწამლათ შაბიამანით ვენახებისათვის, მართალია გამოდარების შემდეგ ყველამ მოწამლა ვენახი, მაგრამ დაგვიანდა, ხორბლეულის შემოდგომის ნათესებიც წელს არა დამაკმაყოფილებელია. გაზაფხულის ჟუჟუნა წვიმებმა ვეღარა უშველეს რა ზამთრის უთოვლობით დაჩაგრულ, გათხელებულ ჯეჯილებს.

ზოგიერთ ალაგას ყანები არც კი მოიმკება, ბალახივით უნდა გაითიბოს. ასე, რომ იმდენი გამოსავალი არ ექნება ყანას, რაც მასზე ჯაფა იქნება გაწეული.

მაშასადამე სას.-მეურნ. ეს სამი დარგი, სამი უმთავრესი წყარო ცხოვრებისა, ქიზიყელთ ხელიდან გამოცლილი აქვთ. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გაწერის დროს ქიზიყის წლევანდელი მოუსავლიანობა სახეში უნდა იქნეს მიღებული.

ქალარა.

წერილებიდან

— **ებრაელთა შორის მუშაობა მოისუსტებს.** (სენაკის მაზრა). მთელი ყურადღება დღეს მიქცეული უნდა იყოს ებრაელთა შორის მუშაობაზე. აბაშაში და ბანძაში მოსახლეობის ნახევარზე მეტი ებრაელებია. მაგრამ მათში არავითარი კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა არ სწარმოებს. საჭიროა ამას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

ან. ბეთლემელი.

— **აგრონომის საქმიანობა.** (ნოქალაქევის რაიონი, სენაკის მაზ.). ჩვენი რაიონის აგრონომი კარგად ასრულებს თავის მოვალეობას, ხშირად დადის თემებში და გლეხებს აძლევს რჩევადარიგებას ყოველგვარი აგრონომიულ საკითხებზე. მისი ხელმძღვანელობით მოწყობილი იქნა ერთთვიანი მევენახეთა კურსები. გარდა ამისა კომკავშირის აგრო-წრესაც ის ხელმძღვანელობს.

ნ. ბეთლემელი.

— **ექიმბაშების საქციელი.** (სოფ. კარდანახი, სიღ. მაზრა). ჩვენი გლეხობის ზოგიერთ წრეში ძველებურად არის დარჩენილი რწმენა შელოცვისა და ექიმბაშების. ხსნას და შველას ისინი ძონძიც ექიმბაშ ქალისაგან, ან ვინმე გაიძვერა ადამიანისაგან მოელიან, რომელიც უსირცხვილოთ ატყუილებს შეუგნებელ უვიც გლეხობას. ექიმბაში ხშირად ასალმებს სიცოცხლეს, ავადმყოფს ალევინებს წამალს რაღაც უსუფთაო ბალახებისაგან და ჰკლავს. ამის წინააღმდეგ საჭიროა ზომები.

ვანო მათიაშვილი.

— **მადლობის ღირსი არიან.** (წითელი წყარო, სიღნაღის მაზრა). დაბა წითელ წყაროში შესდგა განსაკუთრებული კომისია ჭლექთან ბრძოლის მიზნით, კომისიის მოვალეობას შეადგენდა მოეწყო წარმოდგენები, გაემართა საღამოები, და ლექციები და აგრეთვე ყულაბებით ფულის შეგროვება. ეს საქმე კომისიამ კარგად შეასრულა. წარმოდგენიდან, საღამოდან და სხ. სულ შემოვიდა 104 მანეთი და 27 კაპ.

მადლობის ღირსი არიან კომისიის წევრები და ის ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობდენ ჭლექის სამდღიურის ჩატარებას.

ზაქ. დ.

— **რადიომ ჩვენშიაც მოაღწია.** (ნოქალაქევი, სენაკის მაზრა). ამ ბოლო დროს აქ დადგეს რადიო, მთელი თემის ინტელიგენცია და გლეხობა გახარებულია რადიო-მიმღები აპარატის დადგმით, კვირაში 6-ჯერ ვისმენთ მოხსენებებს, ლექციებს და კონცერტებს. გლეხებიდან ხშირად გაიგონებთ, რომ ვინ მოიტანდა ამას ნოქალაქევში გარდა ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების მეტი.

ან. კურცხალია.

— **ხიდი უნდა ავაგოთ.** (დ. ნაგომარი, გურია) დაბა ნაგომარის მცხოვრებლებს დიდი ხანი ქონდათ ლაპარაკი მდ. სუფსის ხიდის აგებაზე, მაგრამ ლაპარაკმა ფუჭად ჩაიარა. დაბა ნაგომარს აუარება ხალხი აწყდება სხვა სოფლიდან სავაჭროდ, მაგრამ ამას აფერხებს ხიდის უქონლობა. მასალა უკვე მოტანილი იყო, მაგრამ სადღაც დაიკარგა. ამას უნდა მიაქციოს ყურადღება ოზურგეთის სამაზრო აღმასრულებელმა კომიტეტმა.

შალვა ციტიაშვილი.

მუშათა ცხოვრება

ჩვენი მიღწევები

კამოს ქუჩაზე № 68, თბილისის აღმასკომს აქვს ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით მოწყობილი სტამბა № 1. ამ სტამბაში თითქმის ორი წელი იქნება, რაც მუშაობს გერმანიიდან მოტანილი სრულიად ახალი ლინოტიპის სისტემის საწყობი მანქანები.

სტამბაში უმთავრესად იბეჭდება თითქმის ყველა გაზეთები და ჟურნალები დაწყებული „კომუნისტი“-დან და „მუშა“-დან და სხვა მრავალი პერიოდული გამოცემანი, რომელიც საბჭოთა საქართველოს მასიურ მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ვინაიდან გაზეთების ტირაჟი საგრძნობია, ამიტომ ამ სტამბას აქვს აგრეთვე მსწრაფლმბეჭდავი „როტაციონის“ სისტემის მანქანებიც.

ლინოტიპის სისტემის ასოთ-ამწყობ მანქანების განყოფილების დიდი ნაკლი დღემდე იმაში მდგომარეობდა, რომ მას არ გააჩნდა სრულებით „ვინტილიატორი“. განყოფილებაში კი მოთავსებულია ათი ასეთი მანქანა, რომლებსაც განსაკუთრებული ფარსუნკები უდგას ქვეშ ტყვიის ლითონის დასადნობად. 10 მანქანის ლითონის დნობა განყოფილებაში აყენებდა აუტანელ და მძიმე ჰაერს, რომელიც მუშათა ჯანმრთელობას დიდ ვნებას აყენებდა.

ზაფხულის სიცხე-პაპანაქებამ გახადა აუტანელი განყოფილებაში მუშაობა. სტამბის დირექტორი ამხ. ს. კაიტანჯიანი მუშებს შეჰპირდა, რომ გააკეთებდა საუკეთესო „ვინტილიატორს“ ლინოტიპის განყოფილებაში. მუშებიც ველოდით მას და ჩვენი მოლოდინი სრულიად გამართლდა. თბილისის აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების მიერ გამოკოფილი იქნა ამ „ვინტილიატორის“ მოსაწყობად ინჟ. ბეჟანოვი და მექანიკი იორდანაშვილი.

ბოლოს სტამბის დირექტორის მიერ დადებულ იქნა ხელშეკრულება მოსკოვის „მაშინოტრესტის“ თბ. განყოფილებასთან ძრავის საშუალებით ვინტილიატორის გაკეთების შესახებ და დაიდგა საუკეთესო მოწყობილი ჰაერის გამტანი, რომელიც ისე არის მოწყობილი, რომ ყველა ლინოტიპის მანქანებიდან გააქვს 7 კუბიკური მეტრი ჰაერი წუთში. ამრიგად ათი ლინოტიპის მანქანიდან ვინტილიატორს გააქვს წუთში 70 კუბიკური მეტრი გაფუჭებული ჰაერი და მთელი განყოფილება იწმინდება მოწამლული ჰაერისაგან ვ. ინტილიატორის მოწყობილობა ექსგაუტერის სისტემისაა, სულ მის მოწყობაზე დაიხარჯა 2.000 მანეთი. ამითვე იწმინდება აგრეთვე საპირფარეშოს ცუდი ჰაერიც.

თბილისში ასეთი ვინტილიატორი მხოლოდ აღმასკომის პირველ სტამბას აქვს. ეს დიდი მიღწევაა ჩვენი სტამბის მუშების ჯანმრთელობის დასაცავად, იმედი გვაქვს ჩვენი სტამბის დირექტორი, შემდეგშიაც მტკიცედ გაატარებს შრომის დაცვის საქმეს და ამით ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერებას.

მუშკორი ჟ—ნი.

ასეც შეიძლება

ამჟამად სწარმოებს ვერის ხიდის შეკეთება. ამის გამო ტრამვაის რონოდების მოძრაობა ხიდზე შეფერხებულია. ყოფილ ზემელის აფთიაქიდან ეორესის ქუჩამდე მხოლოდ ორი რონოდა მუშაობს. რა თქმა უნდა, ხალხი თავ-პირის იმტვრევს ამ რონოდებზე და ადგილსაც ვერ შოულობს. ამ პაპანაქება სიცხეში ადამიანს ძალა უნებურად უხდება ელბაქიძის აღმართის ფეხით ასვლა.

თუ ხიდის შეკეთება კიდევ გაგრძელდა რამოდენიმე დღეს, (როგორც სჩანს ეს ასეც იქნება) მაშინ რაიმე სხვა გზა უნდა გამოინახოს აღმართზე ტრამვაის რონოდების მიმოსვლის მოსაწესრიგებლად. ჩვენის აზრით შესაძლებელია ასე: ტრამვაის რონოდები ივლიან ძველი წესით და გზით: სადგურიდან ხიდამდის, ერთის მხრივ. ხიდს მგზავრი ფეხით გაივლის და გადაჯდება მეორე რონოდაში.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება ტრამვაის დირექციამ.

მგზავრთაგანი.

საყურადღებო წვრილმანი

— **თვითნება არაბაჯიანცი.** ოქროყანის ქუჩაზე სახლში № 27 სცხოვრობს ვინმე არაბაჯიანცი. მთელი უბანი აკლებულია ამ თავხედი კაცისა და მისი ცოლის მიერ. ეზოში ანტისანიტარული მდგომარეობაა მათი წყალობით, ელექტრონის შუქს ითვისებენ და სხვა.

გარდა ამისა, არაბაჯიანცი შინა - მოსამსახურეებსაც საშინელ ექსპლოატაციას უწევს. საჭიროა სათანადო ორგანოებმა მიაქციონ ყურადღება ამ გარემოებას და შესაფერისი ზომები მიიღონ.

მდგმურთაგანი.

— **გლეხებს უდიერად ეპყრობიან.** 21 ივნისს სახალხო მატარებელი № 13 გაჩერდა სადგ. ნავთლუღში. აქ აუარებელი მგზავრები იყვნენ და მათ შორის გლეხებიც, რომლებსაც უდიერად ეპყრობოდენ, თუმცა ბილეთი ყველას ჰქონდა, მაგრამ ვაგონში არც ერთი არ შეუშვეს. ძლიერ უდიერად მოიქცა გლეხების მიმართ რბილი ვაგონის გამცილებელი ქალი, რომელმაც რამოდენიმეს წიხლი წაჰკრა და ქუდები გადმოუყარა.

ასეთი გლეხებისადმი უდიერი მოპყრობა ყოვლად დაუშვებელია.

მუშკორი შავსოფლელი.

მისაბაძი კოლექტივი

თბილისს ქუთაისიდან ესტუმრა რევოლიუციონური აგიტსატირის კოლექტივი „წითელი სარკე“, რომელიც ამჟამად მუშათა კლუბებში გამოდის.

წინასწარ უნდა ითქვას, რომ ქუთათურ ამხანაგებს გაცილებით გაუსწრიათ წინ თბილისისათვის ამ მხრივ. ქუთაისის აგიტსატირა სანიმუშოთ გამოდგება უსათუოდ. შეწყობილი თამაში, თანამედროვე რეპერტუარი, მოსწრებული იუმორით შეზავებული, მშვენიერად შესრულებული სიმღერა და ცეკვა—აი, ის დადებითი მხარეები, რომლებიც ახასიათებს კოლექტივს. ამის გამოა, რომ კოლექტივს მთელი თამაშის განმავლობაში დატყვევებული ჰყავს აუდიტორია და შთაბეჭდილებას ახდენს. წამ და უწუმ გაისმის ტაში, სიცილ-ხარხარი, მოსწრებული სიტყვა-პასუხის და მიხვრა-მოხვრის საპასუხოთ.

6 ივლისს კოლექტივი ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში გამოდიოდა. კლუბში 2.000-მდე კაცი იყო და ყველა დიდი სიამოვნებით უსმენდა მათ. ზოგიერთი ნომრები რამოდენიმეჯერ გაამეორინებინებს ხალხის დაჟინებით მოთხოვნით.

კოლექტივში შედიან: გარნელი ალექსანდრა, ნიკოლაიშვილი ვერა, სიხარულიძე სუსანა, ვაჟები: აბაკელია, აბესაძე, ბოჭორიშვილი, დოლიძე, მეძმარიაშვილი, როსება, ხმალაძე, კუსიანი და ჯაბადარი.

თბილისმა უნდა მიჰბაძოს ქუთაისს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ კლუბში აუარებელი ხალხი იყო, [illegible] სუფევდა, რაც კლუბის ადმინისტრაციის [illegible].

ჭია—ლევან.

მუშათა ქრონიკა

— **რონოდა—კულტმუშაობისათვის.** თბილისის საუბნო კომიტეტს გადაეცა ახალი რონოდა უბანში კულტმუშაობის გაცხოველების მიზნით.

— **სასმელი წყალი.** ხაშურის საუბნო კომიტეტმა მიმართა უბნის ყველა სახელოსნოებს—აუცილებლათ იქონიონ მუშებისათვის გრილი ადუღებული წყალი.

— **8 საათის სამუშაო დღე.** „ზაკტპო“-ს შოაპხის განყოფილებას წინადადებით მიმართა საუბნო პროფკავშირმა დაიცვან მუშა-მოსამსახურეთათვის 8 საათის სამუშაო დღე.

— **ადგილკომის გადარჩევა.** ხაშურის საუბნო კომიტეტის პლენუმმა დაადგინა ახლო მომავალში გადარჩეული ქნას სად. ხარაგოულის ადგილკომი.

— **დიდ ადგილკომებში.** ახლო მომავალში ხაშურის უბნის კომიტეტი ჩაატარებს უბკომის ღია სხდომებს უბნის ყველა დიდ ადგილკომებში.

— **ცოცხალი კავშირი.** ხაშურის უბნის ლიანდაგის სამსახურის განყოფილებების უფროსებს წინადადება მიეცათ ცოცხალი კავშირი იქონიონ უბნის უფროსთან.

— **შაბიამანი.** ვინაიდან შაბიამანის მოთხოვნილება ძალიან დიდია, ხაშურის უბნის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა „ზაკტპო“-ს წინაშე შეიძინოს შაბიამანი.

— **შრომის დისციპლინა.** ხაშურის საუბნო კომიტეტმა დაადგინა—ჩაატაროს უბანში საუბრები შრომის დისციპლინის შესახებ.

— **სამტრედიის საუბნო კომიტეტს** გადაეცა რონოდა უბანში კულტმუშაობის საწარმოებლად.

— **დღე და ღამ.** ვინაიდან სად. ზესტაფონში დღე და ღამ იყრის თავს ორთქლმავლების და მატარებლების ბრიგადები, რომლებიც ღამღამობით საჭირო საწოლებს ვერ შოულობენ,—წინადადება მიეცა ზაკტპოს განყოფილებას ღიათ იქონიოს თარღულები დღე და ღამ.

— **ხელსაწყო იარაღი.** ხაშურის უბნის კომიტეტმა მიმართა სალიანდაგო სამსახურის მე-4-ე უბნის უფროსს—მიიღოს ზომები უბანში საჭირო ხელსაწყო-იარაღების შეძენისათვის და შეიძინოს [illegible] კარგი ხარისხის იარაღები. პირ[illegible] კომიტეტი საჭიროთ სცნობს შეძე[illegible] [illegible] და რკინის ნაჭრები.

პატარა ფელეტონი

პირველი გაფრთხილება

„ინგლისის კონსერვატორები აწყობენ ათასგვარ მახინაციებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამას წინათ, მოსკოვში დაპატიმრებულ შავრაზმელებს აღმოაჩნდათ ინგლისური ბომბები. შავრაზმელებს იგზავნის, პოლონეთიდან, რუმინეთიდან და ფინეთიდან გზავნის“.

მას შემდეგ, რაც დიპლომატიური ურთიერთობა შესწყდა, ინგლისში ათასგვარ ჭორებს ავრცელებენ საბჭოთა კავშირის შესახებ“.

(გაზეთებიდან)

ჩემბერლენთან, ბრიტანეთის
საგარეო „მინისტერთან“,
მე გავსწყვიტე დიპკავშირი
როგორც ესესერის მტერთან.
მაგრამ იგი არ ისვენებს,
სჩანს უჩვენოთ მოეწყინა
ბრაზობს: ალბათ ჩვენს კედელზე
ბრიყვმა შუბლი თუ იტკინა.
გზავნის ჩვენში ათასნაირ
ჯაშუშებსა და აგენტებს,
რომის პაპმაც კი არ იცის
რას ჩმახავს და რას აკეთებს.
ზოგს სიფრთხილის გულისათვის
გზავნის ჩუმათ ის ფინეთით,
ზოგს რუმინეთს, ზოგსაც კიდევ
გაატარებს პოლონეთით,
ვიცით, ბატონს ჯერ ბევრი ყავს,
ნასუფრალის მოიმედე.
ბევრი ფიქრობს: ვაი თუ მავნოს,
უარი თუ გაუბედე?!
მაგრამ იცით? როცა გემი
იღუპება, იძირება—
ნასუფრალის მომლოდინე
ნაპირისკენ იცქირება.
ვერ უშველის გემს ის ლეკვი,
დღეს რომ ფინჩხით იკვებება:
სანამ აქმევ ხელს გილოკავს,
გიკბენს, როცა ვერ გაძღება.
ჩემბერლენო, გერმანიის
ელჩის ხელით ვგზავნი ნოტას;
ცუდი ყოფა დაგადგება,
თუ არ უკლე ყეფას ცოტა.
როგორც ვატყობ, ტვინი გელრძო
მეტის მეტი ერთგულებით.
ვერ გახდები ჩვენთან ვერას
ვერც ბომბებით, ვერც ტყვიებით
ჭკუა გტკივა? გამოვგზავნი
ჩვენს მეცნიერს რაკრიკაძეს;
ერთი ნახოს, შენი ტვინი
მაგ გოგრაში როგორა ძევს.

P. S. გერმანიის ელჩთანა მაქვს
(ლონდონელთან) ერთი თხოვნა:
დამავალოს მისტერ ხიკსის,
ან და ჩემბერლენის პოვნა.
და გადსცეს გაფრთხილება.
თან მიიღოს ჩემგან დიდი,
მან ჩემდამი პატივი და
მეტის მეტად დიდი რიდი.

ხოზიკა.

ყოფ. მენშევიკ და უპარტიო ქალთა შორის

28 ივნისს შესდგა სახალხო „მკერავი“-ს ყოფილ მენშევიკ და უპარტიო ქალთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. გ. სულაქველიძემ.

კამათში მონაწილეობა მიიღო მუშა-ქალებმა. მათ შორის აღსანიშნავია კრების თავმჯდომარის მუშა-ქალის ს. ზარიძის სიტყვა, რომელმაც სთქვა შემდეგი: ჩვენ გამოვსცადეთ მენშევიკების ბატონობა და მწარე დღეების მეტი არაფერი გვინახავს, მუშა - ქალები მტკიცედ ვიდგომებით საბჭოთა ხელისუფლების სადარაჯოზე. ჩვენ ვმუშაობთ ქვეყნის საკეთილდღეოთ, ვკერავთ წითელ - არმიისათვის საჭირო ტანსაცმელს, ვკერავთ ხალისით, რადგანაც ვიცით, რომ წითელი არმია არის რევოლიუციის ერთგული შვილი, ის გვიფარავს იმპერიალისტური ყვავ - ყორნებისაგან. თუ საჭირო იქნება, თვითეული აქ მომუშავე ქალი იარაღით ხელში გამოვა წითელ არმიასთან ერთად.

ასეთივე სიტყვები წარმოსთქვეს მუშა-ქალებმა ფანცხავამ, ტუსკიამ და სხვებმა. კრების დასასრულ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: სახელოსნო „მკერავი“-ს მრავალრიცხოვანმა ქალთა კრებამ, მოისმინა, რა მან მოხსენება ამხ. გ. სულაქველიძისა საერთაშორისო მდგომარეობის და საზღვარ გარედ გადახვეწილ ემიგრაციის ზრახვების შესახებ, ერთსულოვნად გმობს და დამღუპველად აღიარებს ემიგრაციის გეგმებს აჯანყების მოწყობის შესახებ და თვითეულ ნაბიჯს აქეთკენ გადადგმულს სთვლის მშრომელი ხალხის განმანადგურებლად. სახელოსნო „მკერავ“-ის მუშა-ქალების გვერდში ამოუდგებით საბჭოთა მთავრობას, ვითანამშრომლებთ ქვეყნის საკეთილდღეოთ და არ დაუშვებთ, რომ ჩვენი ქმრები, შვილები, ძმები და მამები ჩათრეულ იქნან დამღუპველ ავანტიურებში. ჩვენ უკანასკნელი სისხლის წვეთამდის ვიბრძოლებთ საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, ძირს ბანდიტური გამოსვლები!“.

შემდეგ მოკლე საინფორმაციო მოხსენებით გამოვიდენ ამხ. ო. ბაქრაძე და ე. მაისურაძე. მათ კრებას გააცნეს „ახალ გზას“-თან დაარსებული ყოფილ მენშევიკ ქალთა სექციის მუშაობის გეგმა, და მოუწოდეს, რომ ყოფილ მენშევიკი ქალები შემოიკრიბონ სექციის გარშემო, დაიჭირონ მჭიდრო კავშირი სექციასთან და დღევანდელ საპასუხისმგებლო მომენტში გვერდში ამოუდგენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც ეწევა უდიდეს საამშენებლო მუშაობას. მკერავმა ქალებმა სექციის მიერ გადადგმული ნაბიჯი მოიწონეს.

კრებამ აირჩია ამხ. ნ. ბარამიძე, ცანავა, ტუსკია, დევდარიანი, ს. ზარიძე, ჩაჩხიანი და დეკანოზიშვილი, რომლებსაც დაევალა ყოფ. მენშევიკ ქალთა აღრიცხვა.

დამსწრე.

შაბიამანის ნაკლებობა

შაბიამნით ვენახების მეორეთ წამლობის სეზონი უკვე დადგა. შაბიამანის მარაგი კი იმდენად მცირეა, რომ ვერ აკმაყოფილებს გლეხობის მოთხოვნილებას. მევენახეობის რაიონში ამის გამო გლეხობა გასაჭირშია ჩავარდნილი. ზოგიერთ რაიონებში შაბიამანი სრულებით არ მოიპოვება.

ასეთი მდგომარეობით სარგებლობენ სპეკულიანტები, ისინი შაბიამანს ყიდიან არა ჩვეულებრივ დიდ ფასებში — 1 მან. გირვანქას.

ამის შესახებ „ზაკსელმაში“ განაცხადეს, რომ წელს ჩვენში ნორმაზე მეტი შაბიამანი იყო შემოზიდული. გეგმით წელს ამიერ-კავკასიაში გათვალისწინებული იყო 1.409 ტონა შაბიამნის შემოტანა. ნამდვილად კი შემოტანილ იქნა 1646 ტონა. ეს რაოდენობა რესპუბლიკებზე განაწილებულ იქნა შემდეგნაირად: საქართველოს — 1.302 ტონა, აზერბეიჯანს — 311 ტონა და სომხეთს — 33 ტონა.

„ზაკსელმაშს“ ამასთანავე ქონდა შაბიამნის ძველი მარაგიც, რომლიდგან საქართველომ მიიღო სულ 79.400 ფუთი. გარდა ამისა, საქართველოს სასოფლო - სამეურნეო ორგანიზაციებსაც მოეპოვებოდათ გასული წლის მარაგი 15.000 ფუთის რაოდენობით. ასე, რომ საქართველოს სასოფლო მეურნეობა წელს უზრუნველყოფილი იყო 94 400 ფუთი შაბიამნით, ანუ ნორმაზე მეტად 14.400 ფუთით. (საქართველო ხარჯავს წელიწადში 80.000 ფუთს.)

შაბიამნის ნაკლებობას „ზაკსელმაში“ ხსნის შემდეგ გარემოებით.

ინგლისთან დამოკიდებულების ჩაშლის შემდეგ გლეხობა სრულიად უმიზეზოთ შეეცადა მოემარაგებია ინგლისური შაბიამანი მომავალი წლისათვის. ამ დროს სასოფლო - სამ. საკრედიტო ამხანაგობებმა შაბიამნის განაწილებისას ადგილებზე არ დააწესეს გასაცემი ნორმა, რის გამო პირველ რიგში მოსულმა პირებმა მიიღეს ნორმაზე მეტი შაბიამანი.

შაბიამანის ნაკლებობა შეიძლება აიხსნას იმითაც, რომ გაზაფხულის ხშირი წვიმების გამო, რამდენჯერმე დასჭირდა ვენახებს წამლობა.

გარდა ამისა შარშანდელთან შედარებით წელს ვენახების არე გადიდებულია. „ზაკსელმაშმა“ ამჟამად „სოფლის კავშირს“ გადასცა გლეხებზე გასანაწილებლად 300 ათასი ფუთი შაბიამანი.

ჯავა-როკის გზატკეცილი

მუშაობის მიმდინარეობა

მოსკოვიდან მიღებული ცნობით, რომელიც უკვე გამოქვეყნებული იყო ჩვენს გაზეთში, შრომის და თავდაცვის საბჭომ ჯავა-როკის გზატკეცილის დასამთავრებლად გადასდო 100 ათასი მანეთი.

ამჟამად სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა ჯავა-როკის გზატკეცილის მთელ სიგრძეზე, რომელიც უდრის 28 კილომეტრს. ყოველდღიურად გზატკეცილის გაყვანაზე მუშაობს 350 კაცი, გზა უკვე დამთავრებულია სოფელ ვანელამდე და ამ დღეებში ამ ჯავა-ვანელს შუა გაიხსნება საბორბლო მოძრაობა. ამასთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა ორი ხიდის ასაგებად. ერთი ხიდი შენდება სოფელ მსხლების მახლობლად. ამ ხიდის სიგრძე უდრის 14 მეტრს. ხოლო მეორე ხიდი პატარა მდინარე პაწაზე, ამ ხიდის სიგრძე იქნება 46 მეტრი. მიწის სამუშაოები შესრულებულია 70 პროც. ხიდების სააღმშენებლო მასალა დამზადებულია და ადგილობრივ მოტანილია. სამუშაო ადგილებზე მოწყობილია კოოპერატივის განყოფილება, რომელიც მუშებს აწვდის პირველი მოთხოვნ. საგნებს, იქვე მუშაობს მოძრავი სამზარეულო და ფურნე.

არქეოლოგიური ექსპედიცია

ივნისის შუა რიცხვებში აზერბეიჯანის არქეოლოგიური კომიტეტის მიერ ნახჩევანის მხარეში გაგზავნილი იყო არქეოლოგიური ექსპედიცია ამ მხარის დეტალურად გამოსაკვლევად და შესასწავლად. ექსპედიციამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა არქეოლოგიური კომიტეტის სწავლული მდივანი ვ. მ. სისოევი, ნახჩევანის მხარეში დაჰყო ივნისის დამლევამდე და ამ ხნის განმავლობაში ექსპედიციამ მოახდინა, როგორც უძველესი ეპოქის, ისე უფრო მოგვიანო—ისლამის ეპოქის ძეგლების გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და სხვა. ექსპედიციამ ამოარჩია აგრეთვე ადგილები ახალი გათხრების საწარმოებლად.

ნახჩევანის მხარეს აქვს დიდი მეცნიერული ღირებულება იმ მხრით, რომ ამ რაიონში ხვდებოდენ ორი უძველესი უდიდესი კულტურა—მცირე აზიური და სპარსული. გასულ წელს ნახჩევანის მხარეში გათხრებს აწარმოებდა ოთხი ექსპედიცია. გათხრების საშუალებით ნაპოვნია მეტად საინტერესო საეკლესიო მასალა, რომლის გამოკვლევა და დაწერილებით შესწავლა ამჟამად სწარმოებს.

ქართული ქაღალდი

საბჭოთა კავშირის ქაღალდის საკეთებელ დიდ ქარხანა „სოკოლ“-ში დასრულდა ინგურის ხეობიდან გატანილი ნედლი მასალისაგან სანიმუშო ქაღალდების კეთება. უკანასკნელათ გამოშვებულია № 6 და № 7 საწერი ქაღალდი, რომელიც გამოცდის შემდეგ მაღალხარისხოვანი აღმოჩნდა.

ქარხანა „სოკოლის“ სპეციალისტების დასკვნით, საქართველოდან გატანილი მასალა მაღალხარისხოვანი ქაღალდების დამზადების შესაძლებლობას იძლევა.

საექსპორტო ხე-ტყე

ეკონომიურმა საბჭომ დაამტკიცა საგეგმო კომისიის დასკვნა საექსპორტო ხე-ტყის სამორე გადასახადის შეტანის ვადების ინსტრუქციის ძირითადი დებულებათა პროექტის შესახებ.

ხსენებული პროექტით, სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები, რომელნიც საექსპორტო ხე-ტყის დამზადების ეწევიან ვალდებული არიან ორი თვით ადრე წარადგინონ ხოლმე მიწსახკომის სატყეო განყოფილებაში თავის საწარმოო წლიური გეგმა.

დამზადებული საექსპორტო ხე-ტყე გატანის წინ უნდა იქნეს შემოწმებული სპეციალური კომისიის მიერ.

გაცემულ ხე-ტყეზე სამორე გადასახადის შეტანა უნდა წარმოებდეს დამამზადებლის მეშვეობით.

გურიის ნავთიან ადგილების გამოკვლევა



ჭაბურღილის კოშკი სოფელ ომფარეთში

ავაშენოთ თვითმფრინავი

თბილისის პროლეტარიატი

ამხ. მიხეილ თურქიას გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ ხუთი მანეთი.

მიხეილ კახიანი.

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად ამხ. სუხიშვილის გამოწვევით შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ნესტორ ლაკობას, მამედ გოგიბერიძეს, აკაკი ქავთარაძეს, ისაკი ჟვანიას, დიომიდე ქუჩულორიას, სამსონ მამულიას, პარმენ წულუკიძეს, გერმანე ჯინჯოლაიას, ამბერკი ურუშაძეს, ერასტი ლვამიჩავას.

ს. გეგეჭკორი.

—:—

თვითმფრინავის ასაშენებელ ფონდში შემომაქვს ორი (2) მანეთი და ვიწვევ წყალტუბოს ყველა პასუხისმგებელ ამხანაგებს: ამბაკო კუშავას, ივანე ლექვთაძეს, ა. ჭანტურიძეს, ივანე ანთიძეს, საშა იოსელიანს, სოსო ლეჟავას და ნესტორ აკოფაშვილს.

ანდრო შეიშვილი.

—:—

ამხ. დანელიას გამოწვევით, შემომაქვს სამი მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის ასაშენებელ ფონდში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: კალენიკე საყვარელიძეს, ლევან ოდიშარიას, არკადი ოდიშარიას, ვ. ნოდიას, ლ. თოფურიას, კ. კიზირიას, ალექსანდრე ხაფავას, ნესტ. ნადარეიშვილს, დამცველთა კოლეგ. წევრებს: ბოჭორიშვილს, კანდელაკს და ჭაჭიაშვილს; აღმას. საქართ. ყველა მაზრების მოსამართლეებს, სასამ. აღმასრულებლებს და მდივნებს.

ქ. ოდიშარია.

—:—

ამხ. დანელიას გამოწვევით აეროპლანის ასაგებ ფონდში შემაქვს სამი (3) მან.

პოტემკოვსკი.

—:—

თანახმად ამხ. დანელიას გამოწვევისა შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ სასარგებლოდ 3 მანეთი.

გავსოვიჩი.

—:—

ამხ. ოლღა ჯაფარიძის გამოწვევით შემომაქვს 2 მანეთი თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლათ და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ქსენია ლევინას, ნინა კალანდაძეს, ნინა არბოლაშვილს, ელენა ჯაბაურს, ანიჩკა დოლიძეს.

ნინა კვინიხიძე.

—:—

შემომაქვს ხუთი მანეთი ამხ. ევგენი წულაძის გამოწვევით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გრიგოლ კოპლატაძეს, ბესარიონ ნადირაძეს, სანდრო თოდრიას, ალექსანდრე შვანგირაძეს, კოტე სოლ. ქარცივაძეს.

მოსე თალაკვაძე.

—:—

თბილისის ტრამვაის მუშებმა, თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებად შემოსწირეს 46 მანეთი და იწვევენ ტრამვაის დანარჩენ მუშებს.

შემომწირველნი: ა. ფრანგიშვილი, ლვინიაშვილი, ს. გაგნიძე, აკოფოვი, საფაროვი, გაზაევი, ჯიოევი, შტუბერგ, ანდრიასოვი, აზატოვი, ჯაბელაია, ერ. სულაძე, იგითხანოვი, ი. ბალავაძე, ბ. კუკულდავა, ჩერნიკოვი, მ. გიორგობიანი, გლახოიანი, ლ. მამარდაშვილი, მაჭავარიანი, ს. გაზალაშვილი, თევდორაშვილი, ფოილაძე, ი. ბერიაშვილი, ს. გოდერიძე, კანწურეიშვილი, ვოლკოვი, გაბრიელოვი, გ. სუხიშვილი, არაქელოვი, ნ. ბერიევი, ა. სუხიშვილი, მ. გოზალოვი, ს. გოზალაშვილი, კავთელაშვილი, შ. კირეულაშვილი, გერგოლოვი, ბახუტაშვილი, იოსელიანი, პ. პუტცა, ულიტინა, შ. ჯავახიშვილი, მინდიაშვილი, ს. ჯიქია, კუჩუხა, ლიმონინი, კ. გოზალოვი, ბიბილაშვილი, მარხელოვი, გეცაძე, როზანოვი, გ. სულაძე, ჩეხოევი, თავაძე, ფედორენკო, ს. გოზალაშვილი.

—:—

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში 1 მანეთი და ვიწვევ: ვ. მანჯგალაძეს, ვარლამ ერქომაიშვილს, ნოე ქუთათელაძეს, ქენო მაჭავარიანს, შალვა კირკიტაძეს, მარო ჩხეიძეს, საშა ბურჯანაძეს, დავით ლათაძეს, გიორგი მამალაძეს, გიორგი მეფარიშვილს, გრიგოლ მურღულიას.

გრ. კაპანაძე.

—:—

თანახმად ამხ. ი. კორომხინაძის გამოწვევისა, შემომაქვს 5 მან. თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაშენებელ ფონდში და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ვ. პატიაშვილს, ნიკოლოზ რიჟამაძეს, დავით ლორთქიფანიძეს, ვალერიან ქანთარიას, ნიკოლოზ კაკურიძეს, ნიკოლოზ ხინველს, შალვა შათირიშვილს, ნიკოლოზ ბათლიძეს, ივანე ჭოხონელიძეს, ა. მ. გელაძეს, ბიჭ. მელქაძეს, კლიმენტი ბახტაძეს ი. ძებისაშვილს, ნინა ბაქრაძეს, შალვა შათირიშვილს, ერმალოზ კოპლატაძეს, ანტონ კეშელავას.

ა. პერონიძე.

—:—

შემოგვაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებათ — 20 მანეთი და 80 კაპ. და ვიწვევ მთავარ. სახელოსნოს. ამწყობთა საამქროს კომ. კავ. უჯრედს, საქვაბო საამქროს, კომ. კავ. უჯრედს, სალითონო საამქროს, კომ. კავ. უჯრედს სამჭედლო საამქროს კომ. კავ. უჯრედს, სარონოდო საამქროს კომ. კავ. უჯრედს, სადურგლო საამქროს კომ. კავ. უჯრედს, სატელეგრაფო სახელოსნოს. კომ. კავ. უჯრედს, მ.-2. კომ. კავ. უჯრედს, საფუდის კომ. კავ. უჯრედს, და სარონოდო ფარეხების კომ. კავ. უჯრედს

ლენინის რაიონის ა. ლ. კ. კ. სახარატო საამქრო კომ. კავ. უჯრედი.

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს 3 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

გერცელ ბააზოვს, დავით შაფთოშვილს, იაკობ ჯინჯიხაშვილს, ექ. მიხეილ თავდიდიშვილს, იოსებ მოშიაშვილს, ფანია ბააზოვს, სონია მეკინულოვს, საშა რიჟინაშვილს, თამარა ბახანოვს, თამარა კოხიაშვილს, ვერა მელაძეს, ტატიანა ჰიჭინაძეს, აროს მინოვიჩს, აბრამ ელიგულაშვილს, ფინხას მეგრელიშვილს, (უკანასკნელი სამი — ქუთაისიდან) გერშონ ზონენაშვილს, მიხა ფიჩხაძეს, მიშა ნეფარიაშვილს, არონ მეგრელიშვილს, ილია კაკიტელაშვილს, საშა გვეტაძეს, კანდიდო ჩარკვიანს, ვოგი ჩიკვაიძეს, ლასალი ნინუას, კოწიო დადიანს, ვანო ულენტს, გრიშა ულენტს, სერგო ჯიბუტის, ლადო ფანცულაიას, უშანგი ადიაშვილს, შალიკო ლანდიას, გაიოზ ანდღულაძეს, იაშა ბუაჩიძეს.

გერშონ მეგრელიშვილი.

—:—

ამხ. ვანო კუტუხიძის გამოწვევით შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად ორი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხ.: აბესალომ იოვიძეს, კალეანდლულაძეს, თეოფილე თევდორაძეს, ანდრო ტოროლაიას, ვასო ბახტაძეს, სევერიანე ჭირაქაძეს, ლადო ლეჟავას, ვასო ფხაკაძეს, თამარა კალანდაძეს, კლიმენტი ლორთქიფანიძეს, ჟორჟიკა ფხაკაძეს, ნუცა ფხაკაძეს, ვიქტორ ფერსვიანიძეს, ევდუკი ახობაძისას, გრუნია ლორთქიფანიძისას, ნანი მახარაშვილისას, ტარასი კუპუხიძეს, მიხეილ ჭრელაშვილს, ვარდენ ჩიქოვანს, მიშა როდონაიას, აქსენტი კვარაცხელიას აქსენტი ადამიას, დათიკო მგელაძეს, მარუსია მენაბდისას, აკაკი გაგუას, დომენტი ჩხაიძეს, გიორგი გეგუჩაძეს. თამარა ბახტაძეს, ნინო ბახტაძისას. ნიკოლოზ ფხაკაძეს, ერმილე თევდორაძეს, სოსიკო ნუცუბიძეს, შალვა სანიკიძეს, სერაფიონ ფხაკაძეს, სონია აფრიდონიძისას, ლუკა რუხაძეს, ერმალო მაჭარაძეს, არ. გეგეჭკორს, გრიშა კარანაძეს, ვარდენ კაკაბაძეს, დათიკო ოგბაიძეს, მიხა კაჭარავას, მამფორიას, ლიდა კაიშაურისას, ჟუკა ზაალიშვილისას, ვანო ბურდულს, ანეტა ქობულაიშვილს, ლიდა მახარაძეს, ოლია რუხაძეს, გოგოშა კაიშაურს, ლუბა რუხაძეს, ნესტორ კვიჟინაძეს.

ალისა (საშა) ფხაკაძე.

—:—

თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ორი მანეთი.

ა. ფხაკაძე.

—:—

შემომაქვს „თბილისის პროლეტარიატის“ თვითმფრინავ ფონდში სამი მანეთი და ვიწვევ იუსტიციის სახ. კომისარიატიდან შემდეგ ამხანაგებს:

კორინთელი ნესტორ, სერგო მეგრელიშვილი, ნიკ. შახვეჯანოვი, გ. არჩუაშვილი, ი. ბლიაძე, მ. ორჯონიკიძე, კ. კობახიძე, თ. მეტრეველი, მ. კაჭარავა, ს. გეწაძე, ლ. მანჯავიძე, ნიკ. ელენტი, ვ იმედაშვილი, ა. სუსანოვი, გიორგაძე, ვ. ზუკაკიშვილი, ნ. სოსელია, მ. მაისურაძე. კ. ლორენტი, კოტიაშვილი, ლ. გოცირიძე, თ. ჭელიძე, ო. ლეჟავა, ა. კაკაბაძე, ი. ბოლქვაძე, ი. კიზირია, მ. ჩხეიძე, ი. ადამია, ს. ხანკალამოვი, ა. ალხოვი.

ი. მესხი.

—:—

ამხანაგ იოსებ ბახტაძის გამოწვევით შემომაქვს ორი მანეთი თვითმფრინავის ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: გუნდის უფროსებს: კარიაკიჩ ივანე, პომერიანეც მოსე, ბუშკინ ვასილ, მეცნიერ მუსტ.

ილია აგნიევ.

—:—

ამხ. იოსებ ბახტაძეს გამოწვევით შემომაქვს 2 მანეთი თვითმფრინავის ფონდში და ვიწვევ გუნდის უფროსებს:

ვაძაგაშვილი გიორგი, კუდრიავცევი ალექსანდრე, ნიკალაევი ალექსანდრე, გლადიშევი ალექსანდრე, პანკევიჩი ვლადიმერი.

ევსტატე ახალგედაშვილი.

—:—

სულ დღევანდლამდე შემოსულია 1744 მან. და 84 კაპ.

—:—

შემოწირულების შეკრება სწარმოებს „კომუნისტის“ კანტორაში—რუსთაველის პროსპექტი, 24, დილის 9 საათ. შუადღის 4 საათამდე

თავდაცვის კვირეულისათვის

რადიოს მეგობართა საზოგადოების ყველა უჯრედებს

საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს დადგენილებით, 10-დან 17 ივლისამდე ტარდება „თავდაცვის კვირეული“. კამპანიის ძირითადი მიზანია საბჭოთა კავშირის მშრომელთა ფართო მასების ყურადღების მიპყრობა უაღრესად შეიარაღებულ მსოფლიო კაპიტალიზმთან მოსალოდნელ ბრძოლისათვის მომზადებაზე და იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც აქვს ამ საქმეში „ოსსო-ავიაქიმის“ მრავალ ათასეულ წევრებიდან შემდგარ ძლიერ ორგანიზაციებს. ჩვენმა ორგანიზაციამ ამ კამპანიაში უნდა მიიღოს მეტად აქტიური მონაწილეობა. საქართველოს რადიოს მეგობართა საზოგადოება წინადადებას აძლევს უჯრედებს გაატარონ შემდეგი პრაქტიკული ღონისძიებები:

1) ყველა უჯრედები ამ ცირკულიარის მიღების დღიდანვე დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდენ „ოსსო-ავიაქიმის“ შესაფერ უჯრედებს და ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კამპანიის ჩატარებაში.

2) ქალაქის უჯრედმა, თანახმად წინანდელი ინსტრუქციისა, მორზეს ანბანის შემსწავლელ წრეების გახსნა უნდა დაუკავშირონ კამპანიის ჩატარების დღეებს—10-დან 17 ივლისამდე. უნდა მოაწყონ მოკლე ტალღების სექციები და შეუდგენ მოკლე-ტალღიან აპარატების ამუშავებას. ფასიან რადიო-საღამოების მოწყობის დროს, მთელი წმინდა შემოსავალი დაუყოვნებლივ შეტანილ უნდა იქნეს ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ასაგებ ფონდში.

3) წარმოებულ იქნეს გამოწვევა რადიოთი რ. მ. ს. წევრებს შორის ფულადი დახმარების გაღების შესახებ და შეგროვილი შემოწირულება დაუყოვნებლივ შეტანილ იქნეს ესკადრილია „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“-ის ასაგებ ფონდში.

4) რადიო- მეგობართა საზოგადოების უჯრედებმა, რომლებიც ქოხ-სამკითხველოებთან არიან, უნდა გატარონ შემდეგი:

ა) მოიყვანონ წესრიგში რადიო-მოწყობილობა, გამოდგან ქუჩაში ხმა-მაღლიდი რადიო-აპარატი, რის შესახებ წინასწარ უნდა გააფრთხილონ გლეხობა, რომ გადმოცემული იქნება მოხსენებები ჩასატარებელ კამპანიის შესახებ, რათა მოეწყოს მასსიური რადიო-მოსმენა თავდაცვა ავიაქიმის საკითხების შესახებ.

ბ) დაუკავშირდეს ამ კამპანიას რადიოს მეგობართა საზოგადოების კუთხეების გახსნა ქოხსამკითხველოებთან.

რადიოს მეგობართა, როგორც ქალაქის, ისე სოფლის უჯრედებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა თავდაცვა-ავიაქიმის ადგილობრივ ორგანიზაციების მიერ გამართულ დემონსტრაციებში.

დემონსტრაციების პლაკატებისათვის და ქოხ-სამკითხველოებთან არსებულ რადიოს მეგობართა საზოგადოების კუთხეებისათვის ურჩევთ შემდეგ ლოზუნგებს:

1) გაამაგრეთ რადიო-კავშირი—თავდაცვის უმნიშვნელოვანესი იარაღი.

2) რადიო გააერთიანებს ფრონტს და ზურგს მთლიან ერთეულში.

3) რადიოს მეგობრებო, გაამდიდრეთ თქვენი ცოდნა, ამით თქვენ ეხმარებით პროლეტარიატს მშვიდობიანობისათვის ბრძოლაში.

4) რადიო-მოყვარულნო და რადიო-მსმენელებო, შედით რ. მ. ს.-ში და „ოსსო-ავიაქიმში“.

5) პროლეტარიატის ხელში რადიო უძლიერესი იარაღია ყველა ქვეყნის პროლეტარების გასაერთიანებლად.

კამპანიის ჩატარების შედეგები აცნობეთ საქართველოს რადიოს მეგობართა საზოგადოების შემდეგ იმისამართით: რუსთაველის პროსპექტი, 41, არა უგვიანეს 1927 წ. 25 ივლისისა.

საქ. რ. მ. ს. თავმჯდომარე **იმედაძე.**
მდივანი **ოგანეზოვი.**

კვირეულის ჩატარების გეგმა

10 ივლისს ყოფ. სამხედრო საკრებულო ტაძრის ეზოში მოხდება შეჯიბრი სროლაში.

11, 12, 13 ივლისს: წარმოებებში, დაწესებულებებში და კლუბებში ჩატარდება მოხსენებები თავდაცვის კვირეულის მნიშვნელობისა და თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების შესახებ. ეს კრებები გამოყენებული იქნება აგრეთვე საზოგადოებაში ახალ წევრების მოსაზიდათ.

14 ივლისს ტრამვაელების, მეტყავეების და ხელოსნების კლუბებში მოეწყობა საღამო - სეირნობები.

15 ივლისს ჩატარდება ჯგუფური კრებები.

16 ივლისს დაიწყება ყულაბებით ფულის შეკრება. ორჯონიკიძის სახელობის და ახალ მუშათა კლუბებში გაიმართება სეირნობა.

17 ივლისს მოეწყობა საჰაერო თავდასხმის იმიტაცია და იწარმოებს ყულაბებით ფულის შეკრება. ამავე დღეს გამოაცხადებენ სროლის შეჯიბრის შედეგებს და დაარიგებენ ჯილდოებს.

საღამოს: მუშათა ცენტრალურ, საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების კლუბებში და ბაღ „სტელა“-ში გაიმართება საღამო-სეირნობა.

თბილისის წყალსადენის ელექტროფიკაცია

წყალსადენის სადგურის მთავარ ხარჯს შეადგენს სათბობი მასალა და მანქანების შეკეთება. მიმდინარე სამეურნეო წლის დამდეგიდან წყალსადენის სამმართველოს მიერ მიღებულ იქნა მთელი რიგი ზომებისა სათბობი ხარჯის შესამცირებლად. ამ მხრით წყალსადენს დიდი მიღწევა აქვს. თუ 1922 წელს ყოველ 1000 ვედრო წყალზე საშუალოდ იხარჯებოდა 12,5 კილ., მიმდინარე წლის მარტში დაიხარჯა —1,3 კილოგრ., აპრილში—3,4 და მაისში—2,8 კილოგრ. წყლის თვითღირებულების უფრო გაიაფებლად საჭირო ხდება ხაოჯების კიდევ უფრო შემცირება, რაც შესაძლებელია მხოლოდ წყალსადენის ელექტროფიკაციით. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ზაჰესიდან ელექტროგაყვანილობის ხაზის მოსაწყობად. ამასთანავე საზღვარგარეთ შეკვეთილია სამი ელექტროტუმბო და ტრანსფორმატორები. ადგილობრივ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად შეძენილია წვრილი ელექტრო-მოტორები.

წყალსადენის მთელი ელექტროფიკაცია ჯდება 150 ათასი მანეთი. ეს ხარჯი ანაზღაურებული იქნება ორი-სამი წლის განმავლობაში. ამასობაში უკვე დამთავრდება ახალი წყალსადენის გაყვანა.

ქრონიკა

მისალმება ცეკას

საქართველოს კომპარტიის ცეკამ შემდეგი მისასალმებელი დეპეშა მიიღო: „ზუგდიდის მაზრის პარტკომის მესამე პლენუმი მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელს და გამოსთქვამს სრულ იმედს, რომ მისი ხელმძღვანელობით, ის გაატარებს პარტიის დირექტივებს და ერთხელ [illegible] პარტიის სწორი ხაზით წინ წასწევს სოციალისტურ აღმშენებლობას, რაც ძირფესვიანად აღმოფხვრის ლენინის პარტიის შიგნით ყოველგვარ გადახრებს და უპასუხისმგებლო ოპოზიციის დეზორგანიზატორულ ზრახვებს“.

ამხ. ა. ი. მელიქის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, ამხ. ა. ი. მელიკი დაინიშნა ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად.

ამხ. რზაევის დანიშვნა

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ამიერ - კავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიის წევრად დანიშნა აზერბეიჯანის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს თავმჯდომარე ამხ. რზაევი.

ა.-კ. უმაღლესი ეკონომიური საბჭო

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ამიერ-კავკასიის უმაღლესი ეკონომიური საბჭო დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე—ამხ. შ. ელიავა, თავმჯდომარის მოადგილეები—ამხ. გუსეინოვი და ლუკაშინი, წევრები: ამხ. მ. ორახელაშვილი, ფ. მახარაძე, ქართველიშვილი, ბექზადიანი, ბაგიროვი, იაკუბოვი, ბუკრეევი და ივანოვი.

ა.-კ. საკონცესიო კომისია

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ ა.-კ. სახკომსაბჭოსთან არსებული საკონცესიო კომისია დაამტკიცა შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე—ამხ. შ. ელიავა, თავმჯდომარის მოადგილე—ამხ. გაჯინსკი, წევრები—ამხ. კარკლინი, ბეკზადიანი, გენკინი, გ. ვაშაძე, ბუნიატ-ზადე, შევტელი, ბალიანი და ლაკობა.

ხე-ტყის მასალა ავიო-მრეწველობისათვის

საგეგმო კომისიის დასკვნის თანახმად, ეკონომიურმა საბჭომ მოიწონა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების პროექტი ავიომრეწველობისათვის ხე-ტყის მასალით უზრუნველყოფის შესახებ. საგეგმო კომისია აღნიშნავს, რომ პროექტის განხორციელება შეიძლება მხოლოდ იმ პირობებში, თუ საქართველოს მიწსახკომის განკარგულებაში გაღებული იქნება სათანადო სახსრები.

ინფუზორიტის ექსპორტი

ს. მ. უ. საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს შეეკითხოს უცხოეთის ქვეყნების სავაჭრო წარმომადგენლებს, თუ რამდენათ შესაძლებელია უცხოეთში საქართველოდან გატანილი საინფუზორო მიწის (ინფუზორიტის) გასაღება.

პირველ ხანებში ს. მ. უ. ს. განზრახვა აქვს მრავალგვარის ინფუზორიტის გატანა—გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში და ამერიკაში.

თბილისის აღმასკომში

◆ **დახმარება წითელარმიელთა ოჯახებს.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმის დადგენილებით, გადადებულია 1000 მანეთი ახალწვეულ წითელარმიელთა ოჯახების დასახმარებლად. ფული გადაეცემა მე-2 ქართ. დივიზიის პოლიტგანყოფილებას.

◆ **ტუბდისპანსერი.** აღმასკომმა დაადგინა შეიძინოს ტუბერკულიოზის დისპანსერის საჭიროებისათვის სახლი მელიქიშვილის ქუჩაზე № 10.

◆ **ახალი ბაღი.** ქალაქის კეთილმოწყობის განყოფილება შეუდგა ახალი ბაღის გაშენებას გოგილოს აბანოსთან (ავლაბარი).

◆ **ფარდულების აგება.** კომუნალურ ქუჩაზე მდებარე საზამთრო მოედანზე გადაწყვეტილია აიგოს ახალი ფარდულები. ფარდულების საერთო სიგრძე იქნება 80 საჟენი.

◆ **ვერის ხიდის შეკეთება.** ქალაქის აღმასკომში გამომუშავებული გეგმის თანახმად, ვერის ხიდის შეკეთებას დასჭირდება ორი თვე. ამ ჟამად შეკეთების დაწყების გამო ხიდზე მოძრაობა შეჩერებულია.

განათლების სახკომისარიატში

◆ **შრომის სკოლების მდგომარეობა.** განათლების კომისარიატმა მოსთხოვა ყველა მაზრებს წარმოადგინონ მათ ფარგლებში არსებულ შრომის სკოლების მდგომარეობის შესახებ შევსებული ანკეტები. ანკეტების უმრავლესობა უკვე მიღებულია.

◆ **სასკოლო აღწერა,** მომავალი სააპერაციო წლის განმავლობაში გადაწყვეტილია ჩატარდეს სრულიად საკავშირო სასკოლო აღწერა. საქართველოში აღწერას ჩაატარებს განათლების კომისარიატი ცენტრ. სტატ. სამმართველოსთან შეთანხმებით.

◆ **საბავშო კოლექტორი.** 1-ლი ივლისისათვის კომისარიატის განკარგულებაში მყოფ საბავშო კოლექტორში ირიცხებოდა 83 ბავშვი.

შრომის კომისარიატში

◆ **ახალ ბინაზე გადასვლა.** 5 ივლისიდან შრომის სახალხო კომისარიატი გადავიდა ახალ ბინაზე (ევანგულოვის ქ. № 2, პირველი სართული).

◆ **ამხ. ს. თოდრია შვებულებაში.** ამხ. სილ. თოდრიას შვებულებაში წასვლის გამო, მისი მოვალეობის შესრულება დაეკისრა ამხ. ი. ქელიძეს.

◆ **შრომის ინსპექციაში.** შრომის სახ. კომისარიატმა გამოჰყო განსაკუთრებული კომისია, რომელსაც დაევალა შეუდგეს შრომის ინსპექციის კამერების შეკეთებას.

სხვა და სხვა

◆ **მუშათა ექსკურსიები.** ხის დამმუშავებელთა კავშირის ინიციატივით ეწყობა მუშათა ექსკურსიები — მოსკოვში, ბაქოში, ბათომში და ერევანში.

საექსკურსიო ხარჯების ერთმესამედს კისრულობს კავშირი.

◆ **ცხენოსანთა სპორტიული შეჯიბრი.** კვირას, 10 ივლისს დიდუბის დოღის მოედანზე გაიმართება ცხენოსან - სპორტსმენების დიდი შეჯიბრი.

კრებები და მოხსენებები

◆ **ამხ. მ. კახიანის მოხსენება.** დღეს, საღამოს 7 საათზე წითელი არმიისა და ფლოტის სახლში (რუსთ. პრ. № 10) თადარიგის მეთაურთა ერთი ჯგუფის ინიციატივით, მოწვეულია თბილისში მყოფ თადარიგის მეთაურთა შემადგენლობის საერთო კრება.

მოხსენებას საერთაშორისო მდგომარეობისა და ქართული ემიგრაციის შესახებ გააკეთებს ამხ. მიხ. კახიანი.

შემთხვევები

თავდასხმა ფოსტაზე

ფოსტა - ტელეგრაფის ა. კ. სამმართველოს მიერ მიღებულია დეპეშა იმის შესახებ, რომ 6 ივლისს თელავის მაზრაში, საფოსტო გზატკეცილზე თავს დაესხნენ ფოსტას. ფოსტალიონს წაართვეს რევოლვერი და მთელი ფოსტა.

მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა აღმოსაჩენად (აღს)

ტრამვაის ქვეშ

6 ივლისს ღამით, სახკინმრეწვის ფაბრიკის წინ ტრამვაის ვაგონმა გაიტანა პრობზიკ ალექსის ასული ევრიკიანისა თავისი პატარა ბავშვით. დედა - შვილი სასიკვდილოთ დაშავდნენ.

ვატმანი ამროსი საბაშვილი დაპატიმრებულია.

ნაპარავი ნოხი

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ამ 8 თვის წინეთ დაკარგული ნოხი და დააპატიმრა ნოხის გამყიდველები. პატრონს სთხოვენ შეიაროს თავისი ნოხის გამოსაცნობათ სისხლის სამართლის მილიციაში ოთახი. № 8.

ტკბილეულობის ფაბრიკის გაქურდვა

გუშინ გაქურდეს პოლოს გაბრიელიანცის კუთვნილი კამფეტების ფაბრიკა (ბორბაშევის ქ. № 46). გარდა ტკბილეულობისა, ქურდებმა გაიტანეს ტკბილეულობის საჭირო ყველა ხელსაწყოები, ინსტრუმენტები და დიდი მანქანები. ზარალი რამოდენიმე ათას მანეთს უდრის.

◆ **ჩხუბი.** გუშინ თავისუფლების მოედანზე პაპიროსებით მოვაჭრე შარვამ მაქსოვემა ჩხუბის დროს ჯოხით თავი გაუტეხა მოქ. ვ. გაბაევს. გაბაევი გადაიგზავნა საავადმყოფოში, ხოლო აყალ - მაყალის მოყვარული მეპაპიროსე დააპატიმრეს.

◆ **ბინის გაქურდვა.** გუშინ მორგებული გასაღების საშუალებით გასტეხეს მოქ. ლევან ფოცხიშვილის ბინა, (საზოგად. ქ. № 1) საიდანაც წაიღეს დიდძალი ნივთები. წაღებული ნივთების ფასი გამოურკვეველია.

◆ **სახელოსნოს გაქურდვა.** გუშინ გაქურდეს ივანე რიღნოვის სარკის სახელოსნო (მადათოვის კუნძული № 17), საიდანაც წაიღეს 100 მანეთის ნივთები და ინსტრუმენტები.

◆ **სახლის დანგრევა.** 6 ივლისს საღამოს, დიდუბის შესახვევი № 7 ჩამოინგრა მოქ. კანკოვის სახლის უკანა კედელი, მსხვერპლი არ არის.

◆ **რეციდივისტის დაპატიმრება.** გუშინ დააპატიმრეს ცნობილი რეციდივისტი პეტრე დემიტრისძე ყარაულოვი, რომელსაც თან აღმოაჩნდა ნაქურდალი ოქროს საათი.

◆ **ქურდობა.** გუშინ გაქურდეს მოქ. ალ. ფეიქრიშვილის ბინა, (კამოს ქ. № 3.) წაიღეს 60 მანეთის ნივთები.

სასამართლო

ბანდიტის გასამართლება

ვ. გორდაძის საქმე

გუშინ, აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლო ამხ. **ლაშხის** თავმჯდომარეობით, პროკურორ **გაბუნიას** მონაწილეობით შეუდგა **ვ. გორდაძის** საქმის გარჩევას.

ვ. გორდაძე პირველად როდი ზის საბრალდებლო სკამზე. მისი ბოროტმოქმედების „სტაჟი“ იწყება 1910 წლიდან, როცა ვინმე ჩინგარაულის გაძარცვის საქმის გამო პასუხისგებაში იყო მიცემული.

მან იმდენად გააღრმავა „მუშაობა“ მძარცველობის დარგში, რომ 1922 წელს დაიმსახურა ბანდიტის უმაღლესი ხარისხი და სათანადო უმაღლესი სასჯელი—დახვრეტა.

ეს ხუთი წლის წინანდელი ამბავია 1922 წლის 11 აგვისტოს გაძარცვეს ამერიკელი კომიტეტის ვაგონი, რომელიც ბათომიდან მომავალ საფოსტო მატარებელზე იყო მიბმული.

მან უმაღლესი სასჯელი „მოიხვეჭა“ ამისათვის, მაგრამ დახვრეტა შემდეგ შეეცვალა ხუთი წლის ციხით.

გავიდა დრო. ვ. გორდაძე მოევლინა თბილისს: 1925 წელს ის უკვე თბილისის მეათე სამილიციო უბნის უფროსის თანაშემწეა.

მეათე სამილიციო უბანი ყველაზე ძნელად მოსავლელი უბანია, როგორც ავტორიტეტული მოწმეები ადასტურებენ, ხშირია ამ უბანში შეხლა-შემოხლა, აყალ-მაყალი, ხულიგნური გამოსვლები და სხვა. უბნის მოვლაზე ვ. გორდაძე ნაკლებად იცხელებდა თავს, უფრო მეტ „მზრუნველობას“ ის იჩენდა როსკიპ ქალებისადმი.

მაგალითიც, კომისარიატის თანამშრომლები აპატიმრებენ როსკიპ ქალებს, რომლებიც წესრიგს არღვევენ ქუჩაში, ვ. გორდაძე კი ქალებისადმი განსაკუთრებით „ლმობიერია“. შეიხმობს თავის კაბინეტში როსკიპ ქალს, ჩაიკეტავს კარს და... რამოდენიმე ხნის შემდეგ გაანთავისუფლებს.

მეძავ ქალებს შორის ბევრი კარგი „ნაცნობი“ ჰყავდა გორდაძეს, თუ ვინმე მოკადნიერდებოდა და მის ნაცნობ როსკიპ ქალს შეაწუხებდა, ვაი მისი ბრალი.

ერთხელ ერთმა მეეტლემ გვარათ **ამილახვარმა** გაბედა და საჩივარი წარუდგინა გორდაძეს, რომ რამდენიმე საათის განმავლობაში მან ეტლით ატარა ქალი და უკანასკნელი არაფერს არ აძლევს, გორდაძემ დააპატიმრა, რასაკვირველია, არა მეძავი ქალი, არამედ დაზარალებული მეეტლე, შეაგდო საპატიმროში და იმდენი ურტყა, რომ ამილახვარი პირქვე დაეცა, როსკიპი ქალი კი გორდაძემ „მოათავსა“ მხოლოდ თავის კაბინეტში და ცოტა ხნის შემდეგ გაანთავისუფლა.

ერთი გლეხი ქალი **ცევცურიანი** მივიდა ვ. გორდაძესთან კომისარიატში და სთხოვა დახმარება აღმოეჩინა მისთვის ნამუშევარ დროის ხელფასის მიღებაში. სამსახურის გაწევისათვის გორდაძემ მას „გასამრჯელო“ მოსთხოვა.

ვ. გორდაძემ 1926 წელს უკვე წინ წასწია თავისი კარიერა. ის უკვე მე-9-ე სამილიციო უბნის უფროსია.

5 დეკემბერია. (1926 წ.): ვ. გორდაძე თავის თანამშრომლებთან ამაშუკელთან და სოფიო ელიაშვილთან ერთად მიდის „სამაყარიზო“ ქეიფში, ვინმე ბებურიშვილისას. შეზარხოშდენ კარგა მაგრათ. ამაშუკელს „ხოში აქვს“ რევოლვერის გასროლის, მისი უფროსი გორდაძე არ ანებებს, მოსდით ერთმანეთს შორის ჩხუბი, ლანძღავენ, აგინებენ ერთმანეთს. გორდაძე იძრობს რევოლვერს და ჰკლავს ამაშუკელს, გორდაძეს აპატიმრებენ. აქ თავდება ვ. გორდაძის კარიერა.

ბრალდებულის დაკითხვა

სასამართლოში ბრალდებული გორდაძე გადაჭრით უარყოფს ყველა ზემოდ-მოყვანილ ბრალდებებს, ხოლო მკვლელობის შესახებ აცხადებს, რომ ამაშუკელი მას შემოაკვდა და რომ მკვლელობა ჩაიდინა თავდაცვის მიზნით.

მოწმეების დაკითხვა

გორდაძის საქმეზე გამოძახებულია 35-დე მოწმე. მოწმეების დაკითხვა უკვე დაიწყო.

პირველად დაკითხულ იქნა თბილისის მილიციის უფროსი ამხ. **ხმალაძე,** რომელმაც განაცხადა, რომ რამდენადაც მის მიერ მოხდენილ გამოძიებამ ცხადყო, გორდაძეს და ამაშუკელს შორის მანამდე არავითარი მტრობა არ ყოფილა, პირიქით, ისინი კარგი მეგობრები იყვნენ. ამაშუკელს მართლაც ამოუღია რევოლვერი და მოუნდომებია გასროლა. ამ ნიადაგზე ერთმანეთს წაჩხუბებიან და მკვლელობა მომხდარა იმ დროს, როცა გორდაძე ამაშუკელს რევოლვერს ართმევდა და არ ანებებდა გასროლას. გორდაძის ცუდი ყოფა-ქცევის შესახებ, აცხადებს მოწმე, მას არავითარი ცნობა არ მისვლია მანამდე.

გრძელდება მოწმების დაკითხვა. ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი **მ. ლევამიჩავა.**

მატარებლის დამსხვრევა

7 ივლისს, ღამის 1 საათზე და 15 წუთზე ქსანი-მცხეთას შუა დაიმტვრა სამარშრუტო მატარებელი.

მატარებელი შესდგებოდა 26 ცარიელ კანადურ ცისტერნებისაგან. რელსის გახეთქის გამო ლიანდაგიდან გადავარდა 15 ცისტერნა. ხაზი გაფუჭდა 60 მეტრის მანძილზე.

თბილისიდან შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებელი.

მატარებლების მოძრაობა აღდგენილ იქნა ნაშუადღევის 3 საათზე.

სახკინმრეწვის წესდება

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო საქართველოს ეკონომიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის წესდება.

ახალი წესდების მიხედვით, საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობას თავისი მიზნების განხორციელებისათვის უფლება აქვს: ააშენოს და დაიქირავოს კინო-ფაბრიკები და კინო-თეატრები, შეიძინოს, გამოიყენოს და გაყიდოს საბჭოთა კავშირის ფარგლებში კინო-წარმოებისა და კინო-თეატრებისათვის საჭირო ყოველგვარი მოწყობილობა, და აგრეთვე, როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარგარეთ დამზადებული კინო-სურათები და იქონიოს ამისათვის განყოფილებები და კანტორები.

ფეხბურთი

„დინამო“—„ავტო-კლუბი“

ქალაქის პირველობის გათამაშება ძლიერი კატეგორიის გუნდებს შორის დასასრულს უახლოვდება.

ოთხშაბათს „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართა მორიგი კალენდარული შეჯიბრი „დინამო“-სა და „ავტო-კლუბი“-ს პირველ გუნდებს შორის. ეს მეორე შეჯიბრი იყო ამ გუნდებს შორის, რადგან პირველი შეჯიბრი სიბნელის გამო დამთავრებული ვერ იქნა (თამაშის შეწყვეტამდე მიღწეული შედეგი იყო 3:0 „დინამო“-ს სასარგებლოდ).

ყველა დარწმუნებული იყო, რომ გუშინწინდელი მატჩი ავტო-კლუბის საგრძნობი დამარცხებით დამთავრდებოდა, რადგან დინამომ თავისი უპირატესობა თბილისის სხვა გუნდებთან შედარებით ბრწყინვალედ დაამტკიცა მოსკოველებთან შეჯიბრში.

მაგრამ იმედი არ გამართლდა. მოხდა „სასწაული“. უძლიერესი გუნდი რომელმაც 7:1 გაათავა შეჯიბრი მოსკოვის დინამოსთან, დამარცხდა შედარებით სუსტ გუნდთან. და ეს მოხდა მიუხედავათ იმისა, რომ დინამოელები ორივე ტაიმის განმავლობაში მოწინააღმდეგის „გოლში იჯდენ“.

თამაში თითქმის სულ ავტო-კლუბის კარებთან სწარმოებდა. მიუხედავათ ამისა დინამოელებმა ერთ ბურთზე მეტის გატარება ვერ შეძლეს ავტო-კლუბის კარებში, თავის ბადეში კი მიიღეს ორი ბურთი და, ამრიგად, შეჯიბრი წააგეს 2:1.

აღსანიშნავია ერთი გარემოება. დინამოელებმა ვერ აწონეს მოწინააღმდეგის ძალები. შეჯიბრი ხუმრობით დაიწყეს, საშუალება მისცეს ავტო-კლუბელებს გაეტანათ ორი ბურთი, შემდეგ ვეღარ შესძლეს მათი გაქვითება (რადგან ავტო-კლუბი მეორე ტაიმში მთლიანად თავდაცვაზე გადავიდა) და შეჯიბრი წააგეს.

კალენდარულ შეჯიბრებში საჭიროა მეტი სიფრთხილე და წინდახედულება.

ამ ჟამად ძალთა განწყობილება ასეთია: პირველობისათვის იბრძვის ოთხი გუნდი—„დინამო“, „არსაიონი“, „ავტო-კლუბი“, და საგზაო-სატრანსპორტო სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს გუნდი. ყველა მათ აქვს თითო დამარცხება. პირველობის საკითხს გადასწყვეტს უახლოესი შეჯიბრებები.

ვ—ნი.

მოსკოვის „დინამო“ ბაქოში

თბილისიდან მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდი „დინამო“ გაემგზავრა ბაქოში, სადაც მას უკვე ჰქონდა ორი შეჯიბრი. პირველი შეჯიბრი ბაქოს „დინამო“-სთან მოსკოველებმა წააგეს 2:1, მეორე შეჯიბრი კი „პროგრეს“-თან მოიგეს 4:3.

შრომის ბირჟაში

მუშა - ხელის მოთხოვნილება

დღეს 8 ივლისს, შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

საწარმოვო კვალიფიციურ მუშათა 1-ლი სექცია: ივანე ცანავას, ანასტასია რამიშვილს, ხაჩიკ ოგანესიანს, ვასილ გენცოვს, ივანე ანოსოვს და იოსებ სტეპანიანს.

გონებრივ მუშაკთა მე2- სექცია: გიორგი ყარანგოზიშვილს, გრიგოლ ქითავას, ნიკოლოზ ცატუროვს, ნინო ელიგიცკაიას, ილარიონ ზარბედია, ანგარაშვილი არჩილ, ივანე ქურთიშვილს, შალვა გოგიტაშვილს, აგრაფინა შერგინას.

შავ მუშათა მესამე სექცია: რაჟდენ ფახცულაიას, სოსო კორტიაშვილს, ივანე ქელებაშვილს, ელენე კოკალიშვილს, ამბროსი მაისურაძეს, სარქის სარქისიანს, არსენ სიმონიანს, ალექსანდრე დიდებაშვილს, ბახშო ბალახანოვს ვასილი კრუგოვს, ვლადიმერ ბოდუევს, სურენ ოგანესოვს, პავლე ურლიანოვს, გრიგოლ ღარიბიანცს, პ. გვარამაძეს, ა. მარტიროსიანს, არშაკ ასტრეევს, თადეოზ მატეოსიანცს, პეტრე ადამაშვილს, შიო მჭედლიშვილს, მოსე მანგოშვილს, მიხეილ გაიტმანს, ოვანეს ოვანესოვს, სიმონ არაბიანს, სტეფანე ზარჩენკოს, არშაკ გრიგორიანცს, მიკირტუმ სუდადიანცს, გრიგოლ სალათელიანს, სერგო ელიმანს, ილია კვატუაშვილს, სოლომონ მამასახლისოვს, არაქელ გასპაროვს, არაქელ ფარემუზაშვილს, ვირგიოლ სანოიანცს, ვარდენ ქავთარაძეს, ვლადიმერ კაკულაშვილს, იასონ სიპტურაშვილს, ავდამ ბაიკოვს, გიორგი მონიევს, ილია გიჟურელს, სარქო ფარუმოვს, ალექსი ცნეიდიაშვილს, დიმიტრი ბზიკაძეს, ანტიფა მომცემლიძეს, ნიკოლოზ აბაშიძეს, გიორგი ავეტისოვს, ივანე მურდოვს, გრიგოლ დავიდოვს, ვასილი მესხს, ლევან ფილოიანს, აზარპეტ მატეოსიანს, ნიკოლოზ ნოვიკოვს, ილია გოგაურს, ივანე იარალოვს, რუბენ ხაჩატუროვს, მირიან გიორგაძეს, ავეტის სარქისოვს, ილია ტოლიშევს, ბაბიკ ადამიანს, ალექსი გოგიაშვილს, მიხეილ ალექსეევს, იოსებ ცაბაძეს, ხორენ გურეგიანს და ისაკ შარიკაშვილს.

მშენებელ მუშაკთა მე-5 სექცია: ზაქრო სურამელაშვილს, ალექსი ნაჩხატაშვილს, ხაჩიკ აზულოვს, კორენ კარაპეტიანს.

მეცნიერება და ტექნიკა

აეროპლანები წყალქვეშა ნავებზე

საფრანგეთის წყალქვეშა ნავები უკანასკნელ ხანებში მომარაგებული არიან პატარა (დასაშლელი ტიპის) აეროპლანებით, რომლებსაც შეკრებილი სახით მცირე ადგილი უჭირავთ. აეროპლანის შეკრებას სულ უნდა სამი წუთი.

დედამიწის წარმოშობის ახალი თეორია

ჩიკაგოს (შეერთებულ შტატებში) უნივერსიტეტის პროფესორმა **ტ. ჩ. ჩემბერლინმა** ამ რამოდენიმე ხნის წინად გამოაქვეყნა დედამიწის წარმოშობის ახალი თეორია, რომელსაც დართული აქვს მრავალრიცხოვანი დამამტკიცებელი საბუთები. ამ თეორიის შემუშავებას და დასაბუთებას ჩემბერლინმა მოანდომა 22 წლის სამეცნიერო მოღვაწეობა. ჩემბერლინის თეორია არსებითად ეწინაღმდეგება დედამიწის წარმოშობის ამჟამად არსებულ შეხედულებას, რომლის მიხედვით დედამიწის ბურთი შეიქმნა ნისლოვანებათა გამკვრივების გამო. ამერიკელი პროფესორი ამტკიცებს, რომ დედამიწა წარმოიშვა მზეზე მომხდარ ვულკანისებურ ამოხეთქის შემდეგ, რაც გამოიწვია მზის ზედაპირის ახლო შემთხვევით გამოჩენილ ცის სხეულის მიმზიდველობამ. ამ სხეულს ჩემბერლინი უწოდებს „46 ტაური“-ს. ამრიგადთ, ჩემბერლინის აზრით, დედამიწა, არასდროს არ ყოფილა გაზისებურ მდგომარეობაში და წარმოიშვა მაგარ ან ნახევრად მაგარ სხეულის სახით. თავის შეხედულების დასამტკიცებლად ჩემბერლინი ეყრდნობა დედამიწის ბურთის სტრუქტურას, ვულკანურ მოქმედებებს დედამიწაზე (სხვათაშორის, ჩემბერლინი ამ ვულკანურ მოვლენებს სხვა ახსნა-განმარტებას აძლევს, ვიდრე დღემდე იყო მიღებული) და სხვა მრავალ გეოლოგიურ და ასტრონომიულ ცნობებს.

ჩემბერლინის თეორიამ დიდი ინტერესი გამოიწვია ასტრონომებში, თუმცა უკანასკნელთა უმრავლესობა მას არ იზიარებს.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება № 38

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატისა

სასოფლო - სამეურნეო დარგში სეზონურ სამუშაოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

ს. ს. რ. კ. ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1926 წ. ივნისის 4-ს თარიღით „სეზონურ სამუშაოებზე შრომის პირობების შესახებ“ გამოცემულ დადგენილების 1-ლი მუხლის შენიშვნის მეორე ნაწილის თანახმად, ა.-კ. ს. ფ. ს. რ. შრომის სახკომისარიატი ა.-კ. პროფკავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით **ადგენს:**

ა.-კ. ს. ფ. ს. რ. სასოფლო-მეურნეობაში დამტკიცდეს სეზონურ სამუშაოთა ნუსხა, რომლებზედაც ვრცელდება ს. ს. რ. კ. ცაკისა და სახკომსაბჭოს 1926 წ. ივნისის 4-ს გამოცემული დადგენილება.

1. მემინდვრეობის და ხვნა-თესველობის დარგში მუშაობა

ა) მიწის დამუშავება თესვისათვის (ხვნა, თოხნა, ფარცხვა, სასუქის დაყრა და მასთან დაკავშირებული სამუშაოები).

ბ) თესლის დამზადება დასათესად, თესვა, მცენარეულობის მოვლა (მორწყვა თოხნა, მუნობა).

გ) მოსავლის მოკრეფა და ჩაწყობა, გალეწვა და მოსავლის დამზადება მოსახმარად ან გასაყიდათ (გაშრობა, გაწმენდა, ჩაწყობა).

2. მემინდვრეობის დარგში მუშაობა

ა) ფესვების (ჯირკვების) ამოყრა, ბუჩქნარის გაკაფვა, ქვის გადაყრა, გორაკების აღმოფხვრა, აოშვა, ფარცხვა, თესვა.

ბ) ბალახის მოკრეფა, თივის შეკვრა.

3. მებოსტნეობის დარგში მუშაობა

ა) მიწისა და თესლის დამზადება დასათესად და დასარგავად, სასელექციო სამუშაოთა [illegible].

ბ) დათესვა და დარგვა, ნერგის ვადარგვა, მცენარეულობის მოვლა, მორწყვა, მოსავლის აკრეფა და გაზიდვა.

გ) სათბურებში (პარნიკი) სამუშაო.

მებაღეობისა და მებოსტნეობის დარგში სამუშაოები

ა) მიწის დამზადება გადასარგავად (გადაბრუნება და მოხვნა, სასუქის შეტანა, ბაღის გაწმენდა).

ბ) დარგვა, ხეების ჩარგვა და გადარგვა, თოხნა, ხეების გაკრეჭა, მყნობა, ხეების მკურნალობა.

გ) მოსავლის შეგროვება (ხილის და სხვა) და გაზიდვა.

დ) დარჩევა და ჩალაგება ხილისა და ყველა სამუშაოები სანერგეებში.

5. მევენახეობის დარგში სამუშაოები

ა) გადაბრუნება და გადახვნა მიწისა, სასუქის შეტანა და დასარგავად ორმოების დამზადება.

ბ) ჩირგვის გახსნა, შესარვა, ძირკვლის შეხვევა, გადარგვა, მოჭრა და ჩამოყალიბება, მყნობა, ახვევა, ყლორტების მოშორება.

გ) ვენახის მორწყვა, ვენახის მოსავლის მოკრეფა, ვენახის ჩირგვის დახვევა ზამთრობით, მოკრეფილ მოსავლის სათანადო შენობებში მიზიდვა.

დ) ყურძნის დაწურვა (პრესით გამოხდა ან ფეხით დაწურვა), ყურძნის წვენის შეგროვება და დამზადება და ჭაჭის დამზადება გამოსახდელად.

6. მებამბეობის დარგში მუშაობა

ა) მიწისა და თესლის დამზადება თესვისათვის.

ბ) დათესვა, ბამბის ჩირგვის მოვლა, საბამბე რაიონის მორწყვა, ბამბის (ნედლის) მოკრეფა, ჩაწყობა და მოზიდვა ქარხანაში, აწონვა, ჩაწყობა, ნედლეულის გაზიდვა და გაშრობა.

7. მეთამბაქოობის დარგში მუშაობა

ა) მიწისა და თესლის დამზადება თესვისათვის.

ბ) დათესვა, გადასარგავი თამბაქოს ჩირგვების მოვლა, თამბაქოს ფოთლების მოკრეფა, სარაიაში მოზიდვა, ფოთლოვან თამბაქოს კონათ შეკვრა და ტომრებში ჩაწყობა.

დ) დარჩევა და ასხმა, ფოთლოვან თამბაქოს გაშრობა და საწყობში მიტანა.

8. კანაფის კულტურის დარგში მუშაობა

ა) მიწის დამუშავება თესვისათვის, დათესვა, მცენარეულის მოვლა, მოსავლის მოკრეფა და თესლის გალეწვა.

ბ) ძნის წყალთსათავში ჩატვირთვა და იქიდან გადმოტვირთვა, ამოღებული ღეროს შემოხვევა (ძნისაგან ქერქის მოცილება), ძეწვის გარეცხვა და ხმელი ძეწვის დაგრეხა „ტიუკებში“.

9. ბრინჯის კულტურის დარგში სამუშაოები

ა) მიწისა და თესლის დამზადება თესვისათვის.

ბ) თესვა, ნათესის მოვლა, ბრინჯის პლანტაციების უბნების მორწყვა, მოსავლის მოკრეფა და მიზიდვა.

10. ჩაის კულტურის დარგში მუშაობა

ა) ჩაის პლანტაციის რაიონების დამუშავება (გადაბრუნება, გათოხნა).

ბ) ჩაის ბუჩქების გაკრეფა და ბუჩქების მოვლა.

გ) ჩაის ფოთლების მოკრეფა, მათი ქარხანაში მიტანა და აწონა.

11. ბამბუკის მოშენების დარგში მუშაობა

ა) მიწის გათოხნა ბამბუკის პლანტაციებისათვის.

ბ) ბამბუკის ჩარგ[illegible] და [illegible]დაზიდვა.

12. მეტყე[illegible] დარგში მუ[illegible]

ა) ჯიშიანი ხეებ[illegible] მოკრ[illegible].

ბ) გადაკეთება და[illegible]მზადება ნი[illegible]ისა მოედანზე და გამოკვე[illegible]ზე, რომლებ[illegible]თესისა და თერგის კოლტუ[illegible] მოშენებას [illegible]რებენ.

გ) დათესვა და თე[illegible]ზე მოსულ მ[illegible]ეულობის გადარგვა და მ[illegible] მოვლა.

დ) ხეების სანერგ[illegible]მოწყობა, დას[illegible] მასალის გასამზადებლად [illegible] ბალახ[illegible] მოშორება და ნიადაგის განე[illegible]რება (აერო[illegible] მორწყვა).

ე) შეკვეცა და გ[illegible]რგვლა ნორჩ[illegible]ის.

13. მეაბრეშუმ[illegible]ის დარგში მ[illegible]ბა

ა) თუთის ხეების [illegible]შენება და მ[illegible].

ბ) ყაჭის დამზად[illegible] და მოვლა [illegible]ვალყურეობის გაწევა [illegible] გასამრავლებლად, [illegible]ლების გადარ[illegible] მოკრეფა და დამზადება [illegible]ლისა (ყაჭის) [illegible]ვალყურეობის გაწევა პა[illegible] გამოსაყვანა[illegible] დარჩევა, პარკის გაშრობა [illegible]დახარისხება.

გ) პარკის მოხა[illegible], გარეცხვა [illegible]შრობა, მისი ჩალაგება და[illegible]მზადება გასაგ[illegible].

14. ბრძოლა მავნე[illegible]ებთან და ავა[illegible]ფობასთან

ა) შესხურება შამანით, გოგირ[illegible]პარკით შეფრქვევა (შეყრ[illegible] სხვა მავნებ[illegible]ს დაკრეფა და შეგროვ[illegible].

შენიშვნა 1: [illegible]გილებში და რა[illegible]ში, სადაც ამა ნუსხა[illegible]ღნიშნული სა[illegible]ოები 6 თვეზე მეტით სწ[illegible]ებს. მაშინ [illegible] სამუშაოზე ჩაბმულ[illegible]რები ს. ს. რ. [illegible]კისა და სახკომსაბჭოს 1[illegible] წ. ივნისის 4-[illegible]რიღით „სეზონურ სამ[illegible]ებზე შრომის [illegible]ობების შესახებ“—გამო[illegible]ულ დადგენილ[illegible] მოქმედების ქვეშ ა[illegible]დებიან.

შენიშვნა 2: [illegible]ზონურ სამუშაო[illegible] აღნიშნული ნუსხა ყ[illegible] კატეგორიები[illegible]ურნეობებზე ვრცელდ[illegible], გარდა ისეთებ[illegible]რომლებიც ს. ს. რ. კ[illegible]კომისართა საბ[illegible] 1925 წ. აპრილის 8 „გ[illegible]ურ მეურნეობა[illegible] დამხმარე დაქირავებულ[illegible]რომის გამოყენებ[illegible]რობების შესახებ“ [illegible]მოცემულ და[illegible]ლების მოქმედების ქვეშ დგებიან.

ა.-კ. შრომის სახ. კომისარი [illegible].
საერთო-საორგანიზ. გამგე მელ[illegible]ვი.
შეთანხმებულ[illegible].-კ. ს. პ. კ. ს. იგოვი.

იურიდიული დახმარება

კავშირის წევრს - წიგნაკ. № 13.000 ბალათურიას

პასუხი

თქვენი ბავშვისთვის ერთდროულ დახმარებას მიიღებთ იმ შემთხვევაში თუ თქვენ მსახურობთ [illegible] თვისა.

[illegible]რიგოლ გაბუნიას

პასუხი

სასამართლოს [illegible] თქვენთვის [illegible] სამსახურიდან მოხსნა, რაც თქვენ [illegible] გასაჩივრებიათ. ვიდრე საქმე საბოლოოდ გამოირკვეოდეს, მანამდე სასამართლოს განაჩენი ძალაში არ შედის, ამიტომაც საქმის საბოლოოდ გამორკვევამდე სამსახურიდან თქვენი მოხსნის უფლება არავის არ ჰქონდა. მაგრამ შესაძლებელია, თქვენ მოხსნილი იქნებით სამსახურიდან არა სასამართლოს განაჩენის მიხედვით, არამედ სხვა მიზეზებით, რის უფლებაც აქვს ადმინისტრაციას. ამიტომ თქვენ წინასწარ ადმინისტრაციას უნდა გაეფრთხილებინეთ, თუ გაუფრთხილებლად მოგხსნეს, მაშინ გაუფრთხილებლობის 2 კვირის გასასვლელი დახმარება რასაც თქვენ უწოდებთ „სალიკვიდაციო“-ს გერგებათ (იხ. შრომის კანონთა კოდექსის მუხლი 89).

კავშირის წევრს (წიგნაკ. № 1906) რაჟდენიძეს.

პასუხი

ვინაიდან ადმინისტრაციას თქვენი სამსახურიდან მოხსნაზე გაუფრთხილებიხართ ორი კვირით ადრე, ამიტომ გაუფრთხილებლობისას ვერ მიიღებთ, რაც შეეხება შვებულების კომპენსაციას ასეთი კანონის ძალით გეკუთვნით (იხ. შრომის კანონ. კოდექსი მუხლი 89 და 92).

კავშირის წევრს (წიგნ. №756).

როგორც თქვენი შეკითხვიდან სჩანს, ადმინისტრაციას მოუცია გაფრთხილება თქვენი სამსახურიდან მოხსნის შესახებ ორი კვირით ადრე. მაგრამ ამ ორი კვირის შემდეგ გიმუშავნიათ კიდევ ერთი კვირა. [illegible] რჩება თუ არა ძალაში წინანდელი გაფრთხილება.

პასუხი

წინა გაფრთხილება ძალაში რჩება, მხოლოდ თქვენ უფლება გაქვთ იმ ერთი კვირის, რომელიც გაფრთხილების შემდეგ იმუშავეთ, შესაფერი ხელფასი მიიღოთ.

მასწავლებელ გერონტი სირბილაძეს

პასუხი

მიმართეთ ადგილობრივ აღმასკომის განათლების განყოფილებას.

ს. ა. ლ. კ. თბილისის [illegible]მიტეტი და მე-4-ე რაიონული კომიტეტი აუწყებს [illegible]ბილისის ორ[illegible]ზაციის წევრებს ძველი კომკავშირელის

ამხ. კოლ[illegible] როსტომოვის

[illegible]რდაცვალებას.

1—1 ნ. 1425.

ს. კ. პ(ბ) ტფილისის ორგანიზაციის მე-4 რაიკომი მწუხარებით იუწყება რაიკომის წევრის

ნიკოლოზ დავითის ძე
[illegible]ოს[illegible]ომოვის

[illegible]არდაცვალებას.
დასლავების მოსაწყი გამოყოფილია სპეციალური კომისია.
დასაფლავების ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1 ნ. 1426.

თავზარდაცემულნი და გულთუთქულნი თბილისის პედაგოგიურ ინსტიტუტის კურს დამთავრული სტუდენტები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ზოგადოებას, რო[illegible]ლისს ბათომში ტრაგიკულად დაიღუპა მათთვ ძვირფასი და [illegible]იწყარი ამხანაგი, ძველი კომკავშირელი, სტუდენტი

ლარიონ [illegible]ობის ძე ბრეგვაძე

დასაფლავების [illegible]ცალკე იქნება გამოცხადებული.

1—1 ნ. 1429.

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში.

(გაგრძელება № 18).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი თანხა	საწარმ. სარეწაო მოწ. ხარ.
472	14 ივნისი 27წ.	„სენკომტრესტი“	ქ. ახალი სენაკი	ვაჭრობა	139243 მ. 78 კ.	მე-4
473	„	ეჯიბია იოსებ დუტუს-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	ღვინის სარდ.	2000 „	„
474	„	სენაკის სამაზრო გლეხკომი	ქ. ახალი სენაკი ლენინის ქ.	სასადილო	2000 „	„
475	„	ხარბედია დომენტი	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	ღვინის სარდ.	700 „	„
476	„	ახალ სენაკის სამთო მრეწველობის ტრესტის სავაჭრო კანტორა	ქ. ახალი სენაკი	სათბობი მასალით ვაჭრ.	—	„
477	„	ცერცვაძე ილარიონ რომანოზის-ძე	ქ. ახალი სენაკი ლენინის ქ.	ღვინის სარდ.	600 „	„
478	„	კიკნაველიძე ისაკი საველის-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	„	1000 „	„
479	„	გუგუნავა ნიკო ტოტიას-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთავ. № 184	სიმინდის სავაჭრო	200 „	„
480	„	გაჩეჩილაძე მოსე მახარობელის-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	ღვინის სარდ.	1000 „	„
481	„	ტოგონიძე დათიკო ანტონის-ძე	ქ. ახ. სენ. ზუგდიდ-ორპირის ქ.	დაფნით ვაჭრობა	1000 „	„
482	„	ქაჩიმაია სამსონ ქაიხოსროს-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	„	500 „	„
483	„	კინწურეიშვილი იასონ ერისტოს-ძე	ქ. ახალი სენაკი თამარის ქ. № 5.	სიმინდით ვაჭრობა	1000 „	„
484	„	დგებუაძე პეტრე მიხეილის-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	ფქვილით ვაჭრობა	20000 „	„
485	„	შარვაძე ივანე ზაქარიას-ძე	„ „	სიმინდით ვაჭრობა	700 „	„
486	„	ძიძიგური გრიგოლ პავლეს-ძე	ქ. ახალი სენაკი ბაზრის ქუჩა	პურის ფქვილით ვაჭრობა	100000 „	„
487	„	გაბესკერია ბათუ გარსევანის-ძე	ქ. ახალი სენაკი ჭავჭავაძის ქ.	ღვინის სარდ.	500 „	„
488	„	თოხაძე ბარნაბ გიტოს-ძე	ქ. ახალი სენაკის რკინის გზ. სადგური	რკინის გზის ბუფეტი	500 „	„
489	„	მაღლაკელიძე ილიკო მელიტონის-ძე	ქ. ახალი სენაკი ჭავჭავაძის ქ.	ღვინის სარდ.	1000 „	„
490	„	ცაავა მიხეილ ეგნატეს-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთავ. ქ. № 142	საბაკალეინო	3000 „	„
491	„	ხვიჩია პლატონ ნესტორის-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	ღვინის სარდ.	500 „	„
492	„	ეჯიბია დიმიტრი გოჩას-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	სიმინდით ვაჭრობა	1000 „	„
493	„	დადიანი კონსტანტინე ოქროპირის-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველი ქ.	ღვინის სარდ	3000 „	„
494	„	გოგოშიძე სეიფ იოსების-ძე	ქ. ახალი სენაკი სადგურის ქ.	სასადილო	700 მ.	„
495	„	კიკნაველიძე თომა პორფილეს-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	ღვინის სარდ.	2000 „	„
496	„	კიკნაველიძე სამუელ პორფილეს-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	„	500 „	„
497	„	შენგელია სტეფანე კიკვინის-ძე	ქ. ახალი სენაკი ზუგდიდ-ორპირის ქ.	სიმინდით ვაჭრობა	500 „	„
498	„	სენაკის „ეპო“	„ „	ღვინის სარდ.	8000 „	„
499	„	გოცირიძე ალექსანდრე ფირანის-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	სასადილო	50 „	„
500	„	ქ. სენაკის საურთიერთო ნდობის საზოგადოება	ქ. ახალი სენაკი	საბანკო ოპერაციები	15800 „	„
501	„	წულაია ალექსანდრე ივანეს-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ. № 170	სასადილო	500 მ.	„
502	„	სირია ალექსანდრე ნიკოს-ძე	ქ. ახალი სენაკი ლენინის ქ.	ღვინის სარდ.	3000 „	„
503	„	ალანია გერასიმე ბუტუს-ძე	ქ. ახალი სენაკი რუსთაველის ქ.	„	1000 „	„
504	„	ცაავა დომენტი ფილუს-ძე	„ „	საბაკალეინო	2000 „	„
505	„	გაჩეჩილაძე სიმონ მიხეილის-ძე	„ „	ღვინის სარდ.	500 „	„
506	„	ქოჯუა ეპიფანე თედორეს-ძე	ქ. ახალი სენაკი ლენინის ქ.	სასადილო	600 „	„
507	„	ბოჯგუა კირილე ბერუშკის-ძე	სოფ. ზონა	ღვინის სარდ.	60 „	„
508	„	ბოჯგუა ანტონი ონისიმეს-ძე	სოფ. ზონა	„	50 „	„
509	„	„ზაკგოსტორგი“	ქ. ახალი სენაკი ზუგდიდ-ორპირის ქ.	თხილის ქარხანა	ძირითადი თანხა არ აქვს	„
510	„	ბალათურია ვლადიმერ ლუკას-ძე	სოფ. ნაქალაქევი	ღვინის სარდ.	400 „	„
511	„	ბალადურია კოსტა ნიკოს-ძე	„ „	„	300 „	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მგალობლიშვილი.**

ნ. 1424. სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება

აცხადებს, რომ ა. წ. 11 ივლისს, დღის 1 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

დახურულ კონვერტებით ნიაღვრის გადასაშვები მილის მოწყობაზე კახეთის ქ., ღირებულებით 16.105 მან. 16 კ.

ვაჭრობაში მონაწილეებმა განცხადებას თან უნდა დაურთონ ქვითარი იმის შესახებ, რომ თბილ. აღმასკომის სალაროში შეტანილია საწინდარი განცხადებულ თანხის 5 პროც. რაოდენობით.

საჭირო ცნობებისა და კონდიციების მიღება შეიძლება № 334 ოთახში, დღის 1—2 საათ.

ქ. | განყოფ. გამგის მაგიერ მთავარი
ნ. 1429. ინჟინერი ჟურდიანი.

თბილისის ქალაქის ბანკი

ახალსენაკის განყოფილება

ამით აცხადებს, რომ სავადო გადასახადის და მისი საურავის შემოუტანლობის გამო, თანახმად ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის მიერ 1926 წ. ნოემბრის 5-ს დამტკიცებულ სარემონტო საამშენებლო სესხის დებულების მე-5 მუხლისა, განყოფილების ბინაზე, ლენინის ქუჩა, დანიშნულია 1927 წ. 23 ივლის, ნაშუადღევის 1 საათზე პირველი და საბოლოო

საჯარო ვაჭრობა

გასაყიდათ ქვემოთ აღნიშნული მამული. საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებათ, მსურველმა უნდა შემოიტანოს თავნი ვალი და სავადო გადასახადი.

ძიგუა აპოლონ ლუკას-ძისა ჯორჯიაშვილის ქ. № 3. თავნი ვალი და სავადო გადასახადი 674 მან. 48 კაპ.

1—1 ნ. 1431

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

აპოლლო
(არტოს ბაღში).

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

0—7 ნ. 1388

კონრად ვეიდტი და რეინგარდტ შიუნტცელი
სურათში „გრაფი კალიოსტრო“ სურათში
სიმებიანი ორკესტრი მ. ბელსკის ხელმძღვანელობით.
1 სეანსის დასაწ.—საღ. 8 ს. სალარო ღიაა საღ. 7 ს.

რუდოლფ ვალენტინო
მხატვრული შედევრი აღმოსავლეთის ცხოვრებიდან
„შეიხი“
ვინც კინოს ბილეთს იყიდის, მისთვის ბაღში შესვლა უფასოა

პირველად თბილისში კონრად ვეიდტი და ემილ იანინგსი
მხატვრული შედევრში
„სასტუმროების ქალი“
სიმებიანა ორკესტრი გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით.
1-ლი სეანსის დასაწყისი საღ. 8 ს. სალარო ღიაა საღ. 7 ს.
ანონსი: მალე განთქ. სურათი „ტარას ტრიასილო“ „სამთა სიყვარული“, „ლუსეტა“

საბჭოთა-სავაჭ. მუშაკების საზაფხულო კლუბი.
(ქორესის ქ. № 31)

პარასკევს, 8 ივლისს,
სიმფონიური კონცერტი
ანატოლ პარდაშევის ხელმძღვანელობით
პროგრამაში ჩაიკოვსკის ნაწარმოებიდ. დასაწ. საღ. 9 საათ.
1—1 3261. კლუბის გამგეობა.

ექიმი
მეგრაბიანც[illegible]
ფილტვების, ჭლექის და გულის
სნეულებანი
ციების საგანგებო მკურნალობა ელექტრო-შუქით რენტგენის სამკურნალო კაბინეტში
სურათების გადაღება და რენტგენის სხივებით წამლობა. ხელოვნური მთის მზე. იონო-ტერაპია. მიღ ყოველდღე დილ. 9—1 და საღ.[illegible]—8 საათ.
ენგელსის ქ. № 23. ყოფ. ბებუთოვის ქუჩ., [illegible]—1

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს [illegible]-8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალ სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „[illegible]ეს“) პირდაპირ „ჩოდრიშვილის“ შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახ ვევი) [illegible] 8.

პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
ჯერჯერობით რჩება თბილისში.
კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისედის) ქ. № 7, ბინა 1, ტელეფონი —56.[illegible]

თბილისის აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება

აცხადებს, რომ ა-წ. 12 ივლისს, დღის 1 საათზე

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ინფექციური ბარაკების შეკეთებაზე ქალაქის პირველ საავადმყოფოსთან (ყოფ. არამიანცის) ავლაბარში ციციანოვის ქუჩაზე, 12.859 მან. ღირებ.

ვაჭრობაში მონაწილეებმა განცხადებას თან უნდა დაურთონ ქვითარი იმის შესახებ, რომ თბილისის აღმასკომის სალაროში შეტანილია საწინდარი განცხადებულ თანხის 10 პროც. რაოდენობით. კონვერტების გახსნის შემდეგ მოხდება აგრეთვე ზეპირი ვაჭრობაც.

საჭირო ცნობებისა და კონდიციების მიღება შეიძლება თბ. აღმასკომის კეთილმოწყობის განყოფილების კანცელარიაში, ოთახი № 338.

ქ. განყოფ. გამგის მაგიერ მთავარი ინ-
1—1 ნ. 1430 ჟინერი ჟურდიანი.

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის
ყოველთვიურ
სამკურნალო სამეცნიერო ჟურნა[illegible]
„თანამედროვე მედიცინ[illegible]“-ზე
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს ასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.
ჟურნალში შემდეგი განყოფილებაა:
თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.
თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებე.
ჟურნალის ფასი:
1 წლით . . 10 მ[illegible]
1/2 წლით . . 5 მ[illegible]
ცალკე ნომერი 1 მ[illegible]
რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზი[illegible] № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ[illegible]კლინიკა.
ჰ2 25—1

სახელგამ კონტრაგენტი ამხანაგობა
„წიგნი“
დაარსებულია 1926 წელს.
ამხანაგობიზანია ქართული ბეჭვდითი ნაწარმოების ცელება საქართველოში და საქართველოს გარე მცხოვრებ ქართველთა შორის:
ამ [illegible]ის განსახორციელებლად
ამხანაგ[illegible] „წიგნს“ ესაჭიროება
პაისმგებელი აგენტები
საქართველ ყველა ქალაქებში, თემებში და საქარ. გაე მცხოვრებ ქართველთა შორის.
ამხ-ბა „წიგნავის აგენტებს მიაწოდებს: სამეცნიერო, სიტყვაკაზმულსიტყვიერო, საბავშო, პერიოდიულ ლიტერატურას, სახელმძღვანელოებს, საკანცელარიო ნივთებს, საბავშო სათოებს, მუსიკალურ და ფიზკულტურის საგნებს.
საქმიანობას უაღრესად კულტურული, აგენტებისათვ მუდმივი შემოსავლიანი წყარო.
აგენს ეძლევა პროცენტები.
ვისაც აქვს ვილი შრომისა და დააკმაყოფილებს მთავარს ჩვეთხოვნილებებს: არის საქმიანი, უნარის მქონე, დაუღი, მოძრავი, გამჭრიახი, კეთილსინდისიერი შემსრული დავალების, აქვს გარანტია მოიწერეთამართი და გაცნობებთ პირობებს.
სახელგამის კონტრ-აგენტი ამხ-ბა „წიგნი“-ს გამგე დ. მიქელაძე.
[illegible]ისი, ჯორჯაძის ქ. № 1. 3—1 ნ. 1416

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 16 ივლისს 1927 წელს, შუადღის 12 საათზე ადგილობრ. ქ. ქუთაისში ნინოშვილის ქუჩის მეორე შესახვევში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება სერაფიონ პორფილეს-ძე გიორგაძის ქვითკირის და ხის სახლი სამზარეულოთი № 1, კესარია ჩაჩხიანის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 250 მან., რა ფასიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. სახლი სამზარეულოთი დაგირავებული აქვს ბესარიონ მეავანაძეს 2000 მანეთში. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10%

1—1 ნ. 1427

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი

ამით აცხადებს, რომ 16 ივლისს 1927 წელ[illegible] დილის 10 საათზე ადგილობრ. ქ. ქუთაისში პროფ. მარის ქაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა**: გაიყიდება ბესარიონ ნიკოს-ძე სულაკაძის ორ სართულიანი ქვითკირის და აგუს სახლი № 55 ნ. და ე. ტრაპაიძეების ვალის დასაკმაყოფილლად. სახლი დაფასებულია 1100 მანეთად, რა ფასიდანაც და[illegible]ყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს სა[illegible]რო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა, აღნიშნული 3[illegible] და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10%

1—1 ნ. 1427

დაიკარგა სამხე[illegible] წიგნაკი № 4132 გაცემული [illegible]ლის სამხედრო მაგიდის გამგის ვასო ფრეწუაშვილის სახელზ[illegible] 3258

დაიკარგა პასპორ[illegible] ინვალიდობის მოწმობა ვერა [illegible]ის სახელზე ჩ. გ. 3259

დაიკარგა სამხედ[illegible]რიცხვის ბარათი, გაცემული [illegible]იციის 1 უბნის მიერ შალვა მა[illegible] კალანდარიშვილის სახელზე, 3259

დაიკარგა პასპო[illegible]ნიკოლოზ ალექსის-ძე გაბუნიას [illegible]ზე, ჩ. გ. 3260

დაიკარგა კავში[illegible]წევრო წიგნაკი № 23666 მიღ[illegible] 1926 წლის ხარიტონ ბერიშვილ[illegible]ხელზე, ჩ. გ. 3263

დაიკარგა პირად[illegible] მოწმობა მელიტონ სხირტლაძ[illegible]ხელზე, ჩ. გ. 3264

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი დი მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე.
ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს.
პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანისახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

დაიკარგა სახლის საბუთები და საბინაო წიგნაკი ლორტგინის № 15 ზინა დიმიტრაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3262

დაიკარგა სამსახურის წიგნაკი № 672, მოცემული ქუთ. სამხედრო მაგიდის გამგესაგან ქობულაძე იროდი გერმანეს-ძეს სახელზე, ჩ. გ. 1427

აღმასკომის სტამბა, კამოს ქ. 68.